საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

13 – 19 ნოემბერი, 2013

№42 (229)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

ჯიბის მოსამართლეთა უვადოდ არჩევა უნდა გამოირიცხოს 20

# მოვმართავთ წინადადებით — დავიწყოთ საპროტესტო აქციები ერთადერთი მოთხოვნით: დააპატიმრეთ სააკაშვილი! 6




# გვინდა თუ არა ნატო?

დისკუსია «საქართველო და მსოფლიოს» ფურცლებზე

«კაცობრიობის მტრები (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ»



9

## საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დასავლეთისა და ნატოს შესახებ



## «ნაციონალებს» კბილაშვილი სანატრელი გაუხდებათ?



4

ივანიშვილის მინისტრებისა და დეპუტატების პრემიები 5

«საქართველო დაშლის რეალური საშიშროების წინაშე დგას» 10

«სააკაშვილის ხროვა პოლიტიკური სიკვდილისგან იხსნეს — «ოცნებისთვის» წამზომი ჩართულია!» 11

12 «ბახტრიონის აჯანყება უნდა გავიხსენოთ ყოველდღე... მაინცდამაინც მღვდელი უნდა გაგვიუპატიურონ?!»

13 «20 წელია, ნატოთი და ევროკავშირით გვატყუებენ»

15 «საქართველოს მოაზროვნე საზოგადოების არჩევანი არ არის ნატო და ევროკავშირი»

16 «ამერიკული პოლიტიკური კურსის დაისი საქართველოში»

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოჩვენებითად შეშფოთებული „ნაციონალები“ სინამდვილეში ამ საკადრო ცვლილებებით მეტად კმაყოფილი უნდა იყვნენ: გარდა იმისა, რომ მათი ხელისუფლებისას დაფრთიანებული შინაგან საქმეთა მინისტრი და მთავარი პროკურორი მათ პრობლემებს არ შეუქმნიან, სავარაუდოდ, არც იმ საქმეების გამოძიებას მიეძალებიან, რომლებიც 2012 წლამდე შეითითხნა; არც ქონებას დააბრუნებს ვინმე და არც „ნაციონალებს“ დასჯის.**

# საბავშვო ბაღი №41

**„კმარელების“ ცხრაწლიანი ბოგინით მოღლილ საქართველოს არც ნორჩი მინისტრები უკვირს და აღარც არსაიდან მოსული კადრები, თუმცა თითქმის წასული პრემიერის დაპირება „გასაოცარი დემოკრატიის“ შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ გამართლდა. მთავარ პროკურორად და შინაგან საქმეთა მინისტრად ჯერ ისევ მოქმედმა შს მინისტრმა ისეთი პირები დაასახელა, რომელთა შესახებ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ „ნაციონალები“ იყვნენ ინფორმირებულნი.**



**«მშობელთა კრებები» და მათზე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება ჩრდილოვანი მართვის მექანიზმად ჩამოყალიბდება... ახლა კიდევ ერთი «ეფექტური» კადრის მოძებნას, რომელსაც ქვეყნის უშიშროებას ანდობენ, ერთი გაფართოებული «მშობელთა კრება» ნამდვილად დასჭირდება**

„ნაციონალური მოძრაობის“ სახედ ქცეულმა ირმა ნადირაშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წინსწრებით დააანონსა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად შეიძლება თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი ალექსანდრე ჭიკაიძე დაინიშნოს. **„ახალი ინფორმაცია, რომელიც პოლიციელთა წრეში ამ წუთებში აქტიურად განიხილება. შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე საუბარია, რომ შეიძლება ჭიკაიძე დანიშნონ. ის ამჟამად ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსია. 9 თვის წინ ის ლეიტენანტი იყო, ახლა პოლკოვნიკია. წოდებებს, როგორც ჩანს, ყოველ თვეს პრემიასავით აძლევდნენ. მაგარია, როცა გავლენიანი მეგობრები გყავს“,** — შეშფოთდა ნადირაშვილი „ფეისბუქში“.

ახლა წოდებებისა და პრემიების ყოველთვიურად დარიგება ნადირაშვილს, დანარჩენი „ნაცმოს“ მსგავსად, არ უნდა უკვირდეს, მაგრამ ამჯერად ამას მათ დაუკითხავად ახალი ხელისუფლება აკეთებს და აღშფოთებასაც სწორედ ეს იწვევს.

ჭიკაიძე 1985 წელს არის დაბადებული, ანუ „ვარდების რევოლუციის“ მომენტისთვის სულ რაღაც 18 წლის ყოფილა. ამან გააჩინა ეჭვი, რომ ისიც, ირმა ნადირაშვილის მეგობრებივით, „კმარელი“ იყო და ამ მარტივი მიზეზით, „ნაციონალური“ ხელისუფლების ჟამიანობისას ძალოვან სტრუქტურებში მუშაობა სულაც არ გასჭირვებია.

2007 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დიპლომატიის სპეციალობით დამთავრების შემდეგ თბილისის გლდანი-ნაძალადევისა და ვაკე-საბურთალოს რაიონის სხვადასხვა განყოფილებაში უმსახურია, 2009 წელს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი გამხდარა, შემდეგ დეტექტივ-გამომძიებლად დაწინაურებულა. 2011 წელს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსამდე გაიზარდა, 2012 წელს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი გახდა, ხოლო 2013 წლის მარტიდან დღემდე შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსია.

მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ **„ლექსო ღირსეული პოლიციელის ოჯახში გაიზარდა და მას ძალიან კარგი მამა ჰყავდა“.**

**რაკი ღარიბაშვილი, მისი ასაკის გამო, ჭიკაიძის მამის პროფესიულ და ადამიანურ ღირსებებში გათვითცნობიერებული ვერ იქნებოდა, „კახური ბექგრაუნდის“ გათვალისწინებით, მყისვე გაჩნდა ეჭვი, რომ ლექსო ჭიკაიძეს რეკომენდაცია პოლიციის გენერალმა და ღარიბაშვილის სიმამრმა — თამაზ თამაზაშვილმა მისცა.**

„ჩემი თანამშრომლები ამბობდნენ, რომ ლექსომ საათივითააწყო და გამართა სისტემა, ჯერ კახეთის სამმართველოში და შემდეგ უკვე თბილისში. გაზაფხულზე ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა თბილისის სამმართველო და სულ რაღაც რამდენიმე თვეში ასევე საათივითააწყო და გამართა. მას ჰყავს ძალიან კარგი გუნდი. რაც მთავარია, ლექსომ აჩვენა, რომ მას შეუძლია მართვა. თბილისი არის ყველაზე რთული ქალაქი საქართველოში. ასე რომ, მე სრულ ნდობას ვუცხადებ ბატონ ალექსანდრეს. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ეფექტური მინისტრი იქნება“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თავად ალექსანდრე ჭიკაიძემ მოქმედ შს მინისტრს დიპლომატიური მადლობა გადაუხადა. **„ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბატონი ირაკლის დაწყებული საქმე ღირსეულად გავაგრძელო“**, — თქვა მან.

მეორე „ეფექტური“ კადრი მოქმედმა შს მინისტრმა და მომავალმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს საგურამოში დაუსახელა: **„ოთარ ფარცხალაძე კარგი და ეფექტური მთავარი პროკურორი იქნება“.**

კაცმა რომ თქვას, სააკაშვილის მიერ დიდ პოლიტიკაში მოყვანილი (ხალხში მათ, თავად მიხეილის ლექსიკის გამოყენებით, „მოტყვანილებს“ უწოდებენ) მანდილოსნების შემდეგ, საქართველოს უფრო ეფექტიანი კადრები სჭირდება და არა „ეფექტური“, თუმცა ამ შემთხვევაშიც, ბევრმა გენერალ თამაზაშვილის აჩრდილი დაინახა. გაირკვა, რომ ფარცხალაძის მამის დაკრძალვისას „თავიკაცობა“ სწორედ თამაზაშვილს გაუწევია. ამ ინფორმაციის გახმაურებისთანავე, როგორც ხდება ხოლმე, ჯერ არდანიშნულ მთავარ პროკურორს სოციალურ ქსელებში ქომაგებიც გამოუჩნდა: **„თამაზაშვილმა რომ გაუწია „თავიკაცობა“ დაკრძალვას, მერე რა? მიცვალებული არ უნდა დაემარხათ? და საერთოდ რა ხდება?“**

რა ხდება, ტრადიციულად, კოკა ყანდიაშვილმა იცის. ასე იყო თუ ისე, „ახალი პროკურორის სკანდალური ბიოგრაფია“ ინტერნეტსივრციდან ისე სწრაფად აორთქლდა, რომ მისი „ეფექტურობა“ ეჭვქვეშ უკვე ნამდვილად ველარ დადგება. ჭიკაიძეზე სულ ცხრა წლით უფროსი ფარცხალაძე ამ დროისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ხელმძღვანელობს. ექვსი წლის წინაც იქ მუშაობდა და, თუ „ნაციონალებმა“ იგუეს, ეს სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე ხალხში დიდ იმედებს ნამდვილად არ აღძრავს.

მით უფრო, რომ **ტელეკომპანია „იმედის“, რიყის გასხვისების საქმეები, ასევე, რასმუსენის ვიზიტისას მერიის თანამშრომლების დაკავება და შემდეგ მათი მობოდიშებით გათავისუფლება, მინარეთის დემონტაჟის გადაწყვეტილება, როგორც ამბობენ, სწორედ ფარცხალაძის სახელს უკავშირდება.**

**მოჩვენებითად შეშფოთებული „ნაციონალები“ სინამდვილეში ამ საკადრო ცვლილებებით მეტად კმაყოფილნი უნდა იყვნენ: გარდა იმისა, რომ მათი ხელისუფლებისას დაფრთიანებული შინაგან საქმეთა მინისტრი და მთავარი პროკურორი მათ პრობლემებს არ შეუქმნიან, სავარაუდოდ, არც იმ საქმეების გამოძიებას მიეძალებიან, რომლებიც 2012 წლამდე შეითითხნა. არც ქონებას დააბრუნებს ვინმე და არც „ნაციონალებს“ დასჯის.** მართლაც, ვინ უნდა დაისაჯოს, როცა წინა ხელისუფლების ყველაზე ოდიოზური სტრუქტურებიდან გამოსული „ეფექტური“ კადრები წინაურდებიან? და კიდევ ერთი: **დღევანდელი „მეოცნებეების“ მიერ პირსისხლიანად შერაცხული „ნაციონალური“ რეჟიმი მშვიდად განაგრძობს ოპოზიციურ ნიშაში ფესვების გადგმას, ხოლო ქვეყანა თავსმოხვეულ ორპარტიულ ფორმატში დარჩება. ხან ისინი იქნებიან უმრავლესობაში, ხან — ესენი, ხალხი კი ისევ ცრუ იმედებისა და მოლოდინისთვისაა განწირული.**

საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ელიტა საბავშვო ბაღს მხოლოდ ასაკის გამო როდი გვაგონებს. იმ ვითარებაში, როცა იუსტიციის მინისტრი მთავარი პროკურორის კანდიდატურის შესახებ ინფორმაციას ტელევიზიით იგებს, ხოლო მოქმედი პრემიერი თანამდებობიდან სამოქალაქო საზოგადოებაში მიდის, როგორც ჩანს, „მშობელთა კრებები“ და მათზე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება ჩრდილოვანი მართვის მექანიზმად ჩამოყალიბდება.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება, სხვა მრავალთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების ერთმანეთისგან გაყოფას ითვალისწინებდა. ახლა კიდევ ერთი „ეფექტური“ კადრის მოძებნას, რომელსაც ქვეყნის უშიშროებას ანდობენ, ერთი გაფართოებული „მშობელთა კრება“ ნამდვილად დასჭირდება. ამ ვითარებაში უშიშროების საბჭოს „პირველი გენერალი ქალი“ — რესპუბლიკელი ირინე იმერლიშვილი ჩაიბარებს და ესეც „გასაოცარ დემოკრატიად“ გასაღდება!

**ჩვენ რომ გაოცების უნარი არ გვქონდეს დაჩლუნგებული, ამ რესპუბლიკურ უზურპაციას დიდი ხნის წინ გავაპროტესტებდით, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ბიძინა ივანიშვილი მიდის და ხელისუფლებაში არარჩეულ პარტიებს გვიტოვებს.**

საბავშვო ბაღი არამარტო პოლიტიკური ელიტა, არამედ ჩვენი საზოგადოებაც არის. სწორედ მან ცხვრის დუმილით და ხბოს ალტკინებით შეუწყო ხელი ისეთი ხელისუფლების შექმნას, რომელშიც ერთმანეთს რესპუბლიკელები და „ნაციონალები“ აკონტროლებენ.

**საქართველოს პარლამენტში დღეს წარმოდგენილია:**

**„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“;**

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;**

**„ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“;**

**საქართველოს რესპუბლიკური პარტია;**

**„ეროვნული ფორუმი“;**

**საქართველოს კონსერვატიული პარტია;**

**„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;**

**საქართველოს მწვანეთა პარტია;**

**„სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“.**

რომელ მათგანს ხედავთ ყველაზე ხშირად ტელევიზიით და ვინ მართავს სინამდვილეში საქართველოს?

ჩანან „ნაციონალები“ და რესპუბლიკელები, მაგრამ მართავს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი და ამერიკელ სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი არმია, რომლებიც საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში კვლავაც მთელ სართულებს იკავებენ და რომელთა რჩევისა თუ რეკომენდაციის გარეშე ვერც ახალი „ეფექტური“ კადრები გადაწყვეტენ რამეს.

**ჯერ კიდევ მოქმედი პრემიერის იმედი, რომ იგი ამ ვითარებას სამოქალაქო საზოგადოებიდან შეცვლის, ახალი საბავშვო ბაღის გახსნას ან, უკეთეს შემთხვევაში, ონავარი ბავშვების მშობელთა კრებას ემსგავსება. ამასობაში კი საქართველოს სუვერენიტეტი იმაზე უფრო შეზღუდული ხდება, ვიდრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ჰქონდა.**

განა ეს არ არის „გასაოცარი დემოკრატია“?

**თამარ დავითულიანი**

## კახა კალაძე: სოჭის ოლიმპიადიდან რაც შეიძლება ბევრი მედალი უნდა ჩამოვიტანოთ

**„სოჭის ოლიმპიადაზე უნდა წავიდეთ და, რაც შეიძლება ბევრი მედალი ჩამოვიტანოთ, რათა გავახაროთ ქართველი ხალხი“, — განაცხადა კალაძემ. მისი აზრით, რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების დალაგება რთული და გრძელვადიანი პროცესია.**

**„რუსეთთან ურთიერთობას რაც შეეხება. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ მაქსიმალურად ვცდილობთ, დავარეგულიროთ ურთიერთობები.**

**ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ეკონომიკური მიმართულებებით. პოლიტიკურს რაც შეეხება, ეს ცოტა რთული და გრძელვადიანი პროცესია“,** — განაცხადა კალაძემ.

ამ დროისთვის საქართველოს სოჭის ოლიმპიადის ოთხი ლიცენზია აქვს: ფიგურულ სრიალში — ელენე გედევანიშვილი, სამი კი — თხილამურებით სრიალში.

შესაძლოა, ოთხ ლიცენზიას კიდევ ორი დაემატოს.



**რას უნდა გადავაბიჯოთ სინამდვილეში — გვამებს და სისხლის გუბეებს, რომელთაც სააკაშვილის რეჟიმი გვიტოვებს, ნაწამებ და გაუპატიურებულ ადამიანებს, გადამწვარ სოფლებს კონფლიქტის რეგიონებში, საკუთრებას, რომელიც ხელისუფლებამ მოქალაქეებს ჩამოართვა თუ რას? ან ხელი ვის უნდა ჩამოვართვათ? გაწიეთ თქვენი ბინძური, სისხლში გასვრილი ხელები!**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ სააკაშვილის ასი საათი

**როგორც მოსალოდნელი იყო, მიხეილ სააკაშვილის ბოლო კვირამ ავლაბრის რეზიდენციაში რეაქტიული ფსიქოზის ნიშნის ქვეშ ჩაიარა. რჩება კიდევ დაახლოებით 100 საათი, რომელთა განმავლობაში პაციენტს (უკაცრავად, ფიგურანტს) ქვეყნისთვის რეალური პრობლემების შექმნა შეეძლება. არა უშავს, როგორმე გავუძლებთ — სააკაშვილის 100 საათი ნაპოლეონის 100 დღე არ არის და მის შესაჩერებლად მთელი ევროპის მობილიზება არ დაგვჭირდება; ამინაზინი და მისი ჯანი, საქმეში ჩახედული სპეციალისტები რომ იტყვიან.**

**შაბათს საღამოს ადგა და ავლაბრის რეზიდენციიდან სახელმწიფო დროშა ჩამოხსნა, მსგავსი რამ კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ მანიაკ მმართველს აზრადაც არ მოსვლია.** არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რა აღმართა სააკაშვილმა მის ნაცვლად — „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ე. წ. გულებიანი დროშა, სექსუალური რეფორმების მსოფლიო ლიგის ბაირაღი თუ იმ ძვირადღირებული მასაჟისტი გოგონას, დოქტორ დოტის, ბიუსტჰალტერი. ფაქტია, რომ **მან ცინიკურად გადააბიჯა „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ ორგანული კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში დაფიქსირებულ ნორმას: „საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება... საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე“.**

ცხადია, იმ სიტუაციაში, როდესაც სააკაშვილს შეიძლება ბრალი უმძიმეს ეპიზოდებთან დაკავშირებით წაუყენონ, ამ შედარებით მცირე ინციდენტს ყურადღება არავინ მიაქცია; კომენტატორების უმრავლესობა კი შემოიფარგლა ლაკონური კომენტარით „გიჟი თავისუფალია“. თანაც **იმ შემთხვევაში, თუ სერიოზულად მოედავებოდნენ, სააკაშვილი, დიდი ალბათობით, ყველაფერს თავისი ადმინისტრაციის უფროსს, ანდრო ბარნოვს, დააბრალებდა. კაცმა რომ თქვას, ბარნოვმა იმ დღეს თავის შეფს ცინიზმში „გადაუჯოკრა“, როდესაც საზოგადოების დამშვიდების მცდელობისას დაიწყო საუბარი იმაზე, რომ „ნაცმოძრაობის“ დროშა მხოლოდ 1 დღით, კლიპის გადაღებისთვის აღმართეს, რის შემდეგაც რეზიდენციის თავზე ისევ სახელმწიფო დროშა აფრიალდებოდა**.

იმისთვის, რომ ამ განცხადების სამართლებრივი ქვეტექსტი უკეთ გავიგოთ, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ დავიჭირეთ ანდრო ბარნოვი და უმოწყალოდ ვცემთ. ანდრო ყვირის, იქვე მცხოვრებ მოსახლეობას აღვიძებს, რომლის ნაწილი ენთუზიაზმით გვიერთდება, ნაწილი კი პოლიციაში რეკავს და წესრიგის აღდგენას მოითხოვს. მოდის პატრული, ხედავს, რომ ცალსახად ვარღვევთ კანონს და ჩვენ შეჩერებას ცდილობს. ჩვენ კი ვპასუხობთ, რომ ვცემთ ანდროს იმიტომ, რომ ის (მაგალითად) თაღლითია და კიდევ ორი საათი უნდა ვცემოთ (სიტყვაზე; თორემ, იდეაში, შეგვეძლო ორის ნაცვლად ექვსიც გვეთქვა), რის შემდეგაც გავჩერდებით. ამის შემდეგ ჩვენ განვაგრძობთ ანდრო ბარნოვის ცემას, პატრული ცდილობს, ხელიდან გამოგვგლიჯოს, ჩვენ კი წინააღმდეგობას ვუწევთ. ალბათ, ყველასთვის ცხადია, რომ ამით ჩვენ დანაშაულს გავაორმაგებთ და, შესაბამისად, მოგვიანებით დაგვიმძიმდება ბრალიც. მიუხედავად იმისა, რომ, ძალიან დიდი ალბათობით, მხარს უამრავი ადამიანი დაგვიჭერს, მაინც დასასჯელები ვიქნებით; ვერაფერს ვიზამთ, კანონი კანონია და ის არ განიხილავს ანდრო ბარნოვის ცემას, როგორც რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევას, რომელიც სანქციების შერბილებას ითვალისწინებს. ასეა დროშის შემთხვევაშიც, **ბარნოვმა, ფაქტობრივად, გვითხრა, რომ სააკაშვილის ჯგუფი განაგრძობს დანაშაულის ჩადენას მანამ, სანამ ამას საჭიროდ ჩათვლის** (კონკრეტულ შემთხვევაში, ვიდრე კლიპის გადაღებას დაასრულებს).

პირადად მე, ისევე, როგორც არაერთ მოქალაქეს, ხუთჯვრიანი დროშა არ მომწონს, მას იმ პარტიის დროშად აღვიქვამ, რომელმაც საქართველოში უამრავი უბედურება დაატრიალა და იმედი მაქვს, ის ოდესმე შეიცვლება. მაგრამ ვიდრე მისი სტატუსი დაცულია კანონით, იძულებული ვარ, მას შესაბამისი პატივისცემით მოვეპყრო — არ დავწვა, არ გადავხაზო და ანდრო ბარნოვს თუ მიხეილ სააკაშვილს თავზე არ გადავახიო. ალბათ, მოვა დრო, როდესაც ამ საკითხს დავუბრუნდებით და სერიოზულად ვისაუბრებთ დატვირთვაზე, რომელიც ხუთჯვრიანმა დროშამ ბოლო წლებში შეიძინა, თანაც „ლამაზია-უშნოა“ ტიპის სულელური არგუმენტების გარეშე, თორემ ეგრე, 30-იანი წლების გერმანიაშიც მრავლად იყვნენ ტიპები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სვასტიკიანი დროშა ვაიმარის რესპუბლიკის ტრიკოლორზე (იგივე თანამედროვე გერმანიის დროშა) უფრო ეფექტური და ლამაზია.



**მიხეილ სააკაშვილმა ცინიკურად გადააბიჯა «საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ» ორგანული კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტში დაფიქსირებულ ნორმას: «საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება... საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე»**

**როდესაც მიხეილ სააკაშვილი მიხვდა, რომ მიქარა და კანონი ცალსახად დაარღვია, როგორც ჩანს, შეშინდა და „ფეისბუქში“ თავის მართლება დაიწყო,** რომლის დროს ასეთი ფორმულირება გამოიყენა: **„არავინ ისე არ ამაყობს ამ დროშით, როგორც მე, ვინაიდან, როცა შემომქონდა, მაშინაც მამოძრავებდა და ახლაც მამოძრავებს რწმენა, რომ ეს დროშა ყველაზე ზუსტად გამოხატავს ჩვენს ღირებულებებს“.** ამ, ერთი შეხედვით უაზრო პასაჟს ერთ ძალიან საინტერესო პრობლემამდე მივყავართ, რომელსაც თანამედროვე საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დავიწყოთ იმით, რომ კანონის გადასახედიდან, მნიშვნელობა არ აქვს იმას, რით ამაყობს მიხეილ სააკაშვილი, რა ამოძრავებს მას სავარაუდო მენტალური აშლილობის გარდა, რა ღირებულებებს გამოხატავს, მისი აზრით, ესა თუ ის დროშა და არა მგონია, ეს ვინმეს დიდად აინტერესებდეს. ეს, ალბათ, ჩვეულებრივი მანიპულაციაა, აპელირება ემოციების მიმართ, მაღალფარდოვანი (და ერთობ გაცვეთილი) სიტყვების გამოყენებით, რომლის მიზანი, სავარაუდოდ, საკითხის იმ სივრცეში გადატანაა, სადაც ერთმანეთს ესაზღვრება და გარკვეულწილად ერთმანეთში ირევა ცნებები „დანაშაული“, „შეცდომა“ და „ცოდვა“ და, შესაბამისად, „ამნისტირება“, „პატიება“ და „მიტევება“.

**ზოგმა** (ყველამ ნამდვილად არა) **შეიძლება აპატიოს სააკაშვილს და მის გარემოცვას პოლიტიკური შეცდომები და მიუტევოს მას, მიუხედავად იმისა, რომ ის არაფერს ნანობს, მაგრამ ამას დანაშაულისა და სასჯელის ჭრილში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს; თუ კანონი დაირღვა, დამნაშავე უნდა დაისაჯოს.** რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ამ სხვაობას ყველა როდი აფიქსირებს. არც გადაჭარბებული ჰუმანიზმი, არც რელიგიური შეხედულებები კანონის დაცვის ვალდებულებისგან არ გვათავისუფლებს და, **თუ მიხეილ სააკაშვილმა** (ან ნებისმიერმა სხვამ) **მოიპარა თუნდაც ერთი თეთრი ან თუნდაც ერთი ადამიანის ცემის** (არათუ წამების და მოკვლის) **ბრძანება გასცა, ის კანონის მოთხოვნის შესაბამისად უნდა დაისაჯოს. ნებისმიერი სხვა პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით კანონის უზენაესობის პრინციპის ამა თუ იმ ფორმით უარყოფას ეფუძნება და არსებითად ანტისახელმწიფოებრივია.** ხოლო იმას, რას გრძნობდა ფიგურანტი, რა ესიზმრებოდა და ელანდებოდა, მნიშვნელობა მხოლოდ იმის დადგენის თვალსაზრისით აქვს, იმყოფებოდა თუ არა ის კონკრეტულ მომენტში აფექტის მდგომარეობაში, შერაცხადი იყო თუ არა და ა. შ. აქედან გამომდინარე, შესაბამისი შედეგებით („ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი საგიჟეთში!“, როგორც იტყოდნენ ტოტალიტარული სადამსჯელო ფსიქიატრიის მამები, რომელთაც, ცხადია, არ მივბაძავთ).

ავლაბრის რეზიდენციის თავზე „ნაცმოძრაობის“ დროშის აღმართვა, ამ პარტიის წარმომადგენლის — გიორგი კანდელაკის აზრით, **„შემრიგებლურ სიგნალად უნდა აღვიქვათ“.** მან, აგრეთვე, თქვა, რომ **„ჩვენი დაპირისპირება და შუღლი მტერს აძლევს ხელს. ჩვენ უნდა გადავაბიჯოთ ამ ყველაფერს და უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი ქვეყნის მომავლის ინტერესით“** (ინტერპრესნიუსი). ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ რეზიდენციის თავზე „ნაციონალების“ დროშის აღმართვა საკუთარი ხალხისთვის ომის გამოცხადებას უფრო ჰგავდა, თუმცა ინციდენტის სუბიექტური აღქმა ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. „ნაციონალების“ ბოლოდროინდელ რიტორიკაში ნამდვილად იგრძნობა შერიგების, წარსულის დავიწყების, ხელის ჩამორთმევის მოტივები და, გამორიცხული არაა, რომ ყოველივე ამას ასახავენ კლიპში, რომლის გამო მათ რეზიდენციიდან სახელმწიფო დროშა ჩამოხსნეს.

ისე, საინტერეო კია, **რას უნდა გადავაბიჯოთ სინამდვილეში — გვამებს და სისხლის გუბეებს, რომელთაც სააკაშვილის რეჟიმი გვიტოვებს, ნაწამებ და გაუპატიურებულ ადამიანებს, გადამწვარ სოფლებს კონფლიქტის რეგიონებში, საკუთრებას, რომელიც ხელისუფლებამ მოქალაქეებს ჩამოართვა თუ რას? ან ხელი ვის უნდა ჩამოვართვათ? გაწიეთ თქვენი ბინძური, სისხლში გასვრილი ხელები!** ხოლო ის ცრუ სენტიმენტები, რომელთა მიმართ აპელირებთ, შეგიძლიათ მოიხმაროთ ისე, როგორც ბოლო ათი წლის განმავლობაში (არადანიშნულებისამებრ) ცოცხებსა და ხელკეტებს ხმარობდით.

ცხადია, ეს სუბიექტური პოზიციაა; ზოგმა, მაგალითად, ბატონმა დავით უსუფაშვილმა, შეიძლება ჩათვალოს, რომ ძველი რეჟიმის თავკაცებს ხელიც უნდა ჩამოართვას და მათთან ერთად „მომავლის ინტერესით იხელმძღვანელოს“. მაგრამ ამ **პოზიციებს, რომლებიც ზნეობრივი პრინციპების და (ფსევდო) პრაგმატულობის ზღვარზე ყალიბდება, ისევე, როგორც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა ნიანგის ცრემლებს, კანონის უზენაესობის კონტექსტში, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს — ყველა საქმე გამოძიებული უნდა იქნას, ხოლო დამნაშავე, მისი გამოვლენის შემთხვევაში, კანონის მოთხოვნის შესაბამისად დაისაჯოს. ალბათ, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ეს პოზიცია არც სასტიკია და არც რადიკალური, ის ერთადერთი შესაძლებელია სამართლებრივ დემოკრატიულ სახელმწიფოში.**

ჰუმანიზმის გამოვლენა და სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნა სავსებით ბუნებრივად გამოიყურება განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ მისი გამოყენება კანონიერების აღდგენის წინააღმდეგ მიმართულ ინსტრუმენტად, ალბათ, მაინც ამორალური და მიუღებელია. ამ **ცრემლებმა, ემოციურმა მონოლოგებმა თუ კლიპებმა არ უნდა დაგვავიწყოს ის, რომ პატიება, მიტევება და ამნისტირება ერთმანეთისგან განსხვავებული რამ არის და კანონმა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა იკანონოს** (ამას საზოგადოების მცირე ნაწილის გარდა, პრინციპში, არც არავინ ივიწყებს, თუმცა მნიშვნელოვანია, პრობლემის არსი ამ ადამიანებმაც გაიაზრონ).

გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციამდე დარჩენილ ას საათში მიხეილ სააკაშვილი, სავარაუდოდ, გააკეთებს ყველაფერს, რომ ოდნავ მაინც გაანეიტრალოს ის ნეგატიური ემოციები, რომლებიც მის პერსონასთან დაკავშირებით საზოგადოებაში დაგროვდა, და თავი ქვეყნის დამცველ (ჰალსტუხიან) რაინდად თუ არა, არასაშიშ ექსცენტრიულ პიროვნებად, ასე ვთქვათ, „თავისუფალ გიჟად“ წარმოაჩინოს. **ძნელი სათქმელია, რამდენი ადამიანი მოახერხებს** (თუნდაც ნაწილობრივ) **იმ ზიზღისა და სიძულვილის დაძლევას, რომელთაც სააკაშვილის მიმართ, მისი მმართველობის უმძიმესი შედეგებიდან გამომდინარე, გრძნობს, მაგრამ არც ეს განწყობები, არც ნაბიჯები, რომელთაც ამ დღეებში გადადგამს** (თუნდაც გაშიშვლდეს და ავლაბრის რეზიდენციასთან თავისი პარტიული დროშით ირბინოს), **არ უნდა აისახოს ჩვენს დამოკიდებულებაზე კანონის უზენაესობის პრინციპისადმი, რომელთანაც ყოველივე აღწერილს საერთო არაფერი აქვს.** ემოციები ერთია, კანონი კი — სულ სხვა რამ, ხოლო გიჟი თავისუფალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის არაადეკვატურობას შესაბამისი ექსპერტიზა ადასტურებს.

**ცრემლებმა, ემოციურმა მონოლოგებმა თუ კლიპებმა არ უნდა დაგვავიწყოს ის, რომ პატიება, მიტევება და ამნისტირება ერთმანეთისგან განსხვავებული რამ არის და კანონმა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა იკანონოს**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ დასავლეთი ახალ ხელისუფლებას სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელთა სისხლის სამართლებრივ დევნას უკრძალავს... არანაირი აკრძალვა და „წითელი ხაზი" არ არსებობს (მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ლობისტები საპირისპირო შინაარსის მითებს ავრცელებენ), საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ სიმტკიცის და თანმიმდევრულობის გამოვლენა, პროკურატურის რეალური ამუშავება სჭირდება, რომელსაც ამ პროცესში ცენტრალური როლი ენიჭება.**

# «ნაციონალებს» კბილაშვილი სანატრელი გაუხდებათ?

**არჩილ კბილაშვილმა მთავარი პროკურორის პოსტი დატოვა, მის შემცვლელად ოთარ ფარცხალაძე დასახელდა. მოჰყვება თუ არა ამ საკადრო გადაწყვეტილებას პროკურატურის გააქტიურება სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით და რა პოლიტიკური შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ამან? რა არ მოსწონდა საზოგადოებას კბილაშვილის მუშაობაში და რას ელოდება ახალი მთავარი პროკურორისგან? ვის სურს ფარცხალაძეში „ქართველი ვიშინსკი" დაინახოს? პასუხებს ამ კითხვებზე საზოგადოების პოლიტიკურად აქტიური ნაწილი, რამდენიმე დღეა, დიდი ინტერესით ეძებს.**





## ძველი ცოცხი ცუდად გვის

ვიდრე პერსონალიებზე გადავალთ, ალბათ, ორიოდე შტრიხით ის სიტუაცია უნდა აღვწეროთ, რომელიც ბიძინა ივანიშვილის გადადგომის შემდეგ შეიქმნება. **არავისთვის საიდუმლო არაა, რომ „ქართული ოცნების" მხარდამჭერთა ნდობა ივანიშვილის მიმართ მხოლოდ ნაწილობრივ ვრცელდება იმ პოლიტიკოსებზე, რომელთაც ის ხელისუფლებაში ტოვებს.** მიუხედავად იმისა, რომ ისინი ივანიშვილის რჩეულები არიან, საზოგადოება მათ ხშირ შემთხვევაში უნდობლობით ეკიდება და არ იცის, რას უნდა ელოდოს მათგან; განსაკუთრებით ეს მათ ეხება, ვინც პოლიტიკურ ავანსცენაზე არც ისე დიდი ხნის წინ გამოვიდნენ. **ირაკლი ღარიბაშვილის** (და მისი გუნდის) **წინაშე პოლიტიკური კაპიტალის სწრაფი დაგროვების ამოცანა დგას. მისი წარმატებული გადაწყვეტის გარეშე ახალ მთავრობას დიდი სირთულეები შეექმნება** (პრაქტიკულად გარდაუვალ) **მომავალ დაპირისპირებაში პარლამენტში გამაგრებულ პოლიტიკურ ჯგუფებთან,** რაზეც ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ყველასთვის ცხადია, რომ მყისიერად არც ეკონომიკური სასწაული მოხდება და არც გარღვევა უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის მიმართულებით (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ან, მაგალითად, ნატოში გაწევრიანება). **ერთადერთი თემა, რომელიც ღარიბაშვილის მთავრობას შემჭიდროებულ ვადებში ფართო მხარდაჭერის მოპოვების შესაძლებლობას მისცემს, სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელთა დასჯაა დანაშაულისთვის, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში, შესაძლოა, ჩაიდინეს** (იმისთვის, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დავარღვიოთ, ალბათ, აჯობებს ფორმულირებაში ეს „შესაძლოა" ჩავრთოთ), **რასაც საზოგადოების დიდი ნაწილი მოუთმენლად მოითხოვს.** იმ შემთხვევაში, თუ ახალი მთავრობა საქმით დაამტკიცებს, რომ კოჰაბიტაციის ძალზე არაპოპულარული პოლიტიკა წარსულს ჩაბარდა და ის ყველა დამნაშავის დასჯას აპირებს, დიდი ალბათობით, მოსახლეობის უმრავლესობის ნდობას და მხარდაჭერას მოიპოვებს.

**საქართველოში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ დასავლეთი ახალ ხელისუფლებას სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელთა სისხლის სამართლებრივ დევნას უკრძალავს.** მაგრამ აშშ-ის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებებში მსგავსი პოზიცია არ ფიქსირდება; ერთადერთი, რასაც ისინი მოითხოვენ, დამაჯერებელი მტკიცებულებები და პროცესების გამჭვირვალობაა. რა თქმა უნდა, მათთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა, რომ საკითხი დღის წესრიგიდან საერთოდ მოხსნილიყო, რადგან არ სურთ, კაცთმოძულე რეჟიმის სპონსორებად წარმოჩინდნენ, მაგრამ მყარი მტკიცებულებების წინააღმდეგ ისინი ვერ წავლენ, რადგან ეს უფრო დიდ საიმიჯო, ხოლო პერსპექტივაში, შესაძლოა, გეოპოლიტიკურ დანაკარგებს დაუკავშირდება. მოკლედ, **არანაირი აკრძალვა და „წითელი ხაზი" არ არსებობს** (მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ლობისტები საპირისპირო შინაარსის მითებს ავრცელებენ), **საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ სიმტკიცის და თანმიმდევრულობის გამოვლენა, პროკურატურის რეალური ამუშავება სჭირდება,**

**თუ არჩილ კბილაშვილი მაინც ორჭოფობდა და ფიქრობდა იმაზე, რა გამოხმაურება შეიძლება მოჰყოლოდა მის ნაბიჯებს ვაშინგტონსა და ბრიუსელში, ოთარ ფარცხალაძე მსგავსმა აზრებმა შეიძლება საერთოდ არ შეაწუხოს**

**რომელსაც ამ პროცესში ცენტრალური როლი ენიჭება.**

დღეს არჩილ კბილაშვილს ტალახს ესვრის ყველა, ვისაც კი არ ეზარება, თუმცა მისი „პერსონალური საკითხის განხილვა", ალბათ, „ნახევრადცარიელი თუ ნახევრადსავსე ჭიქის" პრობლემამდე მიგვიყვანს. **კბილაშვილს დიდ მინუსად შეიძლება ჩაუთვალონ ის, რომ საკადრო პოლიტიკა არასწორად წარმართა, არ გაწმინდა პროკურატურა „ნაციონალების" ერთგული კადრებისგან** (ფულის, კომპრომატის თუ სხვა მიზეზების გამო ინარჩუნებდნენ ამ ერთგულებას — ცალკე საუბრის თემაა) **და შედეგად მიიღო საბოტაჟი, უწყებიდან ინფორმაციის გაჟონვა და შეფერხებები უმნიშვნელოვანესი საქმეების გამოძიებაში**. სისუსტედ კბილაშვილს, აგრეთვე, შეიძლება ჩაუთვალონ გადაჭარბებული ჰუმანურობა, გაუბედაობა, ის (არცთუ უმნიშვნელო ნიუანსია), რომ როგორც ადვოკატი, ქვეცნობიერად ბრალდებულის მხარეს დგებოდა და ეს მტკიცებულებების შეგროვება-დამუშავების პროცესზე, მათი შეფასების კრიტერიუმებზე ბრალდებისთვის საზიანო ზეგავლენას ახდენდა. მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც აქვს — **მთელ რიგ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით გამოძიებამ წინ წაიწია და, რაც მთავარია, კბილაშვილის ხელმძღვანელობის თვეებში დაიწყო პროკურატურის, როგორც რეპრესიული მანქანის, დემონტაჟი, მისი გათავისუფლება იმ ფუნქციისგან, რომელსაც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ასრულებდა.** ამას კი, ტაქტიკური პრობლემების მიუხედავად (პროკურატურა უბრალოდ არ „დებდა" იმ შედეგს, რომელსაც მისგან საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვდა), გრძელვადიან პერსპექტივაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, **არჩილ კბილაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდთან დაკავშირებით, ცალსახად დადებითი ან უარყოფითი დასკვნის გამოტანა, ალბათ, არ გამოგვივა. ამ ურთულეს გარდამავალ პერიოდში, ცალსახა ნეგატივის გარდა, ალბათ, პოზიტიური მომენტებიც უნდა დავინახოთ.** მაგრამ ისიც აშკარაა, რომ **ყოფილი მთავარი პროკურორის მართვის სტილი და შესაძლებლობები იმ გამოწვევების შეუსაბამოა, რომელთაც პროკურატურას პოსტკოჰაბიტაციური რეალობა უყენებს.**

**იმისთვის, რომ «ნაციონალების» ლიდერებმა ერთმანეთის წინააღმდეგ გამანადგურებელი აღიარებითი ჩვენებების მიცემა დაიწყონ, საჭიროა ორიოდე საათი და ვიწრო პროფილის რამდენიმე სპეციალისტი**

## პროკურორებად არ იბადებიან

**არჩილ კბილაშვილისგან განსხვავებით, რომელიც თანამდებობაზე დანიშვნამდეც საკმაოდ ცნობადი პიროვნება იყო, ოთარ ფარცხალაძის შესახებ საზოგადოებამ ძალიან ცოტა იცის.** ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის გვარმა ბოლო თვეებში მედიაში ორჯერ გაიჟღერა: დიდი ოდენობის თანხის მითვისება-გაფლანგვისთვის თბილისის მერიის თანამშრომელთა დაკავების ეპიზოდთან დაკავშირებით (იმ დღეს თბილისს ნატოს გენმდივანი და წარმომადგენლობითი დელეგაცია სტუმრობდა) და ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟის გამო, რომელსაც კინაღამ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება მოჰყვა. როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში ფარცხალაძე ნაკლებად ფიქრობდა თავისი გადაწყვეტილებების პოლიტიკურ შედეგებზე და, კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, უბრალოდ აკეთებდა იმას, რაც კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა. **თუ არჩილ კბილაშვილი მაინც ორჭოფობდა** (და ეს ზოგიერთი ინტერვიუს ქვეტექსტში აშკარად იგრძნობოდა) **და ფიქრობდა იმაზე, რა გამოხმაურება შეიძლება მოჰყვეს მის ნაბიჯებს ვაშინგტონსა და ბრიუსელში, ოთარ ფარცხალაძე მსგავსმა აზრებმა შეიძლება საერთოდ არ შეაწუხოს.** კაცმა რომ თქვას, ამ (გეო)პოლიტიკურ მატერიებზე ფიქრი მთავარი პროკურორის საქმე არც არის.

„ნაციონალები" მათთვის ერთ-ერთ ყველაზე ცუდ ვარიანტად მთავარ პროკურორად ლაშა ნაცვლიშვილის დანიშვნას განიხილავდნენ და ამ გადაწყვეტილების გაჟღერებისთანავე დიდი საინფორმაციო შეტევის დაწყებას აპირებდნენ (თავდასხმები ნაცვლიშვილზე, პრინციპში, არც არასოდეს შეუწყვეტიათ, უბრალოდ, მათი მასშტაბი მკვეთრად გაიზრდებოდა), რათა ახალი მთავარი პროკურორის დისკრედიტაციით, პროკურატურის (და შესაბამისად, მისი ბრალდებების) გაუფასურება მოეხდინათ. მაგრამ ხელისუფლებამ ავანსცენაზე არა ნაცვლიშვილი ან სხვა, „ქართულ ოცნებასთან" აშკარად ასოცირებული პიროვნება, არამედ ნაკლებად ცნობადი, ერთი შეხედვით ნეიტრალური ფიგურა გამოიყვანა და ამ მხრივ ქვეყნის ყოფილ მმართველებს საქმე გაურთულა.

**ზოგიერთმა „ძირძველმა" და თანმიმდევრულმა ოპოზიციონერმა ახალ გენპროკურორს შეიძლება მინუსად ჩაუთვალოს ის, რომ ის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სააკაშვილის მმართველობის წლებშიც მუშაობდა** (ისევე, როგორც ახალი შს მინისტრი მერაბიშვილის პოლიციაში, თანაც ბოლო მომენ- ▶

**მაშინ, როცა, გავრცელებული ინფორმაციით, ბიუჯეტში 600 მილიონ ლარამდე გარღვევაა, როცა უმუშევართა რიცხვი გაიზარდა და ათასობით ოჯახს დახმარება მოუხსნეს, „მეოცნებე“ დეპუტატები თავს უფლებას აძლევენ, პრემიებით გაიხალისონ ცხოვრება.**

შენც ბრუტუს?!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ტამდე), **თუმცა გამოცდილება ცხადყოფს, რომ ყველაზე შედეგიანად ყოფილი ხელმძღვანელების წინააღმდეგ მათივე კადრები მოქმედებენ.** არანაირი პარალელები, მაგრამ 1938-ში შინსახკომში ეჟოვის გუნდი არა ბერიას მიერ მოყვანილმა ახალმა კადრებმა დაგლიჯეს (ამ სიტყვის ლამის პირდაპირი მნიშვნელობით), არამედ ეჟოვის ყოფილმა ხელქვეითებმა, რომელნიც ახალი ხელმძღვანელობის წინაშე თავის წარმოჩენას გაათმაგებული ენერგიით ცდილობდნენ. მოგვიანებით, ლავრენტი პავლოვიჩმა მათი უმრავლესობა იგივე გზას გაუყენა, თუმცა ზოგიერთი „განსაკუთრებით ნიჭიერი“ უწყებაში დატოვა.

**ფარცხალაძის დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი ღარიბაშვილის პროტექციასთან ერთად, შესაძლოა, მისმა სამუშაო გამოცდილებამ შეასრულა. მას, პრინციპში, საკმარისი გამოცდილება აქვს იმისთვის, რომ „შავი ფულის“ კვალზე გავიდეს, ბიძინა ივანიშვილი კი ყოფილი მმართველების** (შესაძლოა, დანაშაულებრივი) **საქმიანობის ამ ასპექტს ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა. დაუდასტურებელი, თუმცა ფართოდ გავრცელებული ინფორმაციით, მან სპეციალური საგამოძიებო** (ცხადია, არაფორმალური) **ჯგუფი, რომელსაც უნდა დაედგინა, თუ როგორ მუშაობდა „ნაციონალების“ საიდუმლო ბუღალტერია, ჯერ კიდევ არჩევნებამდე შექმნა.**

ბოლო თვეებში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე ფარცხალაძე საკმაოდ აქტიურად მუშაობდა (განსაკუთრებით, თბილისის მერიის მიმართულებით) და გამორიცხული არაა, რომ კბილაშვილის უწყების ინერტულობის ფონზე, ახალი ხელისუფლების თავკაცებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დღეებში მას (შესაძლოა, მიზანმიმართულად) ეფექტური „შემსრულებლის“ იმიჯი უყალიბდება და ეს ქვეტექსტი მედიასა და სოციალურ ქსელებში ნამდვილად იგრძნობა.

საერთოდ, **იმისთვის, რომ „ნაციონალების“ ლიდერებმა ერთმანეთის წინააღმდეგ გამანადგურებელი აღიარებითი ჩვენებების მიცემა დაიწყონ, საჭიროა ორიოდე საათი და ვიწრო პროფილის რამდენიმე სპეციალისტი.** სიმართლე რომ ვთქვათ, საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი თანახმაა, თვალი დახუჭოს მსგავსი ჩვენებების ზეწოლით მიღებაზე, მაგრამ ეს ბინძური თამაში და კანონიერების გზიდან გადახვევა იქნება. საკითხი, ალბათ, ცოტა სხვაგვარად დგას: **არის თუ არა კბილაშვილის პოლიტიკასა და აშკარა უკანონობას შორის, რომელსაც „ნაციონალები“ მიმართავდნენ, სივრცე, რომელშიც ახალი მთავარი პროკურორი შეძლებს უფრო ეფექტურად იმოქმედოს, ისე, რომ საბედისწერო ზღვარი არ გადალახოს? შესაძლოა, გამოსავალი განსხვავებულ საკადრო პოლიტიკასა და უწყების მართვის უფრო მკაცრ სტილში მდგომარეობს.**

### ვნახოთ, ვისი აჯობებს

ახალ პროკურორს, ისევე, როგორც ღარიბაშვილის მთავრობას, მალე, დიდი ალბათობით, არამხოლოდ „ნაციონალები“, არამედ რესპუბლიკელები და ალასანიას ჯგუფი დაეჯახებიან (ჩვენ ამჯერად განვიხილავთ იმ ვარიანტს, რომლის ფარგლებში ღარიბაშვილის მთავრობა ენერგიულად დაიწყებს სამართლიანობის რეალურ აღდგენას, ისე, როგორც ამას საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვს). ერთ-ერთ ფორმალურ საბაბად შეიძლება იყოს გამოყენებული დასავლეთის თითქოს მზარდი შეშფოთება ყოფილი მაღალჩინოსნების სისხლის სამართლებრივი დევნის გამო, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს ევროინტეგრაციას, თუმცა რეალურად საქმე, სავარაუდოდ, საკმაოდ მარტივ გათვლასთან გვექნება: **თუ ყოფილ მმართველებს თემიდასთან სერიოზული პრობლემები შეექმნებათ და ახალი ხელისუფლება, ამასთანავე, მათ საიდუმლო ფონდებს მისწვდება, „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ უფრო დასუსტდება და კრახის პირას დადგება. „ნაცმოძრაობის“ განადგურებას კი, თუნდაც პარლამენტში ძალთა განლაგებიდან გამომდინარე, აუცილებლად მოჰყვება ალასანია-რესპუბლიკელების გავლენის სფეროს მკვეთრი შეზღუდვა და ეს პერსპექტივა ფიგურანტებს, ბუნებრივია, არ ხიბლავს.**

**გამორიცხული არაა, ორმა ხსენებულმა ჯგუფმა, განსაკუთრებით კი რესპუბლიკელებმა** (ალასანიას ჯგუფი ებღაუჭება მაღალ პოსტებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში და მისი მდგომარეობა ამ სიტუაციაში ორაზროვანია) **ფარულ ალიანსში „ნაციონალებთან“, მალევე სცადოს ღარიბაშვილის გუნდის დისკრედიტაცია** (კონფრონტაციული სცენარის ფარგლებში კი — თანამდებობებიდან მისი წარმომადგენლების გადაყენება) **მანამ, სანამ ის „ფეხზე დადგება“ და მოსახლეობის სერიოზულ მხარდაჭერას მოიპოვებს.** თუ ჩვენ ყურადღებით გავაანალიზებთ, საიდან მოდის დღეს „დასავლეთი გაგვიბრაზდება“ ტიპის აგიტაცია სამართლიანობის აღდგენის წინააღმდეგ, დიდი ალბათობით, მივალთ დასკვნამდე, რომ მის უკან მხოლოდ „ნაციონალები“ როდი დგანან. მაგრამ, ალბათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ **რესპუბლიკელები თავიანთ გათვლებში მეტ-ნაკლებად პრაგმატულები არიან** (წინააღმდეგ შემთხვევაში ამდენ ხანს ქართულ პოლიტიკაში ვერ გაძლებდნენ). **თუ ღარიბაშვილის გუნდი თავიდანვე აჩვენებს, რომ ის საკმარისად ძლიერი და გაბედულია, ისინი, სავარაუდოდ, თავს შეიკავებენ მასთან ფრონტალური დაპირისპირებისგან სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოებაში, ალბათ, ძალზე პოპულარული იქნება, და შეეცდებიან, გავლენის შენარჩუნების ალტერნატიული სტრატეგიები მოძებნონ.**

**დიმიტრი მონიავა**

# ახალი მთავრობის მადა

## ივანიშვილის მინისტრებისა და დეპუტატების პრემიები



**ივანიშვილის მთავრობის წევრებს სტომაქები და ლოყები ზომაზე მეტად დაუმრგვალდათ. მადა რომ ჭამაში მოსდით, ამას მათ მიერ ბიუჯეტიდან მიღებული პრემიები და თანამდებობრივი სარგოებიც მოწმობს. მართალია, ივანიშვილი გვარწმუნებდა, რომ მისი მთავრობის მინისტრები, სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად, პირად ფუფუნებაზე არ იფიქრებდნენ, მაგრამ ფაქტები სულ სხვას მეტყველებს. ივანიშვილის მთავრობაში იმაზე მეტად შეისისხლხორცეს სააააკაშვილის ხელისუფლების მანკიერი მხარეები, ვიდრე ამას წარმოვიდგენდით: მინისტრებმა პირველივე თვეს საკუთარ თავს მაღალი ფულადი პრემიები გამოუწერეს, ავტოპარკი გადაიხალისეს, კაბინეტები საკუთარი გემოვნებით მოიწყვეს და, როგორც იტყვიან, ხალხის ხარჯზე გაინავარდეს.**

ხადურმა მინისტრად დანიშვნისთანავე დაისაჩუქრა თავი ორმაგი ხელფასებით. პრემიები ჩამოირიგეს სხვა მინისტრებმაც, „საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, რამდენით დაიჯილდოვეს თავი „მეოცნებე“ დეპუტატებმა და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მასალებს გაეცნო.

**მაშინ, როცა, გავრცელებული ინფორმაციით, ბიუჯეტში 600 მილიონ ლარამდე გარღვევაა, როცა უმუშევართა რიცხვი გაიზარდა და ათასობით ოჯახს დახმარება მოუხსნეს, „მეოცნებე“ დეპუტატები თავს უფლებას აძლევენ პრემიებით გაიხალისონ ცხოვრება.**

როგორც ამ მასალებიდან დასტურდება, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა პრემიის სახით 9162 ლარი მიიღო. პარლამენტის თავმჯდომარეებისა და პარლამენტის წევრების პრემიები 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე პერიოდს მოიცავს. „საქართველო და მსოფლიომ“ ამოკრიბა იმ დეპუტატთა სია, რომლებმაც ახალი მოწვევის პარლამენტში ყველაზე დიდი რაოდენობის პრემიები აიღეს. ვნახოთ, როგორ დაიჯილდოვეს თავი 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის თებერვლამდე რესპუბლიკელების, ალასანიას გუნდისა და უმრავლესობის სხვა „მეოცნებე“ დეპუტატებმა: დავით უსუფაშვილი — 9162 ლარი; მურმან დუმბაძე — 8831; მანანა კობახიძე — 8662; ზურაბ აბაშიძე — 8589; ზვიად ძიძიგური — 8562; გიორგი ბარამიძე — 8562; ირაკლი ჩიქოვანი — 8495; დავით ონოფრიშვილი — 7631; გიგლა აგულაშვილი — 7604; ირინე იმერლიშვილი — 7577; დავით ბერძენიშვილი — 7531; ზაქარია ქუცნაშვილი — 7504; ვახტანგ ხმალაძე — 7502; ვიქტორ დოლიძე — 7389; ეკა ბესელია — 7362; ერეკლე ტრიპოლსკი — 7362; ზურაბ ტყემალაძე — 7362; გუბაზ სანიკიძე — 7362; თედო ჯაფარიძე — 7362.

**ამ ფაქტების გახმაურების შემდეგომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტის წევრების პრემიებით დაჯილდოების პრაქტიკა გაუქმდებოდა. როგორც IDFI-ის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციიდან ირკვევა, პრემიის გაცემის პრაქტიკა 2013 წლის იანვრიდან მართლაც გაუქმებულია. თუმცა 2013 წლის მარტში აპარატის თანამშრომლებზე პრემიის სახით კვლავ გაიცა 434 ათას 958 ლარი.** მალევე ივანიშვილის პარლამენტმა ახალი ტაქტიკა მოიფიქრა: **2013 წლის იანვრისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის არსებული სახელფასო დანამატები გაიზარდა, ანუ რა მნიშვნელობა ჰქონდა, ამას პრემიას დაარქმევდი თუ სხვა სიტყვას ქართული ლექსიკონიდან, ფინანსური შემოსავლები ახალი მოწვევის პარლამენტარებს ისევე გაეზარდათ, როგორც წინას.**

2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის აპრილის ჩათვლით **საქართველოს პარლამენტის წევრებზე პრემიის სახით სულ გაცემულია 2 მილონ 702 ათას 646 ლარი.** აღნიშნული თანხიდან წინა მოწვევის პარლამენტის პირობებში (2012 წლის იანვარი-ოქტომბერი) გაცემულია 1 მილიონ 746 ათას 258 ლარი, ხოლო ახალი მოწვევის პარლამენტის პირობებში (2012 წლის ნოემბერი – 2013 წლის აპრილი) – 956 ათას 389 ლარი. ამავე დროს სახელფასო დანამატებით სულ გაცემულია 2 მილიონ 938 ათას 319 ლარი, საიდანაც წინა მოწვევის პარლამენტის პირობებში გაცემულია 1 მილიონ 415 ათას 043 ლარი, ხოლო ახალი მოწვევის პარლამენტის პირობებში – 1 მილიონ 523 ათას 276 ლარი.

ეს მხოლოდ ინფორმაციის ნაწილია, ასევე დაუდასტურებლად ვრცელდება ინფორმაცია, ახალი ავტომანქანებისა და სხვა ბიუროკრატიული ფუფუნებით თავის განებივრების შესახებ.

ანალოგიური სიტუაციაა ივანიშვილის მთავრობის სამინისტროებშიც. IDFI-ის ინფორმაციით, **ფინანსთა მინისტრმა ხადურმა, ჯერ კიდევ ერთი თვის დანიშნულმა, ნოემბერ-დეკემბერში საკუთარ თავს 3540-3540 ლარიანი პრემია გამოუწერა, მის მოადგილე გიორგი თაბუაშვილს პრემიის სახით — 2950-2950 ლარი, ხოლო დავით ლეჟავასა და დავით ებრალიძეს 2720-2720 ლარი შეხვდათ.** 2130 ლარი მიიღო ხადურის მთავარმა მრჩეველმა კონსტანტინე კინწურაშვილმა. ხოლო ბიუროს უფროს დავით შაქარაშვილს ხადურმა ნოემბერში 6390 ჩაურიცხა, დეკემბერში კი — 2130 ლარი. ნოემბერში დეპარტამენტებისა და სამსახურების უფროსები ხადურმა 6390-ლარიანი პრემიით დააჯილდოვა, დეკემბერში კი — 2130 ლარით.

**რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ნოემბერში პრემიის სახით ჩაირიცხა 3000 ლარი; 2000 ლარით დააჯილდოვა მოადგილე, 1800 ლარით — სამი თანამდებობის პირი და პრემიის გარეშე დატოვა დანარჩენი თანამშრომლები.** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სრულყოფილი ინფორმაციის გაუცემლობა კონსტიტუციის 41-ე მუხლით ახსნა და ორგანიზაციას მხოლოდ დაჯამებული პრემიების ოდენობა გაუმხილა. როგორც ირკვევა, **ყიფიანმა თანამდებობის პირებზე ნოემბერში 22 ათას 300 ლარი გასცა, ხოლო რიგით თანამშრომლებზე გაცილებით ნაკლები — 12 ათას 600 ლარი. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პრემია ნოემბერში გამოიწერა, თანხამ 2832 ლარი შეადგინა. 2360-2360 ლარი მიიღეს მისმა ორმა მოადგილემ, ხოლო მესამეს 2176 ლარი ხვდა წილად. თანამშრომლებზე კი ნოემბერში 14 ათას 592 ლარის ოდენობით გაიცა პრემია.**

**მთავარ პროკურატურაში თანამშრომლებზე ერთი წლის განმავლობაში პრემიის სახით 4 მილიონ 620 ათას 956 ლარი გაიცა.**

აწ უკვე ყოფილმა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშილმა და მისმა მოადგილეებმა: ლაშა ნაცვლიშვილმა, დავით მჭედლიშვილმა და შოთა რეხვიაშვილმა თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ყოველთვიურად პრემიის სახით 5870 ლარი მიიღეს. ეს ტრადიცია 2013 წელსაც გაგრძელდა.

**ახალი ხელისუფლების პირობებში ყველაზე მეტი პრემია თავდაცვის სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტში გაიცა.** „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, **ოქტომბრიდან თებერვლამდე პერიოდში თავდაცვის უწყებამ 5 მილიონ 663 ათას 731 ლარის პრემია გასცა, ფინანსთა სამინისტრომ ოქტომბერ-მარტის განმავლობაში — 1 მილიონ 537 ათას 315 ლარი; საქართველოს პარლამენტმა კი ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე — 3 მილიონ 41 ათას 492 ლარი.**

რაც შეეხება უფრო კონკრეტულ მონაცემებს ცალკეული უწყებების მიერ გაცემული თანხების შესახებ, პრემიები შემდეგნაირად ნაწილდება:

**ოქტომბერ-თებერვალში:**

მთავრობის კანცელარია — 994 ათას 832 ლარი, საგარეო საქმეთა სამინისტრო — 987 ათას 006 ლარი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო — 800 ათას 647 ლარი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო — 493 ათას 716 ლარი, ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო — 476 ათას 270 ლარი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო — 251 ათას 965 ლარი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო — 249 ათას 389 ლარი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი — 197 ათას 179 ლარი, სასჯელაღსრულების სამინისტრო — 150 ათას 470 ლარი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი — 131 ათას 660 ლარი, იუსტიციის სამინისტრო — 34 ათას 552 ლარი;

**ოქტომბერ-მარტში:**

გარემოს დაცვის სამინისტრო — 284 ათას 850 ლარი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 733 ათას 270 ლარი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო — 594 ათას 890 ლარი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო — 572 ათას 013 ლარი, ჯანდაცვის უწყება — 513 ათას 900 ლარი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი — 85 ათას 603 ლარი.

**ეს ივანიშვილის მთავრობის მიერ ბიუჯეტიდან ფულის ხარჯვისა და პრემიების ჩამორიგების მხოლოდ მცირე ნაწილია, ჩვენ აუცილებლად დავინტერესდებით სამინისტროების, მინისტრებისა და დეპუტატების ავტოპარკისა და სხვა ხარჯებით და მოძიებულ მასალას მკითხველს უახლოეს ნომერში გავაცნობთ.**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნინო ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკოსი, დამთავრებულია, რადგან მომავალ არჩევნებში ვერ ვხედავ ისეთ პოლიტიკურ „რასკლადს“, როდესაც ქვეყნისა და ნინო ბურჯანაძის პირადი ინტერესები გადაიკვეთება.**

## მოგმართავთ წინადადებით — დავიწყოთ საპროტესტო აქციები ერთადერთი მოთხოვნით:

**ამ მოთხოვნას ქუდზე კაცი გამოეხმაურება საქართველოში, თუ არადა, ქართველებო, მაშინ იმის ღირსები ვყოფილვართ, რაც წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვეწევა — «დაუმარხავი მკვდარი», როცა იქნება, საბოლოოდ მოგვაოხრებს...**

# დააპატიმრეთ სააკაშვილი!!!

**კოჰაბიტაცია ანთებული ნათურა არ არის, რომ, როცა გინდა, „ვიკლუჩატელით“ გამორთო, ანუ მყისიერად დაამთავრო, რასაც საპრეზიდენტო არჩევნებამდე გვპირდებოდა მარგველაშვილი! აკი ვერც დაამთავრა, რადგან კოჰაბიტაცია „ნაცების“ გადასარჩენად ამერიკიდან „შემოგდებული“, ზედმიწევნით დაგეგმილი, პუნქტობრივად გაწერილი პროცესია და 27 ოქტომბერს კოჰაბიტაციის მორიგი ეტაპი მხოლოდ დასრულდა!**




მკითხველს უთუოდ ემახსოვრება, საპრეზიდენტო არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე ვწერდი, რომ ეს ყველაფერი (კოჰაბიტაციის მიმდინარე პროცესი) რალაცნაირად გეიაღლუმს მაგონებს, რომელიც 27 ოქტომბერს პოლიტიკურად ერთსქესიანი წყვილის, „ნაცებ-ქოცების“ ქორწინებით და საზეიმო ქორწილით დასრულდება-თქო და მგონი, არც შევმცდარვარ — **ყველამ კარგად ვიხილეთ ერთი, ნეოლიბერალური იდეოლოგიის მიმდევარი „ნაციონალ-ოცნებისტები“, ანუ პოლიტიკურად ერთსქესიანი გიორგი მარგველაშვილი და დავით ბაქრაძე როგორი გაბადრული სახეებით ულოცავდნენ ერთმანეთს გამარჯვებას!**

დიახ, არ მეშლება! ამ არჩევნებს 2 გამარჯვებული ჰყავს, რადგან განვლილი არჩევნები, ალბათ, ერთადერთი არჩევნები იყო მსოფლიო ისტორიაში, რომელშიც მეორე ადგილზე გასვლა ლამის პირველზე მეტად ფასობდა! შარშანდელი 1 ოქტომბრისა არ იყოს, როდესაც სააკაშვილის 9-წლიანი ტერორით განაწამებმა და ივანიშვილის იმედით, თუმცა მისივე ავტორიტეტით დათრგუნულმა ქართველმა ხალხმა, ოღონდ მიშნაცები გადაშენებულიყვნენ, იძულების კბილთაღრჭენით მისცა ხმა „ნაცებზე“ არანაკლებ საძულველ რესპუბლიკელებს, წელსაც ივანიშვილის „წყალობით“ ასარჩევი არაფერი გვქონდა — მარგველაშვილი კი არა, სარი რომ ჩაერჭო მიწაში ბიძინას, ის გახდებოდა საქართველოს პრეზიდენტი!

**„ნაცებისთვის“ კი ბაქრაძის მეორე ადგილი გამარჯვებას ნიშნავდა. „ნაცების“ გამარჯვება კი, როგორც ყოველთვის 9 წლის მანძილზე ყველა არჩევნების შემდეგ, სამწუხაროდ, ისევ ქართველი ერის დამარცხებაა!**

აქამდე, მთელი წელიწადი ხომ გვაყურებინეს ამაზრზენი კოჰაბიტაციისთვის? 27-ში „ერთსქესიანთა ქორწინებაც“ ხომ ვნახეთ? და ახლა დამარცხებულმა ქართველმა ერმა ქორწილის შემდგომ თაფლობის თვეს უნდა ვუყუროთ — თუმცა რაღა ვუყუროთ? უკვე დავიწყეთ მრავალსერიანი ტრაგიკომედიის ყურება და, თუ მხოლოდ პასიური მაყურებლები ვიქნებით და ბოლომდე ვაცლით კოჰაბიტაციის რეჟისორ-არტისტებს და სცენარში კორექტივებს არ შევიტანთ, საქართველოსთვის ეს ფილმი „ჰეფი ენდით“ არ დასრულდება...

### საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი?

არაერთხელ შეუმკია ასეთი ეპითეტით ბატონ ბიძინას „ქსლისა მბეჭველი“ მარგველაშვილი, მაგრამ... როდესაც გიორგი მარგველაშვილზე „დადებულ“ კომპრომატებს ვკითხულობ, აკაკის „გამზრდელი“ მახსენდება. არა, ჭორიკანა დედაკაცობას არ ვიკადრებ, ანუ სულ არ მაინტერესებს, კანონიერ ცოლთან ცხოვრობს თუ „უკანონო საყვარელთან“, მაგრამ ვერც იმას „გავატარებ“, რაც ქართველი ერზე დაუწერია მაშინ, როდესაც ლიბერასტობის დამწყებ კურსებს გადიოდა „თავისუფლების ინსტიტუტში“ თუ მის სიახლოვეს, სოროსის სოროში და სუყე გრანტის მოლოდინში ლიბერასტობდა.

თავად განსაჯეთ, რასთან გვაქვს საქმე მარგველას „ფილოსოფიური ტრაქტატიდან“ ქართველი ერის მიმართ ერთი ამონარიდის მაგალითზე:

„დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ მდგომარეობამდე“.

ჰოდა, მოდი და ნუ შეაწუხებ აკაკის აჩრდილს — „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“...

მართალია, არც ბიძინა მემეტება სასიკვდილოდ, მაგრამ პლასტელინის ამ ბრიყვულ საქციელზე მაინც „პასუხს მისგან მოველიო“... — „გუშინ“ ამისთანას მკადრებელი საკუთარი სამშობლოს მიმართ „ხვალ“ შეიძლება „ღირსეული პრეზიდენტი“ რომ იყოს, ბატონო ბიძინა?

ახლა მავანი იქნებ შემომედავოს კიდეც, — ეგ ამონარიდი იქნებ კონტექსტიდან არის ამოვარდნილიო და რას გეტყვით, იცით? ბევრი ასეთი „კონტექსტიდან ამოვარდნა“ გვახსოვს: ლაშა ბუღაძის პასკვილი თამარ მეფის მიმართ, ზურაბ ჭიაბერაშვილის „ფალოს-ოფია“ ქართლის დედაზე, ეკო დეისაძის „საიდუმლო სირობა“ თუ ზაზა ბურჭულაძის აშკარა სექსუალური ლტოლვა საკუთარი დედის მიმართ და გნებავთ, მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიის ერთი პარადიგმა, რომ თურმე „ჭეშმარიტება უფრო მაღლაა, ვიდრე სამშობლო“ და აგერ, სულ ახლახან ლევან ბერძენიშვილის — „მე და ღმერთი სხვადასხვა ლიგაში ვთამაშობთო“... მსგავსი „ფილოსოფიური შედევრების“ ჩამოთვლა კიდევ ბევრის შეიძლება — ასეა, როდესაც ლიბერასტული მიეთ-მოეთის აზარტში შესულებს „კუდზე ფეხს დაადგამ“, მხოლოდ მაშინ ახსენდებათ „კონტექსტიდან ამოვარდნები“...

## ხელისუფლებაში ბლომად არიან ისეთები, ვისაც სააკაშვილის დაჭერა არც აქამდე უფიქრიათ!

### დახურული პოლიტიკური პროცესი, ანუ რა ღირს ოპოზიცია?

**განვლილი არჩევნების შედეგებმა ისიც აჩვენა, რომ პოლიტიკური პროცესი, როგორც ასეთი, კვლავ მონოპოლიზებულია, ანუ დახურული. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ, თუ ადრე ერთი მონოპოლისტი იყო პოლიტიკურ ავანსცენაზე „ნაცების“ სახით, ახლა ორნი არიან „ოცნებისტებთან“ ერთად და ორმა სახელისუფლო პარტიამ ნებით თუ უნებლიეთ კოჰაბიტირებულად დაადგინა განვლილ არჩევნებზე საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის ფასი — „ნაცები“ 20 %, ხოლო არასაპარლამენტომ „ნოლშჩემტო“ პროცენტზე მეტი ვერ „გაქაჩა“...**

არა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ეს თავად ე. წ. ოპოზიციის ბრალია, რადგან მათ წლების მანძილზე სარფიან პროფესიად გაიხადეს ოპოზიციონერობა (ღარიბი ოპოზიციონერი ლიდერი გინახავთ?) და ამიტომაც დაიმსახურეს ქართველი საზოგადოების უნდობლობა და აქედან გამომდინარე „ე. წ.“-ს თიკუნი, მაგრამ ეს სტატუს ქვო რომ ერთნაირად ხელს აძლევთ „ნაცებ-ქოცებს“, ესეც ფაქტია!..

**რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის „ფენომენს“, სულ ტყუილად იფშვნეტენ ხელებს „ნაცებ-ქოცების“ ლიბერასტულ პროდასავლურ ნაწილში, რომ ბურჯანაძის 10% გამოხატავს ქართველ საზოგადოებაში პრორუსულად განწყობილთა რაოდენობას და დანარჩენი 90% ნატოზე ოცნებაში ალამ-ათენებს.** არა, რადგან ამ არჩევნებში ქვეყნის საგარეო ვექტორის მიმართულება კი არა, კოჰაბიტაციის ბედი წყდებოდა და ნინო ბურჯანაძემ იმავე „ოცნების“ იმ მხარდამჭერთა ხმები მიიღო, რომელთაც ყველაზე მეტად ბაქრაძის მეორე ადგილი, ანუ „ნაცების“ მთავარ ოპოზიციურ ძალად ოფიციალურად დაფიქსირება არ უნდოდათ!

ნინო ბურჯანაძის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ წინასაარჩევნოდ მარგველაშვილის დამარცხება გაიხადა მიზნად, რაც ყველა შემთხვევაში უტოპია იყო!

**ბურჯანაძის სლოგანი დაახლოებით ამ შინაარსისა უნდა ყოფილიყო — ვიცი, რომ ვერ გავიმარჯვებ, მაგრამ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ბაქრაძეს უნდა ვაჯობო და, თუ მეორე ტური იქნება, მარგველაშვილს უბრძოლველად მივულოცავ გამარჯვებას და მომავალი არჩევნებისთვის დავიწყებ მზადებას!** — ასეთ შემთხვევაში გაცილებით მეტ ხმებსაც მიიღებდა და, რაც ყველაზე მთავარი იქნებოდა მისთვის, მომავალი არჩევნებისთვის იქნებ მართლაც საფუძვლიანი ამბიციები ჰქონოდა, მაგრამ ჩვენში როდის და ვის უნახავს მხოლოდ „ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე“ მოქმედი პოლიტიკოსი?..

აქედან გამომდინარე, **ჩემის აზრით, ნინო ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკოსი, დამთავრებულია, რადგან მომავალ არჩევნებში ვერ ვხედავ ისეთ პოლიტიკურ „რასკლადს“, როდესაც ქვეყნისა და ნინო ბურჯანაძის პირადი ინტერესები გადაიკვეთება.** არადა, ვიმეორებ: სწორედ ისეთი მომენტი გაუშვა ხელიდან ნინომ, ▶



## ყველამ კარგად ვიხილეთ ერთი, ნეოლიბერალური იდეოლოგიის მიმდევარი «ნაციონალ-ოცნებისტები», ანუ პოლიტიკურად ერთსქესიანი გიორგი მარგველაშვილი და დავით ბაქრაძე როგორი გაბადრული სახეებით ულოცავდნენ ერთმანეთს გამარჯვებას!

ბიძინა ივანიშვილი ახლაც კი, როცა მიდის, არ იღლება რესპუბლიკელების ქება-დიდებით და, რასთან გვაქვს საქმე, თავად განსაჯეთ — ესენი სააკაშვილის დაჭერას არ აპირებენ, რაც იმასაც ნიშნავს, რომ არც გიგანტ გიგა ბოკერიას, არც გია ბარამიძეს და სხვა ბოზბოლებს არ აგებინებენ პასუხს, დაჭერილებსაც მალე გამოუშვებენ!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ესენი სააკაშვილის დაჭერას არ აპირებენ, რაც იმასაც ნიშნავს, რომ არც გიგანტ გიგა ბოკერიას, არც გია ბარამიძეს და სხვა ბოზბოლებს არ აგებინებენ პასუხს, დაჭერილებსაც მალე გამოუშვებენ!



**ბურჯანაძის სლოგანი დაახლოებით ამ შინაარსისა უნდა ყოფილიყო — ვიცი, რომ ვერ გავიმარჯვებ, მაგრამ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ბაქრაძეს უნდა ვაჯობო და, თუ მეორე ტური იქნება, მარგველაშვილს უზრძოლველად მივულოცავ გამარჯვებას და მომავალი არჩევნებისთვის დავიწყებ მზადებას!**

როდესაც საკუთარი უმძიმესი პოლიტიკური ბეგრაუნდის რაღაცნაირად რეაბილიტაციას შეძლებდა ეს უამბიციურესი ქალბატონი. მისმა ამბიციებმა დაღუპა თავის დროზე „სახალხო კრების" იდეა, რადგან ყურად არ ილო რჩევები, დროებით დისტანცირება მოეხდინა „სახალხო კრებისგან" და ამიტომ ვერ გახდა ეს თავისთავად კეთილშობილური მოძრაობა მასიური — ბევრმა სწორედ ბურჯანაძის პერსონის მიუღებლობის გამო უგანა „სახალხო კრებას" მაშინ და დღესაც — საპრეზიდენტო არჩევნებისას!

**რას იზამ, ქალბატონო ნინო! დღეს თქვენი სწორი საუბარი ვერ ავიწყებს ქართველი საზოგადოების უმეტეს ნაწილს გუშინდელ, რბილად რომ ვთქვათ, უგვან ქმედებებს, რომელთა ჩამოთვლას არ დავიწყებ (მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილის უმწიკვლო წარსული ვერ აღმოჩნდა ამის დასავიწყებლად საკმარისი)!**

**სამწუხაროა, ბელაჩაო, ქალბატონო ნინო!..**

## არაღიარების პოლიტიკა, სამწუხაროდ, გრძელდება!

**ღმერთმა დამიფაროს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კი არა, ზემოთ რომ ვთქვი, პოლიტიკური პროცესი მონოპოლოზებულ-დახურულია-მეთქი, ამაზე მოგახსენოთ, მინდა...**

ახალი სისხლია საჭირო ქართულ პოლიტიკაში და განსაკუთრებით ოპოზიციურ ფლანგზე, თორემ ამ არჩევნებმაც დაგვანახა, რომ ერთ, მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ, ბოლო 20 წელიწადია — ერთი და იგივე, **კარგად ნაცნობი და მოყირჭებული სახეები, არა მხოლოდ წინასწარ ვიცით, რას გვეტყვიან, პირს რომ გააღებენ, ისიც კი ვიცით, რა ზომის „ბადრიჯანი" ჩაეტევათ ხახაში იმ პოლიტიკანებს, რომელთაც ოპოზიციონერობა სარფიან ბიზნესად გაუხდიათ, მათი გაკეთებული საქმე კი არავის გვინახავს!..**

კვალიფიციური ოპოზიციის არსებობის აუცილებლობაზე „ნაცებიც" მოთქვამდნენ თავის დროზე და ახლა ქოცებიც იმავეს იმეორებენ, მაგრამ რეალურად არაფერს აკეთებენ!

ყველა არაანგაჟირებული პოლიტოლოგისთვის თუ ექსპერტისთვის ცხადზე ცხადია, რომ, ციხის სკანდალური კადრები რომ არა, „ქართული ოცნება" უმრავლესობით ვერ მოვიდოდა ხელისუფლებაში, რადგან ოკეანის გაღმა დიდი ხნის წინ „წერილ იყო", რომ არჩევნების შედეგი 60X40-ზე „ნაცების" სასარგებლოდ უნდა „დადებულიყო" და ის 40% „ქართულ ოცნებას" მიშას მიერ დანიშნული „ოპოზოციისთვის" (ახლები, ქდმ, ევროპელი დემოკრატები, პადოშა, ედპ და ა.შ.) უნდა გაეყო და რეალურად „ქართული ოცნება" 20-22%-ს დასჯერდებოდა! ანუ ფორმალურად მხოლოდ უბრალო უმრავლესობით გამარჯვებული „ნაცები" რეალურად ისევ საკონსტიტუციო უმრავლესობას შეინარჩუნებდნენ და ის პარლამენტი პრეზიდენტის სასახლეს გაპრემიერებულ სააკაშვილს მუდმივ საცხოვრისად დაუმტკიცებდა!

**ეს პოლიტიკური პასიანსი კი, ვიმეორებ, ციხის კადრებმა ჩაშალა, რადგან ამერიკელების მიერ ზემოთ ხსენებული სცენარის ჯიუტად განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში, დიდი ალბათობით, უმართავი პროცესები დაიწყებოდა, რასაც შეიძლება რეგიონული მასშტაბის დესტაბილიზაცია გამოეწვია!**

საით მიმყავს სიტყვა?

ამ კადრების ევროპაში გასაჯაროების ავტორი მაშინდელი წინააღმდეგობის მოძრაობა და მისი ლიდერები: დავით თარხანმოურავი, ირმა ინაშვილი, სოსო მანჯავიძე, გიორგი ლომია და კოტე ინაშვილი იყვნენ. ევროპიდან დაბრუნებულ ირმა ინაშვილსა და დავით თარხანმოურავს, იმის მაგივრად, რომ ყველა ტელევიზიას მიეწვია და პირველწყაროდან გაეგო, რა და როგორ იყო, ჩამოსვლისთანავე მასხარა ვასიკო ოდიშვილის ქილიკი ერგოთ ჯილდოდ და ტელევიზიებში, ძირითადად, ის ხალხი ტლიკინებდა, რომელიც ამ თემასთან შეხებაში საერთოდ არ იყო!

**უფრო მეტიც, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, იმავე საღამოს, როდესაც „მაესტროს" ეთერში ის კადრები გავიდა, „ქართული ოცნების" ელიტა სასწრაფოდ შეკრებილა, სადაც დავით უსუფაშვილს „სახელმწიფოებრივად შვებით ამოუთქვამს": კიდევ კარგი, რომ საარჩევნო სიების ფორმირება დასრულებულია, თორემ ეგენი ჩაგვიჯდებოდნენო...**

აი, სწორედ ამ „არაღიარებას" ვგულისხმობდი, რაც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება ეროვნულად მოაზროვნე, ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული პატრიოტული ძალების მიმართ.

**პატრიოტული ძალების, უპირველესად, „ოცნების" მიერ არაღიარების შედეგია თუნდაც, რომ „მაოხრებელი გზირის", მიშა სააკაშვილის, საბოლოო პოლიტიკურ გასვენებამდე ორიოდე დღეღა დარჩა, მაგრამ ეს ყოვლად რენეგატი ათასობით თურქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას ბედავს, რაც სხვა არაფერია, თუ არა მომავალი არჩევნებისთვის საკუთარი ამომრჩევლების მომრავლება, აჭარაში დემოგრაფიული და რელიგიური სურათის შეცვლის მცდელობა, თურქეთის ექსპანსიისთვის ხელის შეწყობა;** ათასობით საშიში დამნაშავის შეწყალება, მათ შორის — თენგიზ გუნავასა და ბაჩანა ახალაიასი, და კაცმა არ იცის, კიდევ რის მოოხრებას მოასწრებს სააკაშვილი დარჩენილ წუთებში; და ყველაზე მთავარი — მისი აშკარა ვოლუნტარიზმი არ აღელვებთ მის მფარველებს დასავლეთში და ისე გაგვითავხედდნენ, რომ, ყოველგვარი დიპლომატიური შეფუთვის გარეშე, ღია, მუქარანარევი ტექსტით უკრძალავენ ახალ ხელისუფლებას სააკაშვილის დაჭერა-პასუხისგებაში მიცემაზე ფიქრსაც კი! **თუმცა ხელისუფლებაში ბლომად არიან ისეთები, ვისაც სააკაშვილის დაჭერა არც აქამდე უფიქრიათ!**

დავით უსუფაშვილს რომ თავი დავანებოთ, რომელსაც წამოსცდა, „ჩვენი მიზანი „ნაცების" გადარჩენააო, მარტო ლევან ბერძენიშვილი რად ღირს, რომელიც, რაც უფრო იკლებს წონაში, მით უფრო ემსგავსება ვიზუალურად მეფისტოფელს — ჩვენ ახლა დემოკრატიის მეორე კლასში ვართ და, თუ სააკაშვილს არ დავიჭერთ, „სრაზუ" მეოთხეში დაგვასკუპებენ, თუ არადა, ნოლ კლასში დაგვაბრუნებენო!..

**ამას დავუმატოთ ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილი ახლაც კი, როცა მიდის, არ იღლება რესპუბლიკელების ქება-დიდებით და, რასთან გვაქვს საქმე, თავად განსაჯეთ — ესენი სააკაშვილის დაჭერას არ აპირებენ, რაც იმასაც ნიშნავს, რომ არც გიგანტ გიგა ბოკერიას, არც გია ბარამიძეს და სხვა ბოზბოლებს არ აგებინებენ პასუხს, დაჭერილებსაც მალე გამოუშვებენ!**

ამიტომ საზოგადოებას მივმართავ წინადადებით — პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ორგანიზება გაუკეთოთ საპროტესტო აქციებს ერთადერთი მოთხოვნით — დააპატიმრეთ სააკაშვილი!!!

ვინძლო, ამ მოთხოვნას ქუდზე კაცი გამოეხმაურება საქართველოში, თუ არადა, ქართველებო, მაშინ იმის ღირსები ვყოფილვართ, რაც წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვეწევა — „დაუმარხავი მკვდარი", როცა იქნება, საბოლოოდ მოგვაოხრებს...

**დავით მხეიძე**



**ახალი სისხლია საჭირო ქართულ პოლიტიკაში და განსაკუთრებით ოპოზიციურ ფლანგზე, თორემ ამ არჩევნებმაც დაგვანახა, რომ ერთ მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ, ბოლო 20 წელიწადია — ერთი და იგივე, კარგად ნაცნობი და მოყირჭებული სახეები, არა მხოლოდ წინასწარ ვიცით, რას გვეტყვიან, პირს რომ გააღებენ, ისიც კი ვიცით, რა ზომის «ბადრიჯანი» ჩაეტევათ ხახაში იმ პოლიტიკანებს, რომელთაც ოპოზიციონერობა სარფიან ბიზნესად გაუხდიათ**



# ვანო მაჭავარიანი: სოჭში გიორგი მარგველაშვილის წასვლასთან დაკავშირებით ყველას მოსაზრება იქნება გათვალისწინებული

**არჩეული პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის, სოჭის ოლიმპიადაზე წასვლასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნება საზოგადოების აზრიც, – ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილის მრჩეველმა საგარეო ურთიერთობათა საკითხებში — ვანო მაჭავარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა.**

მისი თქმით, სოჭის ოლიმპიადაზე გიორგი მარგველაშვილის წასვლას აქვს პროცედურები, პირველ რიგში, არჩეულმა პრეზიდენტმა უნდა მიიღოს მოწვევა.

„სოჭის ოლიმპიადაზე წასვლასთან დაკავშირებით დისკუსიები მიმდინარეობს, არ გვინდა, რომ ფაქტის წინაშე დავდგეთ. ძალიან რთული სიტუაციაა. გავითვალისწინებთ ყველას აზრს, მათ შორის საზოგადოების მოსაზრებასაც. სპორტსმენებს აქვთ განწყობა, თავისი წვლილი შეიტანონ ოლიმპიადაში", — განაცხადა მაჭავარიანმა.

მან ასევე ისაუბრა გიორგი მარგველაშვილის რუსულ არხზე გასულ ინტერვიუზე და აღნიშნა, რომ ინტერვიუ ძალიან საინტერესო იყო. მისი თქმით, ის გზავნილები, რომლებიც ინტერვიუს დროს გამოითქვა, მნიშვნელოვანია.

„იქ ჩანდა არჩეული პრეზიდენტის მიდგომა რუსულ ურთიერთობებთან. საქართველომ ომის რეჟიმში ყოფნა უნდა დაასრულოს და ეს უნდა გამოსწორდეს. ჩვენ უნდა ვიპოვოთ შეხების წერტილები რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორებისთვის. არის მოლოდინი, რომ პრობლემები წავიდეს სხვა მიმართულებით, სხვა ჩარჩოებში", — აღნიშნა მაჭავარიანმა.

საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე განიხილება სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა მხარდასაჭერად თავად მისი ჩასვლის საკითხი. ამის შესახებ მარგველაშვილმა რუსეთის პირველი არხის პროგრამა Воскресное Время-სთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

საზოგადოებრივი აზრი

# გვინდა თუ არა ნატო?

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისუფლების ზებო-ნებრივი სიცრუე

# საქართველო ნატოში — ზარის დარეკვის და ცის გახსნის ამაო მოლოდინი

**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" აგრძელებს დისკუსიას თემაზე — გვინდა თუ არა ნატო? დისკუსიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რედაქციას საკუთარი მოსაზრებები რიგითმა მკითხველებმაც გამოუგზავნეს, ყველა მათგანი საინტერესო აღმოჩნდა და უცვლელად გთავაზობთ. თავად რედაქცია კი კვლავ დაუკავშირდა საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ და შევეცადეთ, თითოეული მათგანისგან მოგვესმინა, უნდა შევეშვათ ბოდვას ევროატლანტიკურ ალიანსზე და საქმეს მივხედოთ თუ განვაგრძოთ მითებში ცხოვრება.**

**ვალერიან ირემაშვილი, დროებით უმუშევარი:**

— ძალიან კარგი საქმე დაგიწყიათ. დროული და აუცილებელი იყო ნატოსთან დაკავშირებულ თემაზე დისკუსია. წლებია, ადამიანები საკუთარი მოსაზრების გამოთქმას ვერ ახერხებენ. **ყველა ხელისუფლებამ ეს თემა ისე მნიშვნელოვნად აქცია, გეგონება, ნატოს გარეშე დავიღუპებით. არადა, ეს ასე სულაც არ არის. თანაც ამ ქვეყანაში ხომ ჩვენც ვცხოვრობთ და თითო-ოროლა ადამიანის ჭკუაზე რატომ უნდა წავიყვანოთ ეს ქვეყანა, დარწმუნებული ვარ, საქართველოში ნატოს მოწინააღმდეგე უფრო მეტი ცხოვრობს, ვიდრე მომხრე.**

ერთი უბრალო კაცი ვარ, შესაძლებელია, ჩემი აზრი არც არავის აინტერესებს, მაგრამ მეც ხომ ქართველი ვარ. მადლობელი ვარ „საქართველო და მსოფლიოსი", ჩემი აზრის გამოთქმის საშუალება რომ მომცა.

მართლაც, რა მოგვიტანა ნატოზე ოცნებამ? — ერთი და ყველაზე მთავარი ფუჭად დაკარგული დრო, სხვისი ხელის შემყურეებად ვიქეცით, ველოდებით ვიღაც გადამთიელებს, რომ მოსამსახურეებად მაინც აგვიყვანონ.

რუსეთის გინებით რა მოვიგეთ? — დაკარგული ტერიტორიები შეგვრჩა ხელში, **რამდენიმე ომი გადავიტანეთ და მე, „შეშფოთებული" უცხოელის გარდა, ჩვენს დასახმარებლად ჩამოსული არავინ მინახავს.** ასე იქნება ყოველთვის. გარდა ამისა, ჰამლეტ ჭიპაშვილი გარკვევით ამბობს, რომ ნატო ათ წელიწადში აღარ იქნებაო და ასეთ შემთხვევაში რა უნდა გვიპასუხოს ჩვენმა მთავრობამ?! უი, შევდიოდით და დაშლილაო?! მაშინ რა პასუხი უნდა გაგვცენ, ამდენი დრო და ტერიტორიები რომ დაგვაკარგვინეს?!

გონს უნდა მოვეგოთ და აუცილებლად ხმა ამოვიღოთ ხალხმა, კატეგორიულად ვუთხრათ ჩვენს ხელისუფალთ, ადამიანებს, რომლებიც ჩვენს ბედს ჩვენგან დამოუკიდებლად წყვეტენ, რომ ნატო არ გვინდა!

**იოსებ მაისურაძე, ინჟინერი, დროებით უმუშევარი:**

— კარგი და დროულია თქვენი დისკუსია თემაზე — გვინდა თუ არა ნატო? კარგია იმიტომ, რომ, ალბათ, ყველას მიეცემა საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება და დროულია იმიტომ, რომ ხელისუფლებაში საშიში ადამიანები დარჩნენ. იმის თქმა კი არ მინდა, წინამორბედები ნაკლებად საშიშნი იყვნენ-თქო. არა, იმას ვამბობ, რომ წინა ხელისუფლებისგან არაფრით განსხვავდებიან, თანაც ცდილობენ, ყველაფერი მათზე უკეთ და მათზე სწრაფად გააკეთონ, ვგულისხმობ, ნატოში შესვლასაც, ტერიტორიებზე უარის თქმის სანაცვლოდ.

**ახლა პარლამენტში უფრო მეტი ძალაა ისეთი, რომლებიც ერთნაირად აზროვნებენ, ერთი ბუდიდან ამოფრინდნენ, ერთნაირად აქვთ სისხლი მოწამლული ევროპითა და ამერიკით. დიდი საშიშროების წინაშე დავდექით — აქეთ თურქეთიც ჩვენი ხილული, მაგრამ უხილავი მოქმედებებით გვიტევს და განმკითხავი არავინ არის.**

რუსეთს აგინებენ, ახალი ხელისუფლება თითქოს წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით ნაკლებად, მაგრამ ის, რომ კვლავ ხმამაღლა აცხადებენ ევროატლანტიკურ ალიანსში უნდა გავწევრიანდეთო, ეს უკვე ნიშნავს, რომ რუსეთი ჩვენი პრობლემებით აღარ დაინტერესდება. იმ დეტალებზე საუბარს, თუ როგორ იხსნა რუსეთმა აჭარა, აღარ დავიწყებ, მაგრამ ხომ ყველას კარგად გვახსოვს, ასეთი ფაქტები ბევრია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. ისტორია შეცვალეს, ბავშვებს დამახინჯებულად ასწავლიან, რუსეთი შეაძულეს ახალგაზრდებს, რაც არასწორია. ისტორია დაეტოვებინათ და თავად მიხვდებოდნენ ვინ ვინ არის, თავად გადაეწყვიტა ყველას, რა უნდოდა.

**ნატო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ორგანიზაცია იყო, ჩვენ კი ამ ძლევამოსილი ქვეყნის შემადგენლობაში შევდიოდით, ახლა კი, როგორც მათხოვრები, ისე ვართ, ვიღაცის „შეშფოთების" მოლოდინში, იმ ვიღაცის, რომელსაც დღემდე უკვე არარსებული საბჭოთა კავშირის შიში აქვს.**

საქართველოს ნატოში გაწევრიანების გაჭიანურების რეალურ მოტივს, ანუ რუსეთისადმი ამერიკის შიშს (ნუ მოგვერიდება ამ სიტყვის), ამერიკელი დიპლომატები დღემდე „დიპლომატიურად" ნიღბავენ საქართველოში დემოკრატიის განვითარების გზაზე გარკვეული ნაკლოვანებების არსებობით თუ რაღაც სხვა ამდაგვარი მიზეზებით, რომლებიც სინამდვილეში სრულიადაც არ არის რეალური მიზეზი საქართველოს ნატოში გაწევრიანების გაჭიანურებისა.

**ილია გოქაძე, პენსიონერი:**

— მომწონს თქვენი წამოწყება, დისკუსია თემაზე „გვინდა თუ არა ნატო?". **წლებია, ნატოში შესვლას ველოდებით. მახსენდება ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავი „დათა თუთაშხია", სეთურის მონები ზარის დარეკვას რომ ელოდნენ გვირაბის ბოლოს, იმ გვირაბის, რომელსაც ბოლო არასოდეს ექნებოდა. როდემდე უნდა ველოდოთ ზებოს ზარის დარეკვასა და ცის გახსნას?**

ძალიან მომეწონა იდეა იმის შესახებ, რომ დაიწყოს საყოველთაო განხილვა ნატოსთან დაკავშირებულ საკითხზე, აუცილებლად უნდა მოვისმინოთ მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების მოსაზრებები, რადგან ზუსტად გავერკვეთ, სიკეთის მომტანია ჩვენთვის თუ დამღუპველი. პირადად მე მოწინააღმდეგეთა ბანაკში ვარ, მაგრამ იქნებ ვცდები და მართლაც სადღაც ძველ დროში ჩავრჩი, როგორც ხშირად მეუბნებიან-ხოლმე.

**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

— გვინდა თუ არა ნატო? ამ თემაზე ხალხის სახელით ვერ ვილაპარაკებ. ამას სჭირდება სერიოზული გამოკითხვა, პლებისციტი, არა ისეთი, როგორიც სააკაშვილმა გააკეთა... თუმცა, სანამ აქამდე მივალთ, **საჭიროა დისკუსია და ძალიან კარგია, რომ თქვენმა გაზეთმა ეს დაიწყო. აუცილებლად უნდა აიწონოს და განისაზღვროს დადებითი და უარყოფითი მომენტები იმისა, რაც შეიძლება ნატოსთან თეორიულ ინტეგრაციას ახლდეს.** ჩემი აზრით, ეს ყველაფერი არარეალურია. დეტალებს გადახედვა სჭირდება და ყოველივე ამის შემდეგ, შესაძლებელია, რომ ჩატარდეს მოსახლეობის გამოკითხვა. წლების მანძილზე, ვიანგარიშოთ სააკაშვილის ცხრა წელიწადი და შევარდნაძის მმართველობის ბოლო რამდენიმე წელიწადი, მიმდინარეობდა ნატოს ღია და აგრესიული პროპაგანდა, თან არავის ეძლეოდა საშუალება, საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა, განსაკუთრებით უარყოფითი, რადგან იმ წუთშივე ხალხის მტრად გამოგაცხადებდნენ. პირადად ჩვენ, ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენლები, ნატოსთან დაკავშირებულ საკითხს სხვანაირად ვუყურებდით და ახლა ძალიან მიხარია, რომ თქვენ ხართ ინიციატორები ამ თემის გაშლისა და განხილვის საგნად ქცევის.



**— შეიძლება თუ არა ფუჭად ჩავლილად ჩაითვალოს ის ოცი წელიწადი, რომელიც საქართველომ ნატოში შესვლის მოლოდინში გალია?**

— მოლოდინი ოც წელიწადზე მეტი გრძელდება. ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, ვისი ინიციატივა იყო ნატოში შესვლა და ვინ გააჟღერა პირველად. ეს იყო ეროვნული მოძრაობის წევრი ირაკლი წერეთელი, ნატო მისი პატენტია. **რა მოგვიტანა ამ ინიციატივამ, ყველანი ვხედავთ — დანგრეული ქვეყნის წინაშე ვდგავართ, ქვეყნის, რომელსაც არც ეკონომიკა აქვს, არც საზღვრები, არც სუვერენიტეტი და არც ღირსება. ერთ-ერთი ყველაზე დიდი წვლილი კი, ჩვენს ასეთ მდგომარეობამდე მიყვანაში იმ ქიმერას აქვს, ნატოში შესვლა რომ ჰქვია.**

ეს არის ინსტრუმენტი, რომ საქართველო გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისთვის, ქართველი ხალხი მოატყუონ და მოლოდინის რეჟიმში ამყოფონ.

**— ბატონო გულბაათ, ნატოსთან და ევროკავშირთან ჩვენი ინტეგრაცია ნიშნავს თუ არა საქართველოში თურქეთის ჰეგემონიას?**

— **თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, თუ ჩვენს რეგიონში სიტუაცია გართულდა და ნატომ დაგვაწყვიტა ჩართვა, სავსებით ლოგიკურია, რომ, ვინც საქართველოში თავის კონტინგენტს გამოაგზავნის, თურქეთი იქნება. მართალი ხართ ამ საკითხთან დაკავშირებით და ჩვენს საზოგადოებას ამის გათვალისწინებაც მართებს.** ვერ ვიტყვი, რომ დანიამ ან ჩეხეთმა რომ გამოაგზავნონ თავიანთი ჯარები, ეს კარგი იქნება, მაგრამ მეზობელი სახელმწიფოა თურქეთი, რომელსაც, მოგეხსენებათ, გეოსტრატეგიული ინტერესები აქვს საქართველოში, რაც ჩვენს მდგომარეობას უფრო ამძიმებს.

**— უნდა ჩატარდეს თუ არა ხელახალი პლებისციტი ნატოსთან დაკავშირებით?**

— დაუყოვნებლივ პლებისციტის ჩატარებას მხარს არ ვუჭერ, ჯერ მსჯელობა უნდა გაიშალოს ფართოდ, კარგია, თუ თქვენს მაგალითს ტელევიზიებიც მიმართავენ და უფრო დიდი მასშტაბებით დაიწყება ამ თემის განხილვა. ჩვენ, ყველას, უნდა მოგვეცეს ტრიბუნა იმისთვის, რომ არგუმენტირებულად ვისაუბროთ და მხოლოდ ამის შედეგ არის შესაძლებელი პლებისციტის ჩატარება. ამას კი, რამდენიმეთვიანი მუშაობა სჭირდება, თუმცა მოქმედება დღეიდან უნდა დაიწყოს.

**პეტრე მამრაძე, პოლიტოლოგი:**

— ნატო გვინდა, მაგრამ რიგი პირობების შესრულების შემთხვევაში. არის საკითხები, რომელთა შემდეგაც იტყვი ჰო-ს, და არის საკითხები, რომელთა განხილვის შემდეგაც იტყვი არა-ს. სააკაშვილის მთავრობა წლების მანძილზე ასე სპეკულირებდა, გვინდა თუ არა?! როგორც კი უარყოფითი მოსაზრება გაგიჩნდებოდა, მაშინვე გეტყოდნენ — შენ მოღალატე ხარ! მე სულ ვამბობ, — გვინდა ნატო რიგი პირობების შესრულების შემთხვევაში.

**— მაშინ ასე გკითხავთ: ამ პირობების შესრულების შემდეგ უფრო მეტი კი არის თუ არა?**

— გრძელვადიან პერსპექტივაში — დიახ და, რა თქმა უნდა, რუსეთთან ერთად.

**— ეს როგორ გამოვა?**

— ძალიან მალე რუსეთის მომავალია ღირსეული ადგილი ევროპულ ოჯახში, რასაც ევროპა დიდი იმედით უყურებს და, როდესაც რუსეთი ამ ადგილს დაიმკვიდრებს და მსოფლიო უსაფრთხოებაშიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს, მაშინ ყველაფერი შესაძლებელი იქნება.

**— საქართველოში ძალაუფლება რესპუბლიკელების, ალასანიას პარტიისა და „ნაციონალების" ხელშია. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია, რომ ამ ადამია-**



გულბაათ რცხილაძე:

## აუცილებლად უნდა აიწონოს და განისაზღვროს დადებითი და უარყოფითი მომენტები იმისა, რაც შეიძლება ნატოსთან თეორიულ ინტეგრაციას ახლდეს

„დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ, გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამხობენ მას... ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში."

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



— იმავეს აგრძელებს ახალი ხელისუფლებაც?

— **ახალ ხელისუფლებას არ შეუძლია საჯაროდ განაცხადოს, ის, რასაც თავად ნატო არ ამბობს. მათ არ შეუძლიათ განაცხადონ, რომ არანაირი ფორმით ნატო საქართველოს არ მიიღებს, მაშინ ნატოს ხელმძღვანელობა საყვედურს ეტყვის და გაიკვირვებენ, რატომ ამბობთ ასე, ჩვენ თვეში ერთხელ საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ნატოს კარი საქართველოსთვის**

პეტრე მამრაძე:

## ახალ ხელისუფლებას არ შეუძლია საჯაროდ განაცხადოს, რომ არანაირი ფორმით ნატო საქართველოს არ მიიღებს

**ნებმა ტერიტორიების სანაცვლოდ ნატოში შესვლა გადაწყვიტონ?**

— ეს გამორიცხულია. ერთი იმიტომ, რომ ხელისუფლებაში სულაც არ დარჩნენ ეს ძალები, რადგან **რეალური ძალაუფლება ჩვენს ხელში არ არის, ჯერჯერობით ჩვენ ასეთი ქვეყანა არ ვართ, რომლის ხელშიც ძალაუფლებაა. ასე რომ, ყველანაირად გამორიცხეთ, ნატო საქართველოს არ მიიღებს. 2008 წლის შემოდგომაზე ნატოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო არასოდეს მიიღონ ნატოში. ეს გადაწყვეტილება საჯაროდ არ გაცხადებულა, ეს მათ უთხრეს უდიდეს პარტნიორ რუსეთს, ამით ერთგვარად სრული გარანტია მისცეს რუსეთს, რომ საქართველოს არასოდეს მიიღებენ ნატოში.**

**— რადგან ეს ამბავი თქვენ იცით, ალბათ, იცის ყველამ. მაშ, რაღა საჭიროა ამაზე დროის ხარჯვა, ჩვენ ხომ ისედაც დიდი დრო დავკარგეთ?**

— 2004 წლის ზაფხულიდან მთელი ეს დრო არის არა თუ დაკარგული, არამედ კონტრპროდუქტიული. სააკაშვილი, რომელსაც სრული მონოპოლია ჰქონდა, როგორც საგარეო პოლიტიკაზე, ისე აფხაზეთსა და ოსეთში კონფლიქტების მოგვარებაზე, ყველა მიმართულებით კონტრპროდუქტიულად მოქმედებდა. მისი ქმედება ნატოს წევრი ქვეყნების ხელძღვანელობას ძალიან აღიზიანებდა, იმაზე მეტადაც, ვიდრე რუსეთის ხელისუფლებას. ნატოს წარმომადგენლები წლების განმავლობაში გვეკითხებოდნენ: — ამ კაცს თუ მართლა უნდა ნატოში გაწევრიანება, რატომ ყვირის ყოველდღე, გაწევრიანებას არ უნდა ყვირილი და ეს უნდა გესმოდეთ, თუ მართლა სურს ნატოსთან ინტეგრაცია, ყვირილს თავი დაანებოს და საქმე გააკეთოსო. ასე რომ, ნატოს თავისი გადაწყვეტილება საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული აქვს, მაგრამ საჯაროდ არ ამბობს, თემა კი ტრიალებს სამკუთხედში — საქართველო-ნატო-რუსეთი, რაც ერთგვარი პიარრეჟიმია. **ეს ამბავი ერთხელ სააკაშვილს წამოსცდა და დიდი ამბავი მოჰყვა კიდეც.**

ასეთ ვითარებაში, ივანიშვილის მიდგომა საკითხისადმი სწორია. ის ამბობს, რომ ჩვენ გავატარებთ შესაბამის რეფორმებს დემოკრატიის, თავისუფლების ხარისხისა და ცხოვრების დონის ამაღლებისთვის, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ვიყოთ მაღალ დონეზე და ამ პროცესში, როცა დრო დადგება, როცა რუსეთს არ გააღიზიანებს, რომელიმე მეზობელი, მათ შორის საქართველო, გახდეს ნატოს წევრი და ნატოც მზად იქნება საქართველო მიიღოს, მაშინ რატომაც არა.

**— ივანიშვილი მიდის. ხელისუფლებაში რჩებიან პროამერიკული და პროდასავლური, ლიბერალური ძალები.**

— ასე არ ვფიქრობ. როგორც პოლიტოლოგი და მეცნიერი, ვფლობ გრძელვადიან პერსპექტივას. ავთო წულუკიძემ, მოსკოვში მცხოვრებმა პოლიტოლოგმა, შესანიშნავად დაწერა: **ახლა საქართველოს ამოცანაა, მოიგოს დრო.**

**— თვლით თუ არა, რომ ქვეყანაში ხელახალი პლებისციტი უნდა ჩატარდეს ნატოსთან დაკავშირებით?**

— პლებისციტი და სოციოლოგიური კვლევა სულ უნდა ტარდებოდეს, ეს სასარგებლოა. ასეთი კვლევა ჩატარდება თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან **მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, რა არის ნატო, როგორია მისი წესდება, რომელი ქვეყნებია გაერთიანებული და ა. შ. ასეთ პირობებში რაიმე გამოკითხვის ჩატარება და მსჯელობა იმაზე, ხალხს უნდა თუ არა ნატო, სისულელედ მიმაჩნია.** მინდა გითხრათ, რომ, ახლა მე რომ მკითხოთ, რომელი ქვეყნებია ნატოს წევრიო, შემეშლება. უფრო სწორი იქნება, საზოგადოების განათლების დონე ავწიოთ და ხალხს უკეთ გავაგებინოთ ყველა წვრილმანი, დეტალი ნატოსთან დაკავშირებით. ამასთან, ხალხს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია სხვა დანარჩენი გაერთიანებების შესახებაც.

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

# საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დასავლეთისა და ნატოს შესახებ

**როცა სადღაც აფრიკაში ამხობენ მორიგ დიქტატორს, დაახლოებით ბოკასას ტიპისას, კაციჭამიობაში მხილებულს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას განიხილავენ, როგორც „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლების უხეშ დარღვევას" და დიქტატორის საწინააღმდეგოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს გზავნიან. მაგრამ, როცა საქართველოში იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი შეაფასა, როგორც ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოვლინება. იმის გასარკვევად, თუ რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების ბედისადმი, მივმართეთ თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს — ზვიად გამსახურდიას.**



— მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია განუდგნენ დემოკრატიას. **დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ, გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამხობენ მას.** ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი, თუ ავტორიტარული. **ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.**

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ზრახვები და აშკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.

**— ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?**

— კაცობრიობის მტრებს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისკენ. **ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ჯ. ბეიკერის, პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით.**

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). **ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.**

**— რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?**

— ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

**დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა.**

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მისწრაფებათა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) **ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში-მსოფლიო ხელისუფლებით.**

ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. **ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსლიმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.**

ძალები, რომელთაც ეკისრება მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალოდ ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისთვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი. ამ ზრახვათა განხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, **იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად აალებული კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფერფლოს ეროვნული იდეის მატარებელი ხალხი. დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა.** შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემს საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს, ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენებულ იქნა კავკასია და იუგოსლავია...

**— რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?**

— ეს რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, **კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.**

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისთვის.

რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის, ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და ბოლოს და ბოლოს მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის" გარეშე. **საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძინს ყველაზე ერთგულ მეგობრებს,** რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მფარველს დასავლური ექსპანსიისაგან.

**ამონარიდები გაზეთიდან „ნაროდნაია პრავდა"**
**სანკტ-პეტერბურგი, 1992 წ.**

გამოხმაურება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის ყველაზე დიდი სიცრუე ნატოს სიცრუე იყო, მაგრამ ახალი ხელისუფლებაც ხომ ამ სიცრუეში გვახრჩობს, ნატოს ღია კარის იმედად გვამყოფებს და დასავლურ ბედნიერებას გვპირდება, ანუ ჯიუტად მიჰყვება იმ გზას, რომელი გზითაც საქართველო უფსკრულში გადაიჩეხა.**

# საქართველო დაშლის რეალური საშიშროების წინაშე დგას

**მივესალმები „საქართველო და მსოფლიოში“ ნატოს საკითხთან დაკავშირებით დაწყებულ დისკუსიას. ფართო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ ვინ, რას და რა მიზნით გვახვევს თავს. ამიტომ ეს უდავოდ კარგი წამოწყებაა, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნო: ნატოს წევრობასთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებრივ აზრს, ცხადია, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა — გადამწყვეტი. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ურთიერთობა ჩამოყალიბდება რუსეთსა და აშშ-ს შორის, რამდენად მოხდება მათი ინტერესების შეჯერება ან პირიქით — რამდენად გაღრმავდება მათ შორის კონფრონტაცია.**



სადღეისო ვითარება ისეთია, რომ **ნატოს შემდგომი გაფართოება შეჩერებულია. ნატოს წევრი ქვეყნები იძულებულნი არიან, ამ მხრივ რუსეთის ინტერესები გაითვალისწინონ, რადგან რუსეთს მათზე ზეგავლენის მრავალი ბერკეტი გააჩნია.** ამის შესახებ პირდაპირ გვითხრა რუსეთის პრემიერმინისტრმა დიმიტრი მედვედევმა „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში: ნატოს წევრობასთან დაკავშირებით პრობლემებს რუსეთი კი არა, თვითონ ნატო გიქმნითო. ეს ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ მართალია, რუსეთის ინტერესებს თქვენი პატარა სახელმწიფო არ ითვალისწინებს, მაგრამ ნატოს წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენო. ეს ძალიან საყურადღებო მომენტია.

**დღეს ჩვენ რუსეთი იმაში კი არ უნდა დავარწმუნოთ, რომ ნატოში შესვლის სურვილზე ხელს ვიღებთ** (ამ საქმეს ის უჩვენოდაც მიხედავს), **არამედ იმაში, რომ ჩვენ მზად ვართ რუსეთთან თანამშრომლობისთვის, მასთან ახალი ურთიერთობის დასაწყებად, რომელიც ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების პრინციპზე იქნება აგებული.** რუსეთს ის კი არ აწუხებს, რომ ჩვენ ნატოს წევრი სახელმწიფო გავხდებით, არამედ ის აწუხებს, რომ საქართველოსთან დიალოგი, მასთან ნორმალური და კონსტრუქციული ურთიერთობები შეუძლებელია.

საიმისო ბერკეტები, რომ საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდეს, რუსეთს გააჩნია, მაგრამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის (თუნდაც, ნატოს) წევრობით ხომ არ შემოიფარგლება. თანამშრომლობის ათასი სხვა ფორმა და შინაარსი არსებობს, მათ შორის ისეთები, რომელთა გადაწყვეტის ბერკეტები (ჩვენი მზაობის გარეშე) რუსეთს არ გააჩნია. ამიტომ **რუსეთში ძალიან დიდი ყურადღებით აკვირდებიან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ პროცესებს. საქართველო თუ შეძლებს ისეთი ხელისუფლების არჩევას, რომელსაც ეყოფა გონიერება, ცოდნა, წინდახედულება რუსეთთან პრინციპულად და თვისებრივად ახალი მიდგომების მოსანახად, რუსეთი მზადაა ასეთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის, მაგრამ საქართველოში ასეთი ხელისუფლება თუ ვერ მოვა, მაშინ რუსეთი შეეცდება, საქართველოსთან დაკავშირებით იძულების პოლიტიკა გაატაროს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ის ამას შეძლებს.** გაიხსენეთ, რა ერქვა 2008 წელს რუსეთის მიერ ჯერ ცხინვალში, შემდეგ კი მთელ საქართველოში ჩატარებულ სამხედრო ოპერაციას — **იძულება მშვიდობისთვის!** ამ ოპერაციას აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოჰყვა, რამაც საქართველოს დაშლას დაუდო სათავე. **რუსეთს კიდევ რომ დასჭირდეს ანალოგიური იძულება სხვა რომელიმე მიმართულებით, ვის შეუძლია დაგვარწმუნოს, რომ ის ამაზე არ წავა?!**

მრავალჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **საქართველო დაშლის რეალური საშიშროების წინაშე დგას. ნურავინ წარმოიდგენს ამას შეუძლებლად. ჩვენ ურთულეს ეპოქაში ვცხოვრობთ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ევროპაში იყო ერთი ლამაზი და აყვავებული სახელმწიფო. მას იუგოსლავია ერქვა. ხომ არ გახსოვთ, სად გაქრა ის სახელმწიფო?!** არაფერს ვამბობ საბჭოთა კავშირზე ან სხვა ისტორიულ პრეცედენტებზე. ვინმე თუ იტყვის, ისინი იმპერიები იყვნენო, მათ შევახსენებ, რომ საქართველოს, თავის დროზე, უკვე უწოდეს პატარა იმპერია, რაც შემთხვევით არ მომხდარა. ამიტომ **ნუ გამოვრიცხავთ, რომ საქართველო, იმ გეოპოლიტიკურ კონტექსტში თუ ვერ ჩაეწერება, რომელშიც იმყოფება, შესაძლოა, დაშალონ, როგორც პატარა იმპერიული წარმონაქმნი, რასაც ქართველთა შემდგომი ვიშვიში** (რაშიც ძლიერები ვართ) **ვეღარ უშველის.** გეთანხმებით, ძნელი იქნება რუსეთისთვის ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ მან არაერთგზის დაგვიმტკიცა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ის ამაზე წამსვლელია. სამაგალითოდ 2008 წლის ომი, შემდგომ კი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებაც კმარა.

**ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ევროპაში იყო ერთი ლამაზი და აყვავებული სახელმწიფო. მას იუგოსლავია ერქვა. ხომ არ გახსოვთ, სად გაქრა ის სახელმწიფო?!**



როგორც ვთქვი, რუსეთი საქართველოში შექმნილ ახალ სიტუაციას გამადიდებელი შუშით უყურებს. **ქვეყანას ახალი პრეზიდენტი და პრემიერი ჰყავს, სიტუაცია თითქოს შეიცვალა, მაგრამ გულწრფელად და, როგორც იტყვიან, გულზე ხელის დადებით თუ ვიტყვით, რეალურად რა შეიცვალა? ისე ხომ არ მოხდა, რომ სახელებისა და გვარების მეტი არაფერი შეცვლილა?** ეს შეკითხვები ლეგიტიმური შეკითხვებია, ყოველ შემთხვევაში, საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით, დასავლეთთან და რუსეთთან მიმართების თვალსაზრისით, ნატოსთან მიმართების თვალსაზრისით... პირადად მე, ქვეყნის ამ ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელების ბიოგრაფიიდან, მათი მსოფლმხედველობიდან და მათ მიერვე დეკლარირებული მისწრაფებებიდან გამომდინარე, დიდი იმედი არ გამჩენია. ასე რომ, **საქმე რთულად არის. დრო ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს. ახლა ყოველი წუთი, ყოველი წამი აფხაზეთისგან და ცხინვალის რეგიონისგან გვაშორებს.**

**ქართულ სახელისუფლო პოლიტიკურ სპექტრში ერთ ადამიანსაც ვერ ნახავთ, ნატოსკენ რომ არ ისწრაფვოდეს, რუსეთში მარადიულ მტერს არ ხედავდეს და, საერთოდ, იმ მოჯადოებულ წრეში არ ტრიალებდეს, რომელ წრეშიც ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“ ჩაგვაყენეს და იქიდან გამოსვლის საშუალებას არ გვაძლევენ. ეს პოლიტიკოსები შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ დასავლეთს ერთგულება არ დაუმტკიცონ. ამ დროს ყველამ** (დასავლეთმაც, ნატომაც და ამ პოლიტიკოსებმაც) **შესანიშნავად იციან, რომ ჩვენთვის ნატოს პერსპექტივა, დიდი ხანია, აღარ არსებობს, მაგრამ ყოველი მათგანი, ცალ-ცალკე და ერთად აღებული, თავის ინტერესს აქსოვს იმაში, რომ ქართველი ხალხი ამ სიცრუეში აცხოვროს.** ხომ გახსოვთ, ივანიშვილი რომ საყვედურობდა სააკაშვილს, — ხალხს სიცრუეში რატომ აცხოვრებდიო. **სააკაშვილის ყველაზე დიდი სიცრუე ნატოს სიცრუე იყო, მაგრამ ახალი ხელისუფლებაც ხომ ამ სიცრუეში გვახრჩობს, ნატოს ღია კარის იმედად გვამყოფებს და დასავლურ ბედნიერებას გვპირდება, ანუ ჯიუტად მიჰყვება იმ გზას, რომელი გზითაც საქართველო უფსკრულში გადაიჩეხა.** სამწუხაროდ, არც ახალ ხელისუფლებას აღმოაჩნდა ნება და შინაგანი ძალა ამ სიცრუის დაძლევისა, ვინაიდან მათი პირადი ინტერესების დაკმაყოფილების გზა სწორედ ამ სიცრუეზე გადის.

რაც შეეხება ნატოს, მის ინტერესებშიც არის, რომ ქართველი ხალხი დიდხანს ამყოფოს მის მიერვე მოგონილი სიცრუის ტყვეობაში, რომელსაც ხან აიპაპი, ხან მაპი, ხან მაპზე უკეთესი, ხან ასპირანტურა და სხვა სახელები ჰქვია, მაგრამ რეალურად ერთი დიდი სიცრუეა, შეურაცხმყოფელი სიცრუე და სხვა არაფერი. **დასავლეთი ამ სიცრუეში გვამყოფებს არა იმიტომ, რომ ოდესმე იგი სიმართლედ აქციოს, არამედ იმიტომ, რომ ნატოს ღია კარის ხიბლში ჩავარდნილმა ქართველმა ხალხმა სხვა მიმართულებით არ გაიხედოს, მეზობელ სახელმწიფოებთან რომელიმე რეგიონული კავშირის წევრობაზე** (ვთქვათ, საბაჟო კავშირი ან ევრაზიული კავშირი და ა.შ.) **არ იფიქროს.** ნატო ჩვენს ხალხს იმ ოჩანი ვირის მდგომარეობაში აყენებს, რომელსაც მასზე ამხედრებული პატრონი ცხვირწინ ჯოხზე წამოცმულ თივას უტრიალებს და იძულებულს ხდის, გაუთავებლად ირბინოს სატყუარას მიმართულებით...

რამდენიმე დღეში პრეზიდენტის ინაუგურაციაც შედგება, ახალი პრემიერმინისტრიც დაინიშნება, მთავრობაც დაკომპლექტდება და, ვნახოთ, რა როგორ წარიმართება, მაგრამ გული რატომღაც ცუდს მიგრძნობს...

**ვალერი კვარაცხელია**

მოკლედ

## ზუგდიდში პოლიციელს ყური მოაჭრეს, გააშიშვლეს და პრეზიდენტის რეზიდენციასთან დატოვეს

**ზუგდიდში, პოლიციელის დაჭრაში ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა.**

პოლიციელებს ჩვენებას აძლევს ასევე ის პირიც, რომლის გაუპატიურებასაც, არსებული ინფორმაციით, პატრულის თანამშრომელი ცდილობდა.

საქმე აღიძრა ასევე გაუპატიურების მცდელობაზეც.

ზუგდიდში საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გ. ანჩაბაძე 12 ნოემბერს დაჭრილი იპოვეს. უცნობმა პირებმა მას ყური მოაჭრეს, სცემეს, საპატრულო პოლიციის ფორმა გახადეს და ადგილზე დატოვეს. მას, სავარაუდოდ, ფეხიც აქვს მოტეხილი. შემთხვევა ზუგდიდში, კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

დაჭრილი პოლიციელი ზუგდიდის საავადმყოფოშია გადაყვანილი.



**„ეს ხელისუფლებაც, წინამორბედის მსგავსად, ძალიან შორს დგას საზოგადოებრივი კონტროლის არსებობის სურვილისგან. აქ უკვე მედიის დამოუკიდებლობაში ჩარევის ნიშნებიც იკვეთება, ალაგ-ალაგ გარკვეული თემების დაბლოკვასაც ვხედავთ და ზოგადად ისეთი ტენდენცია ჩნდება, რომ ის, რაც ითქვა, ევროპული ტიპის სანიმუშო დემოკრატიას ავაშენებთო, ცარიელ სიტყვებად დარჩა.“**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნანა კაკაბაძე:

# სააკაშვილის ხროვა პოლიტიკური სიკვდილისგან იხსნეს — «ოცნებისთვის» წამზომი ჩართულია!

**საზოგადოების მოლოდინი, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დასრულდებოდა და წინასაარჩევნო პერიოდში „დაპაუზებული“ სამართლებრივი პროცესი განახლდებოდა, „ოცნების“ სხვა დაპირებების მსგავსად, ამაო აღმოჩნდა. არც ახალარჩეული პრეზიდენტი და მით უფრო არც საპარლამენტო უმრავლესობა ამის თაობაზე ჯერჯერობით მინიშნებებსაც არ აკეთებს. მარტივად რომ ვთქვათ, ხელისუფლებამ ამომრჩეველი „გადააგდო“, გაბითურებული ხალხი კი უკვე უკმაყოფილებას ვერ მალავს — პოლიტიკური ცრუპენტელობა კოალიციას რეიტინგის ფასად უჯდება, ივანიშვილი მიდის და ხელისუფლებაში არალეგიტიმურ ძალებს ტოვებს. რა შეიცვალა რეალურად 27 ოქტომბრის შემდეგ და რას უნდა ველოდეთ მომავალში, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**



## «თუკი სამართლიანობა არ აღსდგება, ხალხს სრული საფუძველი ექნება, აჯანყდეს»

**— ქალბატონო ნანა, საზოგადოება ჯერ კიდევ მოლოდინშია, ყველას ჰგონია, რომ ახალი ხელმძღვანელობა ქვეყანაში სამართლიანობას აღადგენს. თქვენ რას ფიქრობთ და როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?**

— ჯერჯერობით არანაირი ნიშნები იმის, რომ აქ სამართლიანობა აღდგეს, არ ჩანს. თუმცა ჯერ ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია არ ყოფილა, წინასწარ რამეზე გადაჭრით საუბარი კი ძნელია, მაგრამ ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ მთავარია, პოლიტიკური ნება არსებობდეს. მე ამას ვერ ვხედავ და ზუსტად ამიტომ ვარ ასე განწყობილი. დანარჩენს დრო გვიჩვენებს და პროცესები.

**— „ნაცმოძრაობა“, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, გადარჩა და ეს მოხდა არა თავისთავად, არამედ „ოცნების“ ჩარევით. ფაქტია, რომ ივანიშვილმა საკუთარი რეიტინგის დიდი ნაწილი შესწირა ამას. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურებოდა ეს, რა მიიღეს მათ ამის საფასურად?**

— კარგი იქნებოდა, ამ კითხვით ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის ან სულაც თავად ბიძინა ივანიშვილისთვის მიგემართათ, მაგრამ პასუხს, ალბათ, ვერ მიიღებდით. მათ რომ ჰკითხოთ, არჩევნები სუპერსამართლიანად ჩატარდა და ის 22 პროცენტი, რომელიც ბაქრაძემ მიიღო, თურმე, ჭეშმარიტად ხალხიდან იყო წამოსული. სინამდვილეში **ყველასთვის ყველაფერი ნათელია, სააკაშვილის ხროვა პოლიტიკური სიკვდილისგან იხსნეს. ამას ემსახურება ის, რომ წინა ხელისუფლებას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს სერიოზული ბერკეტები სასამართლოზე, თვითმმართველობის ორგანოებსა და საარჩევნო კომისიებზე ზემოქმედების მოსახდენად.** იმაზე არაფერს ვამბობ, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალად ცდილობენ მათ წარმოჩენას, მაშინ, როცა ხალხი ამ ჯალათების გასამართლებას ელოდება.

**— ჯერჯერობით არც საზოგადოებაა აქტიური და კატეგორიული შეუსრულებელი დაპირებების შეხსენებაში. ფაქტია, რომ მოთხოვნას არავინ აყენებს.**

— შეხსენება რეალურად რამეს შეცვლის? სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა კი არა, ხარვეზების დამდგენი კომისია, რომელსაც უნდა გადაეხედა საქმეებისთვის, როგორც მითხრეს, საერთოდ უქმდება.

**— და რით ხსნიან ამას?**

— მე არ ვიცი, რით ხსნიან, მაგრამ თურმე პირველი პირებისგან მოდის მითითება. საერთოდ, ამ ბოლო დროს ვხედავ, რომ **ყოველგვარ ზღვარს სცდება ამათი ნაბიჯები. ერთის მხრივ, შეინარჩუნეს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც საფრთხობელა, იმისთვის, რომ ხალხს ხმა არ ამოაღებინონ; მეორე მხრივ კი აკეთებენ ისეთ რამეებს, რაც აბსოლუტურად არანაირ ლოგიკაში არ ჯდება...**

**— ის, რომ ხარვეზების დამდგენი კომისია უქმდება, უკვე ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს ხელისუფლების პოზიციას სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, რას აპირებთ? რა შეიძლება, დაუპირისპიროთ მმართველი გუნდის ამ პოლიტიკას?**

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ასე გაჩუმებული არ ვისხდებით და მშვიდად ვერ დავაკვირდებით ამ ყველაფერს. დამთავრდეს ინაუგურაცია, გამოცხადდეს მთავრობა და მერე, მე კი არა, საქართველოს მოსახლეობა დაიწყებს უკვე პროტესტს.

**— ძალიან ბევრი საუბრობს დღეს ამაზე და არ ფიქრობთ, რომ საკმარისი დრო არ არის გასული რადიკალური პროტესტისთვის?**

— პროტესტში მე არ ვგულისხმობ არეულობას და დესტაბილიზაციას, მხედველობაში მაქვს ის, რომ საზოგადოებამ მოითხოვოს სამართლიანობის აღდგენა. ამის უფლება ყველას აქვს, ეს არ ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს. პირიქით, **დემოკრატიის პრინციპებს თვითონ ხელისუფლების ქმედებები არღვევს; ის ქმედებები, რომლებიც მკვეთრად ანტისახელმწიფოებრივი და ანტისამართლებრივია.**

**— კონკრეტულად რა ქმედებები გაქვთ მხედველობაში?**

— ცხრა წლის მანძილზე წამება, ადამიანის უფლებების ხელყოფა, ყველანაირი უკანონობა ხომ, ფაქტობრივად, ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული? ახლა არის გამოძიება და დამნაშავეების დასჯა რომ არ ხდება, სხვა რა უნდა დავარქვათ ამ ყველაფერს, თუ არა სამართლის უგულებელყოფა? **ამდენი მკვლელობის, ბიზნესების წართმევისა და რეკეტის შემდეგ ჯალათ სააკაშვილს, თავის ხროვასთან ერთად, მთავარ ოპოზიციურ ძალად რომ განიხილავენ, ეს არ არის კანონის ფეხებზე დაკიდება?!** მე არ ვიცი, რა იქნება შემდგომში, რა გზით განვითარდება პროცესები, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე იკვეთება: **დაუსჯელობის სინდრომი ძალიან ცუდ წახალისებებს იწვევს საზოგადოებაში. ამას შეიძლება მოჰყვეს ლინჩის წესით ადამიანების გასამართლება, სხვადასხვა დანაშაულებების გახშირება და ა.შ.** მერე მსხვერპლნი ისევ აღმოჩნდებიან „ნაციონალური მოძრაობისგან“ დაზარალებული მოქალაქეები, იმიტომ, რომ სწორედ ისინი იქნებიან პირველნი, რომლებიც დაუპირისპირდებიან თავიანთ მწამებლებსა და გამაუბედურებლებს.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თქვენ გამოსავალს რაში ხედავთ? „ოცნება“, ფაქტობრივად, ორცეცხლშუაა: ერთის მხრივ — ქართული საზოგადოება, მეორე მხრივ კი — დასავლეთი და მათი ე. წ. რეკომენდაციები, რომ „პოლიტიკური დევნისგან“ თავი უნდა შევიკავოთ.**

— დასავლეთის ასეთი რეკომენდაციები ჩემთვის მეათეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რასაც სამართლიანობის დამყარება ჰქვია. ხელისუფლება, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის წინაშეა პასუხისმგებელი. ახლა გამოსავალს რაც შეეხება, ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ მმართველმა გუნდმა აიღო საკუთარ თავზე დამნაშავეების დასჯა, რომ ეს პროცესი გავრცელდება ყველაზე, ვისი დანაშაულიც გამოიკვეთება და დამტკიცდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქალაქეები დაკარგავენ რწმენას და განცდას იმისას, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. შესაბამისად, მოსახლეობას აღარ ექნება პატივისცემა ამ სახელმწიფოს მიმართ და საბოლოო ჯამში მივიღებთ უმართავ სიტუაციას, ანუ ხალხი და ხელისუფლება მოწყდება ერთმანეთს, როგორც ეს იყო სააკაშვილის რეჟიმის დროს.

**— ბოლო დროს საპარლამენტო უმრავლესობისგან, „ნაცმოძრაობის“ მისამართით, სულ უფრო ლოიალური განცხადებები ისმის. ამას წინათ, ლევან ბერძენიშვილმა გიგა ბოკერიას „აზრის გიგანტი“ უწოდა. ასეთ პირობებში, ალბათ, არც უნდა ველოდოთ იმას, რომ ხელისუფლება პრინციპულობას გამოიჩენს და, მიუხედავად დასავლეთის წნეხისა, სამართალს აღასრულებს.**

— **„აზრის გიგანტი“ ჰიტლერსაც შეიძლება უწოდო, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ, შედეგებზე. როდესაც მთელი მათი ძალისხმევა ადამიანების ჩაგვრას, უფლებების ხელყოფას და დაშინებას ემსახურებოდა, ეს არის კრიმინალი.** ამიტომ ბატონმა ბერძენიშვილმა, რომელსაც ლიბერალური ღირებულებების ერთგულებაზე აქვს პრეტენზია, პირველ რიგში, დანაშაულზე უნდა ილაპარაკოს და არა ვიღაცის ნიჭიერებაზე.

**— არჩილ კბილაშვილის გადადგომას სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა. ბევრი თვლის, რომ, როგორც პროკურორი, ის ძალიან სუსტი იყო და ამიტომ დატოვა თანამდებობა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— კბილაშვილი იყო პატიოსანი პროფესიონალი და ის ღირსებები, რომლებიც მას გააჩნდა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, პროკურატურის მუშაობაში ხარვეზები ჩანდა, მაგრამ არ მგონია, რომ ამაში მარტო მისი პრობლემა უნდა დავინახოთ. ჩემი აზრით, ამას განაპირობებდა საერთო პოლიტიკა და ის მახინჯი გაგება კოაბიტაციის, რომლითაც თავიდანვე დაიწყო ხელისუფლებამ.

**— ანუ, თქვენი აზრით, კბილაშვილი სახელისუფლო გუნდისგან წნეხს განიცდიდა?**

— უბრალოდ, „ქართულმა ოცნებამ“ განიზრახა კრიმინალთან თანაარსებობა და აი, ამ რეჟიმში იყო, ჩემი აზრით, პროკურატურაც.

**— და კბილაშვილის შეცვლით მოგვარდება ეს პრობლემა?**

— პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზას მე ვხედავ სამოქალაქო სექტორის აქტიურობაში. ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ, როგორც ჩანს, **ეს ხელისუფლებაც, წინამორბედის მსგავსად, ძალიან შორს დგას საზოგადოებრივი კონტროლის არსებობის სურვილისგან. აქ უკვე მედიის დამოუკიდებლობაში ჩარევის ნიშნებიც იკვეთება, ალაგ-ალაგ გარკვეული თემების დაბლოკვასაც ვხედავთ და ზოგადად, ისეთი ტენდენცია ჩნდება, რომ ის, რაც ითქვა, ევროპული ტიპის სანიმუშო დემოკრატიას ავაშენებთო, ცარიელ სიტყვებად დარჩა.** აწი დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული, თუკი ხალხი მოდუნდება და დუმილით შეხვდება მმართველი გუნდის ნებისმიერ ქმედებას, მაშინ ბუნებრივია, მათაც ექნებათ გარკვეული ცდუნება, თუ არადა, ცხადია, მოუგვარებელი პრობლემა, გადაუჭრელი საკითხი არ არსებობს.

**— გეთანხმებით, მაგრამ 27 ოქტომბრის არჩევნების შედეგებით მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სრულ ნიჰილიზმში გადავარდა.**

— დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი ძალიან მალე გამოვა ამ მდგომარეობიდან და დადგება თავის სიმაღლეზე. კიდევ მაქსიმუმ ერთი წელი და საზოგადოება უკვე ველარ დამალავს თავის განწყობას. ეს ბუნებრივი პროცესია, როცა ხელისუფლება არ ასრულებს მოსახლეობის დაკვეთას. ასე რომ, ინაუგურაციის შემდეგ, ფაქტობრივად, წამზომი ირთვება „ოცნებისთვის“. ვნახოთ, რა ნაბიჯებს გადადგამენ.

**— საზოგადოების აქტიურობაზე რადგან ვსაუბრობთ, არსებობს დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე ძალა, რომელიც სამოქალაქო სექტორს ორგანიზებას გაუწევს?**

— ღმერთმა ნუ ქნას, სამოქალაქო პროტესტის უკან რაიმე ძალა — ან საზოგადოებრივი, ან პოლიტიკური არ იდგეს, თორემ ამბოხს და დესტაბილიზაციას მერე ნახავთ. რაც შეეხება, არსებობს თუ არა ორგანიზატორი, დღესდღეობით მსგავსი რამ ნამდვილად არ ჩანს, მაგრამ პროცესების დინამიკამ ყველაფერი შეიძლება რადიკალურად შეცვალოს. ჩვენ არ ვიცით, რა იქნება ორი და სამი თვის შემდეგ, ამიტომ დაველოდოთ მოვლენებს. კიდევ ვიმეორებ: **თუკი ხელისუფლებამ მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა არ შეასრულა და სამართლიანობა არ აღადგინა, ეს უკვე სრული საბაბი იქნება ხალხისთვის, რომ აჯანყდეს.**

**— რადგან 27 ოქტომბრის არჩევნებში ბაქრაძემ 22 პროცენტი მიიღო და მეორე ადგილზე გავიდა, რაც მისთვის, ფაქტობრივად, გამარჯვებას ნიშნავდა, საუბარია იმაზე, რომ „ნაცმოძრაობას“ პერსპექტივაში ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი აქვს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს?**

— როგორც იმ ქვეყნიდან არავინ დაბრუნებულა, ისე პოლიტიკური საიქიოდან, სადაც ცოტა ხანში ჩაესვენება „ნაცმოძრაობა“, ისინი იქიდან ვერასოდეს ამოვლენ. უბრალოდ, ეს ის ძალაა, რომელიც ვერასოდეს დაბრუნდება და ვერასოდეს მოიპოვებს საზოგადოების კეთილგანწყობას, ისეთი დანაშაულები აქვთ ჩადენილი; ერთი სიტყვით, ეს საფრთხე გადავლილია, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, თუკი ხელისუფლება სამართლიანობას არ აღადგენს, მერე მართლა შეიძლება უმართავი პროცესები მივიღოთ.

**— საკუთარი საკონსტიტუციო ვადის ბოლო დღეებში სააკაშვილმა თურქეთში მცხოვრებ 15-20 ათასამდე ეთნიკურ ქართველს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. ეს რამდენად არის ჩვენთვის საფრთხის შემცველი?**

— რა თქმა უნდა, არის. მეტიც, ესაა სააკაშვილის ანტიქართული, მოღალატეობრივი პოლიტიკის მკაფიო გამოვლინება და რა შეიძლება მოჰყვეს ამას მომავალში, კაცმა არ იცის. ზუსტად ამიტომ ვამბობდით ჩვენ თავის დროზე, რომ უნდა მომხდარიყო რეჟიმის შეფასება და დამნაშავე პრეზიდენტის გასამართლება. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა და კიდევ ახალი საფრთხის წინაშე დაგვაყენა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პოზიცია

www.geworld.net
...ელ: 234-32-95

**„სად არიან ის ვაჟკაცი ბიჭები, ციხეში რომ ჯოხებს უყრიდნენ და საშინელებებს უკეთებდნენ? ვერ გავიგე, რა ხდება, სხვის „პახმელიაზე“ უნდათ გამოსვლა?! თვითონ რას შვრებიან, ნამუსი არ აქვთ?!“**



# გია კორკოტაშვილი: ბახტრიონის აჯანყება უნდა გავიხსენოთ ყოველდღე... მაინცდამაინც მღვდელი უნდა გაგვიუპატიურონ?!

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მოძრაობა „სამოქალაქო სოლიდარობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი გია კორკოტაშვილი.**

**— ბატონო გია, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს იმედი გაუცრუა. მარგველაშვილის გამარჯვება არავის დაჰკვირვებია, მაგრამ ბაქრაძის მეორე ადგილს, მით უმეტეს 22 პროცენტს, ალბათ, ბევრი არ ელოდა. თქვენი აზრით, რა მოგვცა ამ არჩევნებმა და რა რეალობა გვაქვს დღესდღეობით?**

— საერთოდ, ემოციური კაცი ვარ და, რასაც ვფიქრობ, რაც მაწუხებს, ხშირად ვერ ვახერხებ ხოლმე საზოგადოებამდე მშვიდად, წყნარად მივიტანო. ვხედავ, რომ ზოგს ეშინია ლაპარაკის, ზოგს რაღაცნაირად ეუხერხულება, მაგრამ ბოლო ათმა წელმა ისეთი რამეები მასწავლა, ამ ემოციას ყოველთვის ვაძლევ ამოსვლის საშუალებას; სხვანაირად შეიძლება შიგნით დამბუგოს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, უბრალოდ, დრო რომ გავიდა არჩევნების შემდეგ, საკუთარ თავში გავაკეთე ანალიზი და მივხვდი ერთ რამეს — ეს შედეგი განაპირობა ქართველი ხალხის ჩაურევლობამ პროცესებში, მათმა გულგრილობამ და პასიურობამ...

**— მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა იყო ამის მიზეზი?**

— უბრალოდ, ადამიანებმა ვერ დაინახეს, რომ მათი მონაწილეობა არჩევნებში რამის მომტანი იყო. **უკვე ძალიან ბევრს ხელი აქვს ჩაქნეული. ვფიქრობ, ეს სრულიად ბუნებრივია: როცა შენ მოდიხარ, იმედს მიჩენ და მერე ამ იმედს მიცრუებ, ხელს ჩავიქნევ, აბა, რას ვიზამ?!**

**— გამოდის, რომ პოლიტიკური პროცესები ისევ ჩიხშია?**

— ჩიხზე ჯერ ადრეა საუბარი, მაგრამ საქმე კარგისკენ რომ არ მიდის, ამას უკვე ყველა ხვდება. ადრეც არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, აქ ძალიან სერიოზული ჩარევაა საჭირო საზოგადოების მხრიდან. საერთოდ, **ხალხმა თავიდან უნდა დაიწყოს ფიქრი იმაზე, რომ ახალი რჩეულები მოიყვანოს პოლიტიკაში. სხვანაირად ქვეყანა სწორი გზით ვერ განვითარდება** და მუდმივად ვიტრიალებთ ერთ რაღაც მოჯადოებულ წრეში, რომელიც ვერანაირ პროგრესს, წინსვლას ვერ მოგვიტანს.

**— პოლიტიკურ სივრცეში ახალი სახეების შემოყვანაზე ბევრი საუბრობს, მაგრამ რეალურად არის დღეს საქართველოში ალტერნატიული ძალა?**

— არის თუ არა, სხვა საკითხია, მე საჭიროებაზე ვსაუბრობ. ესაა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა. დღეს რა ხდება? — რამდენიმე პოლუსადაა პოლიტიკური ველი დაყოფილი, ამ პოლუსების შემკრები კი ბიძინა ივანიშვილია. ახლა ეს კაციც მიდის, კბილაშვილიც გადადგა და, უბრალოდ, ვსვამ კითხვას: ვის ტოვებენ? **ყველა თუ საზოგადოებრივ სექტორში გადმოვიდა, მე წავალ მაშინ მთავრობაში... არ ვიცი, ვერ გავიგე, რა თამაშს თამაშობენ. ჩვენ იმიტომ ვენდეთ ამ ხალხს, რომ გვეგონა, ქვეყანას სწორი გზით წაიყვანდნენ.**

**— არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ 1 ოქტომბრის ან 27 ოქტომბრის არჩევნები ამერიკელების მიერ დემოკრატიის მანტიაში შეფუთული ჩანაცვლების რეაქცია იყო, რომლის მიზანსაც სათავეში „ნაცმოძრაობა 2“-ის მოყვანა წარმოადგენდა?**

— იცით რა, არ არის ეს შენი ხალხი ხმის ამომღები და რა გინდა, რომ ქნა? ყველას მუდმივად ერთი გაფეტიშებული კაცის იმედი აქვს, რომელიც თეთრ ცხენზე ამხედრებული მოვა, ფულს დაარიგებს და კარგად გვაცხოვრებს; ან ვინმე ვინმეს ნათესავი გამოდგება, ბიძაშვილი, მამიდაშვილი და ა. შ. არაა საქმის გამკეთებელი ქართველი ხალხი, ხომ ხედავთ?

**— საქმის გაკეთებაში რას გულისხმობთ?**

— რას და, როცა რაღაცა არ მოგწონს, უნდა გამოხვიდე და თქვა: ეს ასე არ არის, არ შეიძლება... სადაც სამოქალაქო საზოგადოება ძლიერია, ყველგან ასე ხდება: ჩვენთან კი სულ ერთი და იგივე ხალხი იღებს ხმას, თითქოს მარტო მათ აქვს პრობლემები.

**— ზუსტად ამიტომ მიაჩნია პრემიერს, რომ სამოქალაქო სექტორში უფრო მეტია სამუშაო.**

— ამაში აბსოლუტურად ვეთანხმები ივანიშვილს, მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამეა: ვინ უნდა ჩამოაყალიბოს ეს სამოქალაქო საზოგადოება, ისევ ხელისუფლებამ? ისევ პოლიტიკურმა ძალებმა? მაშინ რა გამოვიდა? — სამოქალაქოს კი არა, მივიღებთ პოლიტიკურად ანგაჟირებულ საზოგადოებას, როგორსაც ბოლო ცხრა წლის მანძილზე ვხედავთ. თუ ეს გვინდა, ამის გაკეთება ყველაზე ადვილია, თუ არა და, — თვითონ ხალხი უნდა დადგეს თავის სიმაღლეზე. ვიღაცის ბოძებული თავისუფლებისა და კეთილდღეობის იმედი ტყუილად ნურავის ექნება...

**— თქვენ რას ურჩევთ საზოგადოებას?**

— ბახტრიონის აჯანყება უნდა გავიხსენოთ ყოველ დღე... მაინცდამაინც მღვდელი უნდა გაგვიუპატიურონ, თუ რა გინდათ, ოჯახებში უნდა შემოგივარდნენ და ისე გაგიკეთონ ყველაფერი?! ამ დროში უკვე სხვანაირი აღმშენებლობაა საჭირო, სხვა მიდგომები. სხვანაირი იმიტომ, რომ **მუდმივად პრესინგის ქვეშ უნდა გყავდეს მთავრობა. ვინც გინდა, ის იყოს, მიუხედავად ჩემი ღრმა პატივისცემისა ირაკლი ღარიბაშვილისა და კიდევ რამდენიმე მინისტრისადმი, სულ უნდა განიცდიდნენ ესენი საზოგადოებრივ წნეხს და კონტროლს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენვე აღმოვჩნდებით ამ წნეხში.** მერე ცარიელი ლაპარაკი, ყვირილი და გულზე მჯიღის ცემა საქმეს ვერ უშველის.

**— რაც შეეხება ივანიშვილის გადაწყვეტილებას სამოქალაქო საზოგადოებაში გადმოსვლასთან დაკავშირებით, ბევრი თვლის, რომ ამით ის ცდილობს, საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ არსებული პროტესტი გააკონტროლოს და დაარეგულიროს. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება პრემიერის ეს ნაბიჯი?**

— საერთოდ არ მიყვარს პროგნოზების გაკეთება და ვარაუდების გამოთქმა, მაგრამ, უბრალოდ, კითხვა მაქვს ერთი: რატომ უნდა მას სამოქალაქო სექტორში გადმოსვლა? იმიტომ, რომ იქიდან კარგად ჩანს ყველაფერი? მაშინ მეორე კითხვას ვსვამ აქედან: თქვენ თვითონ, რომელიმე სამინისტროს და მინისტრს, მოგინდომებიათ, რომ საზოგადოება თქვენთან ერთად იყოს?! უკუქმედება ყოფილა?! ეს არ ჩანს. აი, ზუსტად ამიტომ უნდა დაიწყონ ფიქრი, თუ კაიბიჭობა და მამულიშვილობა უნდათ.

**— თქვენი აზრით, დღევანდელ ხელისუფლებას ხალხთან არ აქვს საკმარისი კონტაქტი? თვითონ პრემიერი ხშირად ხვდება ხოლმე ჟურნალისტებს, ექსპერტებს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და ა. შ.**

— ხვდება და რა მერე? დაამუნათებს, თითს დაუქნევს და მორჩა. ოდესმე ვინმეს აზრი გაითვალისწინეს? ხალხთან ურთიერთობას რაც შეეხება, **ამათ სულ სამი-ოთხი დაქირავებული ჟურნალისტი ჰყავთ, ამდენივე „პიარშიკი“ და მორჩა. ეს არის საზოგადოება?! გავიდნენ მოსახლეობაში და იკითხონ, რა ხდება, ოღონდ ისეთებთან, ვისგანაც მეტ კრიტიკას მოისმენენ.**

**— კრიტიკაზე ივანიშვილმა თქვა, — მინისტრებს გული სტკივათ და ღამეები არ სძინავთ ხოლმეო.**

— გული კი არა, რა ორგანოც გინდათ, ის სტკიოდეთ, ქართველი ხალხი ჰყავდეთ კარგად. ეს არის თავი-ბოლო ყველაფრის და ამას მიხედონ პირველ რიგში, ურჩევნიათ.

**— „საქართველო და მსოფლიოსთან“ წინა ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ, თუკი 27 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში სამართლიანობა არ აღდგებოდა, საზოგადოებას, შესაძლოა, საპროტესტო აქციებისთვის მიემართა. დღეს რამდენად ხედავთ ამის შესაძლებლობას?**

— მე უკვე ყველაფერი ვილაპარაკე, ყველანაირად მივმართე ამ საზოგადოებას, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: არ უნდა არავის ხმის ამოღება. ყველას რაღაცნაირად სხვისი ჭირი ჰგონია ეგ ამბავი და საბოლოოდ რა გამოვა, იცით? — ათი თუ ოცი კაცი ხომ ვსაუბრობთ მუდმივად, გამოვალთ ეს ოცი ადამიანი, ვიკივლებთ და მარტონი დავრჩებით მღალადებელნი. ის კი არა, ხანდახან ვფიქრობ, ეგებ მე ვარ მხოლოდ პროტესტისთვის განწყობილი-მეთქი. ჰოდა, გავჩუმდებით ჩვენც, მორჩა, აღარ მინდა ამ უაზრობაში მონაწილეობა, თუ ყველა მშვიდადაა, მეც ვიქნები ჩემთვის.

**— თქვენ დასაწყისში კბილაშვილი ახსენეთ და როგორ აღიქვით მისი გადადგომა თანამდებობიდან? რას ნიშნავდა ეს?**

— მე ერთი რამ ვიცი მარტო და ამას ყველა ხედავდა — ის ძალიან სუსტი იყო თავის ადგილას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მისი დანიშვნა მთავარ პროკურორად, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ახლა უფრო ძლიერ პროკურორს დანიშნავენ და თავისთავად ყველაფერი კარგად იქნება.

**«რა უფრო მნიშვნელოვანია: ამერიკელები რას დაგიწერენ ანგარიშებში თუ საზოგადოებაში რა განწყობაა?»**

**— მოდით, მაშინ დავაკონკრეტოთ, რაში გამოიხატებოდა კბილაშვილის სისუსტე?**

— ერთი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, ვერც ერთი გახმაურებული საქმის გახსნა ვერ მოხერხდა. დამნაშავეები დღემდე დაუსჯელნი დადიან, ხოლო ვინც პასუხისგებაში მიეცნენ, მათ მიმართაც ბრალდებები ხშირად უსუსური იყო. გარდა ამისა, **პროკურატურამ ვერ შეძლო იმ ბარიერის გადალახვა, რასაც ის აწყდებოდა სასამართლო სისტემის მხრიდან სამართლიანობის აღდგენის პროცესში. მიზეზებზე მე ახლა ვერ ვსაუბრობ, მაგრამ ერთი კი პირდაპირ შემიძლია გითხრათ: კბილაშვილმა ვერ გამოიჩინა პრინციპულობა რიგ საკითხებში.**

**— კონკრეტულად?**

— კონკრეტულად მას უნდა სცოდნოდა, ვინ დაეტოვებინა უწყებაში და ვინ — არა. „ნაცმოძრაობას“ ერთგული ძაღლივით ნამსახურები ზოგიერთი პროკურორისთვის ჭიტლაყი უნდა ამოერტყა და იქიდან გამოეგდო.

**— მერე ამას როგორ აღიქვამდნენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები?**

— და ხალხმა როგორ აღიქვა ის, რომ, ფაქტობრივად, უმოქმედოდ იყვნენ? ვერ გავიგე, ჩვენთვის რა უფრო მნიშვნელოვანია: ამერიკელები რას დაგიწერენ ანგარიშებში თუ საზოგადოებაში რა განწყობაა? აქ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზეა ლაპარაკი და, თუ დამნაშავე არ დაისაჯა, კანონი არ აღსრულდა, გამოვა რამე? ბოლოსდაბოლოს ეს პროკურატურა დედა ტერეზას სახლი ხომ არ არის?!

**— სასამართლომ ბაჩო ახალაიას უკვე რამდენიმე ბრალდება მოუხსნა, ლაპარაკია მერაბიშვილის შესაძლო გამოშვებაზეც. რა მიიღო ამით ხელისუფლებამ, რა პოლიტიკური დივიდენდების საფასური იყო ეს, როგორ ფიქრობთ?**

— დივიდენდებსა და საფასურზე მე ვერ ვისაუბრებ, უბრალოდ, წაქეზებაში თუ არ ჩამომართმევენ, მინდა მივმართო იმ ხალხს, რომლებმაც უშუალოდ საკუთარ თავზე გამოსცადეს „ნაციონალების“ ცხრაწლიანი კოშმარი, რატომ სდუმან, ხმას რატომ არ იღებენ? **სად არიან ის ვაჟკაცი ბიჭები, ციხეში რომ ჯოხებს უყრიდნენ და საშინელებებს უკეთებდნენ? ვერ გავიგე, რა ხდება, სხვის „პახმელიაზე“ უნდათ გამოსვლა?! თვითონ რას შვრებიან, ნამუსი არ აქვთ?!**

**— რა უნდა გააკეთონ მათ?**

— მე ვერავის ჭკუისდამრიგებლად ვერ დავდგები, ყველამ თვითონ უნდა იცოდეს, რა არის გასაკეთებელი და რა სჭირდება ქვეყანას. **ის ნაწამები ხალხი ერთ მშვენიერ დღეს ხომ გადააწყდება სადმე თავის გამაუბედურებლებს, ან ქუჩაში, ან სუფრაზე და ამოჩიჩქნის თვალებს. აი, ამაზე უნდა იფიქროს ყველამ — ხელისუფლებამაც და საზოგადოებამაც, თორემ ხალხის არევას ბევრი არაფერი უნდა...**

**— წინასაარჩევნო პერიოდში მარგველაშვილმა რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დასრულდებოდა. არჩევნებიდან ორ კვირაზე მეტი გავიდა, როგორ ფიქრობთ, დასრულდა კოაბიტაცია ან მიდის პროცესები დასრულებისკენ?**

— საჯაროდ გთხოვთ, ცოტა ხანი მაცალეთ, თორემ ახლა თოფრაკებს პირი არ მინდა, რომ მოვუხსნა. ვნახოთ, რა იქნება, ვაკვირდები ჯერ და 17 ნოემბრამდე ხმას არ ვიღებ. ძველი „რენტგენოლოგები“ ვართ ჩვენ, ნაბიჯის გადადგმა არ უნდა, მიხვრა-მოხვრაში ვატყობთ, ვინ რის გამკეთებელია. კოაბიტაციას რაც შეეხება, თუ უნდა მარგველაშვილს ამის დამთავრება, ნება თუ არსებობს, დაამთავრებს.

**— თუ არ არსებობს?**

— მაშინ უკვე ქართველი ხალხის ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული, რამდენად ღირსეული საზოგადოება ვართ და რა შეგვიძლია, გამოჩნდება მერე. **ჩვენ ამ კოაბიტაციას თუ შევეგუეთ, პირდაპირ ვამბობ, უღირსი ერი ვიქნებით, თავლაფდასხმული, სოროში შემძვრალი და სულში ჩაფურთხებული.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ოცი წელია, თავს ვიტყუებთ და შედეგად რა მივიღეთ? — დაკარგული ტერიტორიები, დახოცილი ახალგაზრდობა, საზღვარგარეთ საშოვარზე გაქცეული დაბეჩავებული, პატივ და ნამუსაყრილი ხალხი; საქართველოს დედაქალაქში კი — არაბების, სპარსელებისა და თურქების ჯირითი, ქართველი ქალებისთვის ნამუსის ახდა და ქართველ კაცებზე თავზე გადავლა. დასკვნები ხომ უნდა გავაკეთოთ, ხომ უნდა გავიზარდოთ, ხომ უნდა დავფიქრდეთ, საით მივდივართ?!“**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დეკანოზი დავით ქვლივიძე:

# 20 წელია, ნატოთი და ევროკავშირით გვატყუებენ

**დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში აქტიურად იწყეს მომრავლება „ბიზნესის“ კეთებით დაინტერესებულმა თურქებმა, ირანელებმა და არაბებმა. ქართული საზოგადოებისთვის შემაშფოთებელი გახდა ის გარემოება, რომ მათ მიერ გახსნილ ღამის კლუბებსა თუ სხვა გარყვნილების ადგილებში ქართველ კაცებს შესვლას უკრძალავენ, ქართველ ქალებს კი კარს ფართოდ უღებენ. რამდენიმე დღის წინ ინტერნეტის საშუალებით ვიდეოც გავრცელდა, რომელიც ფარულადაა გადაღებული ერთ-ერთ ასეთ ბარში. საინტერესოა, რატომ არ ინტერესდებიან მთავრობა და სამართალდამცავი სტრუქტურები ამ საკითხით. როგორ უნდა ვებრძოლოთ შექმნილ სიტუაციას ძალისმიერი მეთოდების გარეშე, ხომ არ არის ეს „დემოკრატიზაციის“ ლოგიკური შედეგი და, თუ ეს ასეა, მაშინ გვიღირს კი ამგვარი ინტეგრაცია და დემოკრატია?!**
**ამ პრობლემატურ საკითხებზე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ტაძრის დეკანოზი — დავით ქვლივიძე.**

— საქართველოში მსგავს რამეს აკეთებდნენ არაბი დამპყრობლები, თურქები, ყიზილბაშები, მონღოლები. ისინი ცდილობდნენ ჩვენთვის ზნეობის შეცვლას, ჩვენს გადათელვას და ეს ქმედება უკვე მათ სრულ გამარჯვებად აღიქმებოდა. ამაზე დიდი შეურაცხყოფა ქართველი კაცისთვის უკვე წარმოუდგენელია. ქართველთა მეფემ რომ დიდგორის ველზე გაანადგურა მუსლიმანური კოალიცია, თითქოს ამის გამო დღეს შურს იძიებენ და სამეძაო სახლები აქვთ მოწყობილი ჩვენივე ქვეყანაში ქართველი ქალების გასათახსირებლად.

**დამისახელებთ მსგავს შემთხვევას საქართველოს ისტორიიდან?! აქ უკვე სიმწვავეზე აღარ არის საუბარი. აქ საერთოდ ღირსებაზეა ლაპარაკი და ღირს კი ჩვენი ყოფნა ამის შემდეგ?! თან, როგორც გავიგე, იქვე ჰქონიათ მამათმავლების ბარი, რომელშიც ქართველ კაცებს იღებენ, ანუ რა გამოდის? იქ, სადაც ქართველ ქალებს იღებენ, ქართველ კაცებს შესვლას უკრძალავენ და, თუ კაცებს შეუშვებენ, მხოლოდ მამათმავლების ბარში. გეკითხებით, მსგავსი რამ ყოფილა საქართველოს ისტორიაში?! მე მხოლოდ ერთს გეტყვით, რომ მსგავს შემთხვევას მოჰყვა ბახტრიონის აჯანყება, რომელიც დამთავრდა ირანული გარნიზონის მთლიანად განადგურებით.**

**— რატომ არ ინტერესდება მთავრობა და სამართალდამცავი სტრუქტურები ამ საკითხით?**

— ვფიქრობ, ეს ყველაფერი წინა მთავრობის დროს დაიწყო. ალმაშენებლის გამზირის რესტავრაციის დროს, ეს მიზანი, ალბათ, იმთავითვე იყო ჩადებული. სწორედ იმ დროიდან აქვს ამას ფესვები გადგმული. ახლანდელმა მთავრობამ ეს პროცესი, რა თქმა უნდა, უნდა შეაჩეროს. განა ამაზე ვოცნებობდით „ქართული ოცნების“ არჩევით?! ჩვენ ვოცნებობდით ნორმალურ, გამართულ, ზნეობრივ ქვეყანაზე. **ამას წინათ ჩვენთან მოვიდნენ ბიჭები, რომლებმაც თქვეს, რომ ქართული სიმღერა შეგნებულად წამოვიწყეთ აღმაშენებლის გამზირზე და თურქებმა აგვიკრძალეს, — წადით, აქ ნუ მღერიხართო.**

**არ მინდა დავიჯერო, რომ მთავრობა ამ ყველაფრის გულშემატკივარია. ბატონი ბიძინა ზნეობრივი კაცი, ოჯახური ტრადიციების მიმდევარი და ოთხი შვილის მამაა. მას ოჯახისთვის არ უღალატია და ის მისთვის პირველი საფიცარია. არ მინდა დავიჯერო, რომ მისთვის ეს ყველაფერი მისაღებია.**

**— როგორ და რა გზებით უნდა ვებრძოლოთ ამ პრობლემას მშვიდობიანად და არა ძალისმიერი მეთოდებით?**

— პირველ რიგში, საზოგადოებაში ხშირად უნდა იყოს ამ ყველაფერზე საუბარი. ხალხის დიდმა ნაწილმა არ იცოდა არაფერი ამ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის მეც. ვერც წარმომედგინა, ასეთი რამ თუ ხდებოდა ჩვენთან. ყველამ იცის, რომ აღმაშენებლის გამზირზე თურქები მრავლად არიან, მაგრამ თუ ამ დონემდე გავიდნენ თავს, რას წარმოვიდგენდით. თურქების ქმედებები საფუძვლიანადაა გადასახედი და არა ზერელედ. მე როგორც ვიცი, თურქეთში წასულებს (ჩემს მრევლსაც ხშირად უწევს თურქეთში საშოვარზე წასვლა), მონებივით ამუშავებენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ქალებისა და მამაკაცების 90% უმძიმეს სამუშაოს ასრულებს. ამას წინათ ბიჭები იყვნენ წასულები ხეტყის დასამზადებლად თურქეთში და, რომ დავილაღეთ და ჩამოვჯექით, გვეჩხუბნენ, ვინ მოგცათ ამის უფლებაო. ბოლოს ჩხუბი მოგვივიდა და ძლივს გამოვასწარითო.

ხომ არსებობს საერთაშორისო ნორმები და კანონები?! ყველაფერი წინ უნდა დავუდოთ და ვაჩვენოთ, რისი უფლება აქვთ და რისი — არა. **ვამბობთ, რომ რუსები ოკუპანტები არიან, სინამდვილეში კი ვხედავთ, რომ თურქებმა მოახდინეს თბილისისა და ბათუმის ოკუპაცია. ახლა გეკითხებით: რომელი უფრო დიდი საფრთხეა — რუსების მიერ გავლებული მავთულხლართები თუ დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე სამეძაო სახლების გახსნა და უხილავი მავთულხლართების გაბმა, რომლის მეორე მხარეს გადასვლა ქართველ კაცებს ეკრძალებათ?! მამლუქობის დრომდე, ალბათ, მხოლოდ ბავშვების მოტაცება და მათი სტამბოლის ბაზარზე გაყიდვაღა გვაკლია.** რის გამოც ჩვენი მამა-პაპა საუკუნეების მანძილზე სისხლს ღვრიდა და რასაც ებრძოდა, ახლა მომხდურები ბრძოლის გარეშე ახერხებენ. მაშ, ამიხსენით, როგორ არის ეს ხალხი „ჩვენი მეგობარი“ და „სტრატეგიული პარტნიორი“?! როგორ შეიძლება ამ ხალხმა დაგვიცვას ჩვენ ნატოს ეგიდით (ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე თურქული ჯარი შემოვა)?!

**— თქვენი აზრით, რამ მიგვიყვანა აქამდე?**

— ქვეყნის გაყიდვამ. წინა ხელისუფლების პოლიტიკამ. ოღონდ თვითონ ყოფილიყვნენ კარგად და თანახმანი იყვნენ, უცხოეთიდან შემოსული ფულების სანაცვლოდ ქვეყანა გაეწირათ. თავის დროზე ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემაც ამიტომ გააწითლეს საქართველო წითელი არმიის შემოსვლით. **ახლაც ვხედავთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ყოველდღე ახალ-ახალ ბოროტებას აკეთებს. ისეთ ხალხს აძლევს საქართველოს მოქალაქეობას, რომელმაც საერთოდ არც საქართველოს ისტორია იცის, არც — ენა. იცის, რომ ეს ხალხი შემდეგ არჩევნებში გამოადგება. ეს არის ქვეყნის ღალატი და ამაზე პასუხი უნდა მოეთხოვოთ.**

როგორ ფიქრობთ, ანგელა მერკელი ან ამერიკის პრეზიდენტი მოქალაქეობას ასე მარტივად დაარიგებენ? დავანებოთ თავი ამერიკას და ევროპას. სომხეთის პრეზიდენტი ასე დაარიგებს მოქალაქეობას? მოქალაქეობის მიღების მსურველთათვის ძალიან ბევრი ბარიერი უნდა იყოს გადასალახი. საქართველოს მოქალაქეობის მსურველთათვის, როგორც გერმანიაში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში და ა.შ. ენის, ისტორიის ცოდნა უნდა იყოს აუცილებელი. რამდენიმე წელიწადი იმ ქვეყანაში აუცილებლად უნდა ცხოვრობდე. ვფიქრობ, ხალხმა მთავრობას ამ საკითხზე პასუხი უნდა მოსთხოვოს, ისინი ხომ ხელისუფლებაში ხალხის პრობლემების მოსაგვარებლად მოვიდნენ. ახლა კი კეთილი ინებონ და შეასრულონ ეს პირობა, ხოლო ვინც ამის მოწინააღმდეგეა, გამოვიდეს და ხმამაღლა დააფიქსიროს თავისი პოზიცია.

«ვამბობთ, რომ რუსები ოკუპანტები არიან, სინამდვილეში კი ვხედავთ, რომ თურქებმა მოახდინეს თბილისისა და ბათუმის ოკუპაცია»

**რატომ უნდა შოულობდნენ თურქები ქართველი ქალებით ფულს ჩვენივე ქვეყანაში?! მამლუქობის და ოსმალობის დროა, თუ რა არის?! ამის მერე როგორ საუბრობენ, რომ ისინი ჩვენი მეგობრები არიან! რომელ მეგობრობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზეა საუბარი! ვამბობთ რუსები აგრესორები არიანო. მსგავსი რამ გაუკეთებიათ რუსებს ოდესმე? თბილისში სამეძაო სახლების გახსნას რუსები როგორ გაგვიბედავდნენ!** მარტო წინასაარჩევნოდ რომ ინტერესდება ხელისუფლება თუ სხვადასხვა პარტია საზოგადო პრობლემებით, ახლა მოაგვარონ თუ ასე გული შესტკივათ. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ძალიან დიდი სირცხვილია! მთელი კავკასია დასცინის ქართველებს. ეს თავზე ლაფის დასხმაა. ამის მოთმენა ნამდვილად არ შეიძლება.

**— ეს ყველაფერი ხომ არ არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის ლოგიკური შედეგი და გვიღირს თუ არა ამგვარი ნატო და ინტეგრაცია?**

— დემოკრატია ნიშნავს ხალხის მმართველობას. თუ ხალხის მმართველობაა, მაშინ ხალხის უმრავლესობა რასაც გადაწყვეტს, ისე უნდა იყოს. დემოკრატია მე ასე მესმის. მაგრამ, რაც საქართველოში ხდება, ნამდვილად არ არის ხალხის უმრავლესობის მოთხოვნა. პირიქით, ეს ხალხის უმცირესობის მოთხოვნაა.

ვფიქრობ, უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი. ჩამოიწეროს ნუსხა, განემარტოს ხალხს, თუ რას გვაძლევს დასავლეთისკენ სწრაფვა, დასავლეთისკენ, რომელიც პირველ მოთხოვნად გარყვნილების ქადაგებას მოითხოვს და მის საფარქვეშ მამათმავლების, ლესბოსელობის და სხვა ათასი გვარის სექსუალური უმცირესობის დაცვას მოითხოვს. ქართულ სატელევიზიო სივრცეში უხამსი გარყვნილების ჩვენება სწორედ მათი მითითებით ხდება. მეორე მხრივ კი, რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსში და სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში აკრძალულია გარყვნილების, მამათმავლობის, პროსტიტუციის ქადაგება, სკოლაში სექსუალური აღზრდის გაკვეთილების ჩატარება. ახლა, სხვათა შორის, აქაც აპირებენ ამგვარი გაკვეთილების შემოღებას.

საერთოდ ნატოს რაც შეეხება, ეს ზღაპარი და ქართველებისთვის მიუღწეველი ქვეყანაა. თუ ნატოში მიგვიღეს, მაშინ, პირველ რიგში, უარი უნდა ვთქვათ აფხაზეთსა და ცხინვალზე. თუ აფხაზეთსა და ცხინვალზე უარი ვთქვით, რაღაში გვჭირდება ნატო. **ჩვენ რომ ვამბობთ, თითქოს ნატო დაგვაბრუნებინებს ტერიტორიებს, ესეც ტყუილია. ნატოს წევრია თურქეთი და საბერძნეთი, კვიპროსი კი მათ შუაზე აქვთ გაყოფილი. თურქეთის ჯარებს აქვთ დაპყრობილი კვიპროსი... ან გერმანიას, რომელსაც კენინსბერგი ვერ დაუბრუნებია, რომელსაც დღეს კალინინგრადი ქვია და რუსეთისაა. ნატოს ქვეყნებს თავიანთი პრობლემები ვერ მოუგვარებიათ და ჩვენ მოგვიგვარებენ?!**

ამასწინათ ვუსმენდი, უსუფაშვილმა ვილნიუსიდან ჩამოსვლისას განაცხადა, დეოკუპაციის პრობლემა საკმაოდ რთულია და, ფაქტობრივად, შეუძლებელიაო. რუსებმა დაახლოებით სამი თვის წინ განაცხადეს, რომ თქვენ თვითონ დაილაპარაკეთ — აფხაზებმა და ქართველებმაო, მე არ ჩავერევი, ოღონდ ჩემი ინტერესები გაითვალისწინეთო. ერთხელ მაინც დაინტერესებულან ჩვენები, რა ინტერესები ჰქონდა რუსეთს? სწორედ ამიტომ უნდა მოითხოვოს ხალხმა რეფერენდუმის ჩატარება, დადებითიც და უარყოფითიც აღინიშნოს, ხალხი კი შემდეგ თვითონ გადაწყვეტს. დღეს საქართველო გზაგასაყარზე დგას. ერთის მხრივ, მიუღწეველს — ნატოს და ევროკავშირს გვპირდებიან; 20 წელია, ნატოთი და ევროკავშირით გვატყუებენ. ამდენი ხანი ბავშვი რომ ატყუო, ის აღარ მოტყუვდება, რადგან გაიზრდება და ჩვენ კი ვერა და ვერ გავიზარდეთ. **ოცი წელია, თავს ვიტყუებთ და შედეგად რა მივიღეთ? — დაკარგული ტერიტორიები, დახოცილი ახალგაზრდობა, საზღვარგარეთ საშოვარზე გაქცეული დაბეჩავებული, პატივ და ნამუსაყრილი ხალხი; საქართველოს დედაქალაქში კი — არაბების, სპარსელებისა და თურქების ჯირითი, ქართველი ქალებისთვის ნამუსის ახდა და ქართველ კაცებზე თავზე გადავლა. დასკვნები ხომ უნდა გავაკეთოთ, ხომ უნდა გავიზარდოთ, ხომ უნდა დავფიქრდეთ, საით მივდივართ?!**

ავლანეთში დაღუპული ქართველი ბიჭები ჯერ გაცივებულები არ იყვნენ და ამათმა აქ მამათმავლების აღლუმი მოაწყვეს. თან გვეუბნებოდნენ, თუ იხოცებიან, ისევ თქვენთვის იხოცებიანო. მე არანაირი პრობლემა არ მაქვს ავლანეთში და რატომ უნდა ვიცავდე იმ ქვეყანაში თავს?! რაც სერბეთს გაუკეთა ნატომ და ევროპამ, დაშალეს და დააქუცმაცეს, იმავეს გაგვიკეთებს რუსეთიც, თუ ჭკუაზე არ მოვალთ. ამ ანალიზის გაკეთების უფლებას, პირველ რიგში, ჩვენი არასწორი, ცოდვილი ცხოვრება მაძლევს. ჩვენ თუ აქ მამათმავლებს გასაქანი მივეცით, მერე ნახეთ ამ ქვეყნის დაშლა და გაუბედურება. ზუსტად სერბეთის ისტორია გამეორდება საქართველოში. დარწმუნებული იყავით, რომ რუსეთს ამის განხორციელებაში ხელს არ და ვერც შეუშლიან. როგორც სახარებაში წერია: „იყავით ბრძენნი, ვითარცა გველნი და უმანკონი ვითარცა მტრედნი“. ასე უნდა იქცეოდეს ჩვენი ხელისუფლება. ხალხმა ყველაფერზე ხმა უნდა ამოიღოს.

**— თქვენი ამგვარი შეფასებები სასულიერო პირის პოლიტიკაში ჩარევა ხომ არ არის?**

— გრიგოლ ხანძთელი, რომლის ლოცვა-კურთხევითაც აშოტ კურაპალატი მოქმედებდა და ქვეყნის მთელ პოლიტიკას წარმართავდა, პოლიტიკაში ერეოდა და ღვთის მცნებას არღვევდა?! გიორგი ჭყონდიდელის გარეშე დავით აღმაშენებელი ნაბიჯს არ დგამდა, გიორგი ჭყონდიდელი გაჰყვა მას ყივჩაღების გადმოსასახლებლად, ეს პოლიტიკაში ჩარევა იყო?! სასულიერო პირი როდესაც აფასებს და აანალიზებს სიტუაციას, როდესაც ის მრევლს მოუწოდებს გონიერებისკენ, სიბრძნისკენ, ისტორიის გადახედვისა და სიყვარულისკენ, ამას პოლიტიკაში ჩარევა კი არა, სამშობლოს სიყვარული ჰქვია. ამას ჰქვია შიში მომავლისა, რადგან ვატყობ, ქვეყანას დასაღუპად ამზადებენ ესენი. მე კი ნამდვილად არ მინდა, მოვესწრო, თუ როგორ იღუპება ჩვენი ქვეყანა. ეკლესია ყოველთვის ასე იქცეოდა, ყოველთვის აფხიზლებდა მოსახლეობას. ის დედაა. დედა კი, როდესაც შვილების დაღუპვას უყურებს, ყველა ღონეს მიმართავს მათ გადასარჩენად. სწორედ ასე იქცევა ეკლესიაც.

ესაუბრა
**შორენა ლვახლიანი**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სახელოვანმა ინტელიგენციამ“ შვა პუტჩი, პუტჩმა შვა მოქკავშირი, მოქკავშირმა შვა „ნაცმოძრაობა“, „ნაცმოძრაობამ“ შვა ჯოჯოხეთი... სოროსის სორო, „თავისუფლების ინსტიტუტად“ წოდებული, გლობალისტთა დიდი ინკუბატორი, რომელშიც იჩეკებიან და ფრთიანდებიან უსამშობლო და უეროვნებო არსებები, ახალი თაობა...

# სადა ხართ, ძველო პლეხანოველებო, «კარენოებო», ძველო თბილისელებო?

**ამას წინათ „საქართველო და მსოფლიოში“ გავეცანი ალექსანდრე ჭაჭიას წერილს, რომელიც ქართულ პრესაში 2004 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ დღემდე აქტუალურია და თქვენმა გაზეთმა სწორედ რომ დროულად დაბეჭდა იგი ხელახლა. თქვენ კარგად შენიშნეთ, რომ ხელისუფლებაში კვლავ უმთავრესად შევარდნაძის პერიოდში ეროვნულ ინტერესებთან ბრძოლის სანაცვლოდ დაწინაურებულ გრანტიჭამიათა ახალი კოჰორტა მოვიდა და ბატონი ალესანდრეს მიერ თითქმის ათი წლის წინ დასმული შეკითხვა — „მაინტერესებს, სად, რომელ სორო(ს)ში იმყოფება დღეს ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენცია“ — ცნობილი პოეტები, მწერლები, კინორეჟისორები, აკადემიკოსები, რომლებიც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჯიუტად არ ამჩნევდნენ მის მიერ წაქეზებულ დესტრუქციულ, ანტიეროვნულ პროცესებს, ერთგულად ლოცულობდნენ საკუთარ კერპზე და არ სურდათ, დაენახათ, რომ მისი ფრთის ქვეშ ყალიბდება აგრესიული, უპრინციპო, უეროვნებო ცინიკური ძალა, რომელიც საჭირო მომენტში მოისვრის შევარდნაძეს, როგორც უსარგებლო ნივთს, და უმოწყალოდ დაამთავრებს ქართველობის მოსპობის მის მიერვე დაწყებულ პროცესს. სად ხართ, „ერის მამებო“? — მაშინდელზე არანაკლებ აქტუალური დღეს არის.**



ვეცდები, გავცე პასუხი, სად იყო ეს „ინტელიგენცია“ და როგორ ცდილობდა უცხოეთის დარწმუნებას ზვიად გამსახურდიას „დიქტატორობაში“ და „აჯანყების აუცილებლობაში“...

აი, რას წერს ფრანგი ჟურნალისტი პეტერ შოლ-ლატური, რომელიც პუტჩის დღეებში თბილისში იმყოფებოდა: **„ჩვენი მასპინძლის სახლში თავი მოეყარა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს — ექიმებს, მწერლებს, პროფესორებს... ყველაზე მეტად მანდილოსნები აქტიურობდნენ და საუბარს მძაფრ ტონს აძლევდნენ. ქალები ირონიითა და დაცინვით მოიხსენიებდნენ მათ მიერ დიქტატორად შერაცხულ ზვიად გამსახურდიას... „ოხ, ეს ზვიად მეფე“, — ქირქილებდნენ წარამარა განუწყვეტელ სადღეგრძელოებსა და გაუთავებელ დითირამბებს შორის... ჩემი მდიდარი მასპინძლის ოჯახში ინტელიგენტები მიმტკიცებდნენ, რომ საქართველოში დაბანაკებული რუსეთის ჯარი ერთმანეთს დაპირისპირებულ ძალთა შორის არ ერევა. თითქოს სანიმუშოდაც იქცევიან, მაგრამ სინამდვილეში არსებობს საიდუმლო არხები, რომელთა მეშვეობითაც პუტჩისტებს აიარაღებენ“.**

**ფაქტობრივად, ინტელიგენციის ეს წარმომადგენლები არა მხოლოდ გადატრიალების იდეოლოგები იყვნენ, არამედ მრავალმა მათგანმა ხელში იარაღი აიღო, რისთვისაც შევარდნაძის მადლობა დაიმსახურა და ქვეყნის ძარცვის ნებართვაც მიიღო.**

გაზეთის ზოგიერთ მკითხველს ირონიით ნახსენები **„სახელოვანი ინტელიგენცია“** ამ ინტელიგენციის შეურაცხყოფად რომ არ მოეჩვენოს, თავს უფლებას ვაძლევ, კიდევ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო მათი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტის სრულყოფისთვის.

ერთმა ცნობილმა ფილოლოგმა გამსახურდიები წარმოშობით სომხებად გამოაცხადა და... სულ მალე განათლების მინისტრის სავარძელში მოკალათდა!

ერთმა ცნობილმა პოეტმა შევარდნაძეს ქება-დიდება შეასხა: **„იგი უნიჭიერესი კაცია... მომხიბლავი ადამიანი... ნამდვილი გენიოსი... გველივით ბრძენი... ლეოპარდივით ულმობელი...“**

ამ პოეტის მლიქვნელური ნიჭი დაფასდა და რუსთაველის პრემიაც უბოძეს, ალბათ, ამგვარი ლექსებისთვის:

**„კაცი გახლავთ**
**პლასტმასის,**
**კი-კი-კი-კი პლასტმასის!“**
**„სინანულით შევცქერი**
**სახეს შენსას ამაზრზენს!**
**ნეტავ, ვინ დაგაყენა,**
**საცოდავო, ამ აზრზე!“**

**„კი არ გადადექი, გადაგაყენეს, გაგიშვეს! გაგაგდეს! ძალლივით და არა პრემიერივით და პრეზიდენტივით!“** და მრავალი სხვა.

შევარდნაძის მეხოტბე პოეტი უცებ მამა-მარჩენალს ზურგს შეაქცევს და ახალ პრეზიდენტს ჩვეული უტიფრობით ემლიქვნელება: **„ჯერ კიდევ როდის იწინასწარმეტყველა რუსთაველმა ის, რაც საქართველოში მოხდა — შევარდნაძის წასვლა და სააკაშვილის მოსვლა... ვარდების ფონზე!..“**

პოეტის აზრით, წინა პრეზიდენტები ცოლების ჭკუაზე დადიოდნენ და ამიტომ ქვეყანაც დაღუპეს. მაგრამ სააკაშვილის შემთხვევაში... **„რომ მოხდეს... და სააკაშვილმა ცოლის ჭკუაზე დაიწყოს სიარული, დარწმუნებული ვარ, საქართველო ამით არა თუ არაფერს წააგებს, იქნებ ყველაზე დიდი წარმატებები სწორედ მაშინ მოიპოვოს“.** და ბოლოს... სჯობს, მართლაც ამ პლასტმასისტვინიანი „პოეტის“ სიტყვები წავიკითხოთ: **„ჩემი ნება რომ იყოს, საქართველოში 21-ე საუკუნის ათვლას 2003 წლის 23 ნოემბრიდან დავიწყებდი!“**

მე ვერ შევძლებ უმდიდრესი ქართული ენიდან შესაბამისი სიტყვა მოვძებნო „სახელოვანი ინტელიგენციის“ ამ წარმომადგენლის სრულყოფილად დასახასიათებლად. იქნებ მკითხველმა შეძლოს?

ერთი ცნობილი მსახიობი აღშფოთებულია იმით, რომ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტში, ეროვნულ ხელისუფლებაში მას ნაცნობ-მეგობრები არ ჰყავს: **„ვინ არიან, საიდან მოვიდა ეს ხალხი?.. გუშინდელმა ხელისუფლებამ დახურა კინოსტუდია, ტელევიზია, ორად გახლიჩა ქვეყანა. დევნიდა განსხვავებულ აზრს... ამიტომ ჩავუდექი მას ოპოზიციაში!“**

პარლამენტის კრიტერიუმად თანამეინახეთა, ძმაკაცთა და ნაცნობ-მეგობართა მიჩნევა პოლიტიკური სიბეცისა და არასახელმწიფოებრივად აზროვნების მაჩვენებელია, ჩვენო „სახელოვანო ინტელიგენციავ!“

ის ხალხი, რომელსაც ცნობილი მსახიობი ვერ ცნობს და არ იცის, საიდან მოვიდნენ, საქართველოს შვილები არიან და პარლამენტში ეროვნული მოძრაობიდან მოვიდნენ. მათი ბრძოლის შედეგია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს ხალხი კაბინეტებში არ მჯდარა და იქ არ გეგმავდა მიტინგების სისხლიან დარბევებს; არც „აქტივის კრებაზე“ მიუწვევიათ და ტაშისცემით არ გამოუხატავთ აპრილის ტრაგედიის ნახვის სურვილი; არც თეატრების კულისებში ქირქილებდნენ...

**ეროვნული ხელისუფლების მიერ „დახურული“ კინოსტუდია საერთოდ აღარ არსებობს, ხოლო ტელევიზია დღეს ქართული ენის, ქართული ცნობიერების, ეროვნული კულტურის და საერთოდ ადამიანური ზნეობის გადაგვარების ზემძლავრ საშუალებად რომ იქცა, ცნობილი მსახიობი ამას კარგად უნდა აცნობიერებდეს, მაგრამ იგი რატომღაც დუმს...**

**„სახელოვანმა ინტელიგენციამ“ დააარსა ორგანიზაცია „თბილისელი“, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას აქტიურად ებრძოდა. „თბილისელმა“ შექმნა მითი თავისი აღმატებულობის, გამორჩეულობის შესახებ და დედაქალაქში ხელისუფლების დასაცავად გამართულ მიტინგებზე ჩამოსულ არათბილისელ ქართველებს „სუნიანებს“ ეძახდნენ!**

„თბილისელის“ წევრთა ძირითადი მასა ე. წ. კარენოი თბილისელებისგან შედგებოდა. ძნელი არ არის, მივხვდეთ, თუ ვინ იყვნენ და რა გვარს ატარებდნენ „კარენოების“ წინაპრები. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არც უნდა იყოს მათი სიძულვილი არათბილისელი ქართველების — ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების მიმართ.

**ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ცნობილი მეცნიერები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები, პროფესორ-მასწავლებლები რატომღაც ოპოზიციას თანაუგრძნობდნენ. ეს ადამიანები სახელმწიფო გადატრიალებისა და სისხლისღვრის მომხრენი არ იყვნენ, მაგრამ თავიანთი სილაჩრით, უპრინციპობით ხელი შეუწყეს მოვლენების განვითარებას და ამ მოვლენების ლოგიკურ დასასრულს.**

**ლოგიკური დასასრულია ისიც, რომ მოგვიანებით სახელგანთქმული მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები „ჩარეცხილებად“ გამოაცხადეს!**

„ყოვლისმცოდნე“ და უნიჭო ჟურნალისტებმა მხარი დაუჭირეს პუტჩისტების აბობოქრებას და ტელევიზიით, პრესისა და რადიოს საშუალებით ათასგვარ ჭორებსა და ცილისწამებას ავრცელებდნენ, რაც კი მათ ავადმყოფურ ცნობიერებაში ამოტივტივდებოდა.

ჩემი თაობის ხალხს კარგად ეხსომება, როგორი აღშფოთებით ლაპარაკობდნენ ჟურნალისტები პრეზიდენტის მიერ პურის გაიაფების თაობაზე. სიგუამ პური გააძვირა და პრეზიდენტმა მეორე დღესვე როგორ გააიაფაო, ამან გამოიწვია ხალხის აჯანყებაო! მსოფლიოში პირველად — საქართველოშიო!

საუბედუროდ, **იმ საბედისწერო დღეებში წმ. სინოდის ბევრი წარმომადგენელი პუტჩისტებს მიემხრო. 1992 წლის 7 იანვარს გამართულ ბანკეტზე ზვიად გამსახურდიას, როგორც ეშმაკის, თავიდან მოშორება დიდი ამბით აღნიშნეს. წმ. სინოდი დღესაც ძველ გზას ადგას და ეპისკოპოსთა უმრავლესობა ანტიმართლმადიდებლურ, ანუ ანტიეროვნულ გადაწყვეტილებებს იღებს.** სამაგიეროდ, სააკაშვილის ნაჩუქარი ჯიპებით მგზავრობენ, მისი სურათები ხატების მაგივრად უკიდიათ, მრევლს სააკაშვილის რეჟიმის ერთგულებისკენ მოუწოდებენ!

საქართველოში ყოვლისშთანმთქმელი დიდი ღამე ჩამოწვა და დადგა ეკონომიკის გაპარტახების, ქართული ცნობიერებისა და ზნეობრივი დეგრადაციის ჯერარნახული აღმავლობის ხანა! **„ქურდობთ, კაცისმკვლელობთ, ბოზობით, ცრუდ იფიცავთ, ბაალს უკმევთ, მისდევთ უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდით, მერე კი მოდიხართ, დგებით ჩემ წინაშე ამ სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, და ამბობთ: გადავრჩითო, რათა კვლავ აკეთოთ ყველა ეს სისაძაგლე“** (იერემია 7.9,10).

„სახელოვანმა ინტელიგენციამ“ შვა პუტჩი, პუტჩმა შვა მოქკავშირი, მოქკავშირმა შვა „ნაცმოძრაობა“, „ნაცმოძრაობამ“ შვა ჯოჯოხეთი... სოროსის სორო, „თავისუფლების ინსტიტუტად“ წოდებული, გლობალისტთა დიდი ინკუბატორი, რომელშიც იჩეკებიან და ფრთიანდებიან უსამშობლო და უეროვნებო არსებები, ახალი თაობა... ენაწატლეკილთა და ქვეგამხედვარეთა საყუდარი, თვალებპარპალა, მგლისტუჩა, ენაბრგვილი, ვიწროშუბლა, კბილსავარცხელა, რქოსანთა და ჩლიქოსანთა კოჰორტა, ლეგიონია მათი სახელი... ასეულობით პოლიტიკური პარტია და ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, ჩვენი ტელევიზიის ხშირი და სასურველი სტუმარი... იკვებებიან მწვანე დოლარით და ანთხევენ შხამს!

**ეჰა, რას სჩადით! რატომ კრძალავთ მამულის გაყიდვას უცხოელებზე? ხელს რატომ უშლით გეიპარადებს? რატომ არ გიყვართ პედოფილები, პედერასტები, ლესბოსელები? რატომ არ იღებთ ერთსქესიანთა ქორწინების კანონს? არ გინდათ დემოკრატია, დასავლური ღირებულებები? მწარედ ინანებთ!** — ისმის წკვარამ ღამეში გრგვინვასავით მათი ხმა და დგას ამ ყველაფრის სათავეში ელვით განათებული ძია სემის მრისხანე სახე — მარცხენაში შავი რეზინის ხელკეტით, ხოლო მარჯვენაში დოლართა შეკვრა ჩაუბღუჯავს. და ატეხილია თვალთაპარპალი და გნიასი: გვინდა! გვინდა! გვინდა!

აქვე, პლეხანოვის გამზირზე კი კაფე-ბარები, კაზინოები, საროსკიპოები თურქული დროშებით მორთულ-მოკაზმულნი... საპარადო შესასვლელთან ქართველი ქალები დგანან, გამვლელ-გამომვლელთ ულიმიან და კაბის კალთის აწევით თავიანთ სარცხვენელთ ურცხვად სთავაზობენ... **სადა ხართ, ძველო პლეხანოველებო, „კარენოებო“, ძველო თბილისელებო? ნუთუ ამისთვის იბრძოდით, როცა ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლ-კახეთიდან, გურია-სამეგრელოდან, რაჭა-ლეჩხუმიდან ჩამოსულ ჭეშმარიტ ქართველებს „სუნიანებს“ ეძახდით, „გოდრით ჩამოტანილებს“?**

ავაჰმე, ჩემო მამულო, ვის ხელთაა ბედი შენი!

**თენგიზ კუბლაშვილი,**
**უზენაესი საბჭოს დეპუტატი**

**სანამ ქართველი არ გააცნობიერებს, რას წარმოადგენს ნატო, ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ და ევროკავშირი, რომლის ქვეყნებში იძულებით რეგლამენტირებულია ნებისმიერი დარგობრივი პრიორიტეტები, ვერ შევძლებთ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკის გატარებას.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს მოაზროვნე საზოგადოების არჩევანი არ არის ნატო და ევროკავშირი

**80-იან წლებში მოსკოვიდან რუსი გენერალი დამემგზავრა. დღეს საოცარი ემოცია მიპყრობს, როცა მის ერთ შეკითხვას ვიხსენებ: რომელი სამშობლო უფრო გიყვარს: დიდი თუ პატარა? — რუსი გენერალი დიდ რუსეთსაც ქართველის სამშობლოდ მიიჩნევდა. იმ ცნობიერებით, როგორითაც გავიზარდეთ, რუსეთი ჩემი სამშობლო იყო, ხოლო საქართველო — დედასამშობლო, მაგონდება სკოლის პერიოდში როგორი ენთუზიაზმით გვარწმუნებდა ისტორიის მასწავლებელი: ჩვენ უძლიერეს ქვეყანაში ვცხოვრობთ და ამერიკული დამპალი კაპიტალიზმი ვერაფერს დაგვაკლებსო, — და მე ამით ამაყი ვიყავი.**



რუსეთისთვის, განსაკუთრებით პუტინის ხელისუფლების პერიოდში, რომელმაც შეძლო ქვეყნის გაძლიერება 90-იანი წლების პოლიტიკისგან განსხვავებით, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა, მაგრამ საქართველოსთვის, სამწუხაროდ, შეიცვალა და პოსტსაბჭოთა სივრცეში სწორედ იგი აღმოჩნდა ამერიკული დამანგრეველი იდეოლოგიის სამიზნე. **წარსულის ნოსტალგია იმდენად ძლიერია, რომ სრულიად ვეთანხმები რუსეთის პრეზიდენტს: საბჭოთა კავშირის დაშლა იყო საუკუნის უდიდესი შეცდომა, იმავეს განიცდიან რუსი ეროვნების ადამიანებიც** და ამის შედეგია სწორედ, რომ კომუნისტურმა პარტიამ რუსეთში არჩევნებით მეორე ადგილი მოიპოვა.

**ვლადიმერ პუტინმა ღიად გააკეთა განცხადება, რომ არასდროს სხვა ქვეყნის მითითებით და ინტერესების შესაბამისად არ იმოქმედებდა და კიდევაც ასრულებს ამას. მე, რიგითი ქართველი, ქედს ვიხრი ყველა იმ პოლიტიკოსის წინაშე, რომელთათვისაც პრიორიტეტულია თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვა უცხო ქვეყნის ინტერესების სანაცვლოდ.**

აკრძალვები, რომელთაც საბჭოთა კავშირი აწესებდა თავისი მოქალაქეების მიმართ, მიმართული იყო მათივე ცნობიერების, მორალისა და ზნეობის დასაცავად და დღეს ცხადად ჩანს ამ ღირებულებებიდან თავისუფალი ადამიანები როგორ ქვეყანას აშენებენ უზნეობის ჭაობში.

დღეს მსურს, მთელი მსოფლიოს გასაგონად მივმართო რუსეთის პრეზიდენტს: **„ვლადიმერ ვლადიმერის ძევ! საქართველოს მოაზროვნე საზოგადოების არჩევანი არ არის ნატო და ევროკავშირი. ჩვენს ქვეყნებს ურთიერთობის ღრმა ისტორიული ფესვები აქვთ და, თქვენივე განცხადებით, ქართველები ყველაზე ახლობელი ხალხია რუსეთისთვის. სწორედ თქვენი მმართველობის დროს უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნების ინტერესთა თანხვედრა და ჩატეხილი ხიდის აღდგენა“.**

სააკაშვილმა, არჩევნების მსგავსად, გააყალბა პლებისციტი 2008 წელს, ხოლო ეს ხელისუფლება, უზნეო კრიმინალი „ნაცების“ ნაკვალევს მიუყვება გარეძალების დაკვეთით. წინა ხელისუფლებამ ცნობიერება გაუმრუდა ახალგაზრდობას და დღესაც მოძღვრავს მას: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთი ოკუპანტია!“

2008 წლის აგვისტოს ომი ყოფილი ხელისუფლების დამანგრეველი, არადიპლომატიური პოლიტიკის შედეგია მხოლოდ და ეს უნდა გაითავისოს ქართველმა საზოგადოებამ. **სანამ ქართველი არ გააცნობიერებს, რას წარმოადგენს ნატო, ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ და ევროკავშირი, რომლის ქვეყნებში იძულებით რეგლამენტირებულია ნებისმიერი დარგობრივი პრიორიტეტები, ვერ შევძლებთ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკის გატარებას.** განა ძნელია ჩვენი მეზობელი ქვეყნის ინტერესების გააზრება, რომელსაც არ სურს თავის საზღვართან ნატოს ჯარების განთავსება? წინა ხელისუფლების მიერ ნატოსთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს თუ 2008 წლის ომი მოჰყვა მთელი თავისი კატასტროფული შედეგებით და საჯიშე ბიჭები უჯიშო, ბინძური კრიმინალის ამბიციებს გადააყოლეს, ამ ხელისუფლების ანალოგიური განცხადებების შედეგად მავთულხლართები მივიღეთ. ჩვენს მოსახლეობას თანავუგრძნობ, მაგრამ რუსეთი მართალია — ის თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისგან განსხვავებით.

**რა მოგვცა რუსეთმა ორსაუკუნოვანი ურთიერთობით? — ქართული გენის გადარჩენა, დემოგრაფიული ზრდა, რწმენის, ტრადიციებისა და ზნეობის შენარჩუნება, დარგობრივი რენესანსი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თვითრეალიზაციის საშუალება.**

**რაც მივიღეთ ოცწლიანი რეფორმირებული პოლიტიკით, კარგად ვხედავთ: დაინგრა მეცნიერება, განათლება, კულტურა და მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ ქვეყნად ვიქეცით. საქართველოს დამანგრეველ ძალებს ზოგს დიდი ჩერქეზეთის, დიდი არმენიის და დიდი ოსმალეთის შექმნა უნდათ ძირძველ ქართულ მიწაზე. საქართველო დღეს დიდი თურქობის დასაწყისის ფაქტის წინაშე დგას.** ღიად გაუხსნეს კარი ვაიქართველებმა უცხო ჯიშსა და ჯილაგს და ლამის საკუთარ მიწა-წყალზე სტუმრად ვიგრძნოთ თავი. თურქი ისე გათავხედდა, რომ შარვალჩახსნილი იაშვილის კლინიკაში სართულ-სართულ „სიქიმსიქიმ“-ის ძახილით დარბის. **დღეს ამერიკის ელჩი თავად გვიბიძგებს მიწების გაყიდვისკენ და თვით ტელეკომპანიების მუშაობაშიც კი ერევა.** სრულიად ვეთანხმები ბატონ ვლადიმერ ხომერიკს, რომელმაც აღნიშნა, რომ **ქართველები რუსეთს ვუწოდებთ ოკუპანტს, ხოლო ნამდვილი ოკუპანტი აქ, ამერიკის საელჩოში გვიზის და ყველა გადაწყვეტილებას მას უთანხმებთო.** ფაქტია, რომ ამერიკამ იდეოლოგიის, ქართული ცნობიერების ოკუპაცია მოახდინა „ნაცების“ ხელით. **საქართველოში დღეს პოლიტიკური და კაცური ღირსების დეფიციტია და არც არის გასაკვირი, რომ თავისუფალი საქართველო ოკეანისგაღმელ კაციჭამიების ხელში აღმოჩნდა ისევ ჩვენივე უნიათობით** და 5-ათასწლოვანი დამწერლობის მქონე ქვეყანაში იმ ქვეყნის ძალები გვმოძღვრავენ, რომლის წლოვანების ჩვენს წინაპრებს ქლიავის ხე ედგათ მამულში.

თუ არა ამერიკისა და ევროპის ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელი პოლიტიკა, დღეს ჩვენ არ ვიქნებოდით: პირველ ადგილზე სუიციდის მხრივ ევროპის ქვეყნებს შორის; არშემდგარ სახელმწიფოთა შორის — 55-ე ადგილზე; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობით პირველ ადგილზე 162 ქვეყანას შორის; ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობით ერთ-ერთი პირველნი; მომაკვდავ ერთა ნუსხაში; სტრასბურგში შესულ საქმეთა მიხედვით პირველ ადგილზე ევროპაში.

**როცა ჩვენი პოლიტიკოსები ევროპულ ფასეულობებზე აპელირებენ და ვაზელინწასმულნი თავგამოდებით ილტვიან ამ მიმართულებით, ავიწყდებათ, რომ არ მოიპოვება მრავალსაუკუნოვან ქართველ ტრადიციებზე, იდეოლოგიასა და მართლმადიდებლურ ფასეულობებზე წინმსწრები ფასეულობები, ხოლო თუ პოლიტიკოსები, ევროპულ ფასეულობებში სამართლებრივ სახელმწიფოს გულისხმობენ, სწორედ მათი მითითებით დაირღვა ადამიანთა უფლებები საქართველოში, რადგან მონური ცნობიერების ხელისუფლებამ დანაშაულთა სერიალი, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იყო ქცეული დაუსჯელი დატოვა, ხალხისთვის წართმეული ქონება კი — დაუბრუნებელი.**

**ევრო-ამერიკის წარმომადგენლობა როცა მხარს უჭერს ძალადობას და დიქტატურას ჩვენს ქვეყანაში, სრული პოლიტიკური სიბეცეა ამ ქვეყნების მიმართულებით სიარული და დემოკრატიაზე დემაგოგიის მოსმენა.**

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისთვის ღირსების შემლახველია ამერიკის პარტნიორობით თავის მოწონება, რომლის პრეზიდენტი თავად ამერიკელების მიერ მსოფლიოში პირველ გეიპრეზიდენტად იქნა აღიარებული.

**პარტნიორ ქვეყანასთან უნდა გვაერთიანებდეს საერთო ინტერესები, ღირებულებები, იდეოლოგია, მრწამსი და, ამ ცნობიერებიდან გამომდინარე, ამერიკა ვერასოდეს იქნება ჩვენი რეალური პარტნიორი ქვეყანა. იმავეს ვიტყოდი ევროპაზეც.** ჯერ კიდევ დიდმა კონსტანტინემ უწოდა მათ ცივილეზებული კანიბალები თავის ნაშრომში „ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, არ აირჩია გზა ისლამური სახელმწიფოებისკენ ჩვენმა ეროვნულმა მეფემ, თუმცა, ისლამი ზნეობის თვალსაზრისით (გარდა ჯიჰადისა), უფრო ახლოა მართლმადიდებლობასთან, ვიდრე კათოლიკური სარწმუნოება.

**ამერიკელებს ვერ გავაკვირვებთ წამების ამსახველი კადრებით, რადგან თავად არიან მსგავსი ქმედებების ეტალონები იმ ქვეყნებში, რომლებშიც ადამიანთა უფლებები ირღვევა, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთ ქვეყანათა რიცხვში აღმოვჩნდით და რიჩარდ ლუგარის სახელობის 22 სამხედრო ლაბორატორიაც გაგვიხსნეს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, სადაც ამერიკელი ჟურნალისტისა და მკვლევარის — ჯეფრი სილვერმანის ინფორმაციით, აშშ და ბრიტანეთი საქართველოსა და მის მოსახლეობას ბიოლოგიური კვლევებისთვის იყენებს, რაც მოწმობს, რომ ჩვენივე ხელისუფლების ნებით ხორციელდება ქართველებზე ცდების ჩატარება.**

სამოქალაქო საზოგადოება ამაზე დუმს და ვერ აცნობიერებს, რომ ამერიკა, რომელიც თავის მოსახლეობას იყენებდა ცდის პირად 60 წლის მანძილზე დასხივების ეფექტის შესასწავლად და მისი ექსპერიმენტის მსხვერპლი იყო ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელი სუბიექტი ბავშვების ჩათვლით, ქართველებზე ჩატარებული ექსპერიმენტი არ შეაწუხებს.

არ გამოვრიცხავ, რომ წამების კადრებით თავად ამერიკელებსაც ატკბობდნენ და თავსაც იწონებდნენ უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები, რომლებმაც თავგამოდებით განახორციელეს ამერიკაში 1971 წელს ჩატარებული ზიმბარდოს ექსპერიმენტი და წამების სხვა არაერთი მეთოდი პატიმრებზე დაშარდვის ჩათვლით.

**თუ ქართველებს ისტორიული მეხსიერება გაგვაჩნია, მესამე წრეზე მივდივართ დასავლეთის მიმართულებით. სულხან-საბა კათოლიკედ მოინათლა რომის პაპის დახმარების მოლოდინში. მე-20 საუკუნის 20-იან წლებშიც დასავლეთის იმედად იყვნენ ქართველები და ახლაც არ აკლიათ მხარდაჭერა მისი მხრიდან შეშფოთება-აღშფოთების გამოხატვით.**

**დღეს „ნაცები“ და კოალიციის წევრები ერთხორც და ერთსისხლ არიან. სისხლი-მეთქი ვამბობ, მაგრამ ევროპა-ამერიკის შიგთავსიდან ამოფრქვეული სიმყრალე უდუღთ ძარღვებში. ეს ის შემთხვევაა, როცა ქვეყნის წინაშე მოვალეობა, სინდისი, მორალი და ზნეობა ფულმა ჩაანაცვლა.**

სააკაშვილის აზრით, რუსეთი „ხრწნიდა და ამუხრუჭებდა“ ქვეყნის განვითარებას, მაგრამ სწორედ სააკაშვილის მმართველობის დროს სულიერებისა და მსოფლმხედველობის გაუკულმართებას მოჰყვა ლგბტ საზოგადოების მოძალებაც. „ნაცებმა“ ისე „განავითარეს“ ქვეყანა, რომ, თუ ციხის კადრებით ვიმსჯელებთ, სადაც ტრენინგგავლილი და კონკურსში გამარჯვებული მამაკაცის გამაუპატიურებლის საშტატო ერთეულიც კი შემოიღეს, ნათლად დავინახავთ, როგორ აქცია ლიბერასტულმა უმრავლესობამ ადამიანი ცხოველად.

წამყვანი ქვეყნების მმართველი ძალებისგან განსხვავებით, რომელნიც ფასეულობების იგნორირებით მოსახლეობის დეგენერაციისკენ არიან მიმართულნი, რუსეთის პრეზიდენტმა ნორმად არ მიიღო მამაკაცის ღირსების დაკნინება და **2013 წლის 11 ივნისს რუსეთის დუმის მიერ დამტკიცდა კანონი მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ, რომლის მიხედვით სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ლგბტ წევრებს. ასევე, აკრძალა ბავშვთა გაშვილება იმ ქვეყნებში, რომლებშიც ერთსქესიანი ქორწინება დაკანონდა, რათა ისინი ჰომოსექსუალებად არ ჩამოყალიბდნენ.** ეუთოს საპარლამენტო სესიაზე რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს სპიკერმა — სერგეი ნარიშკინმაც აღნიშნა, რომ უმცირესობის უფლებების დაცვა უმრავლესობის უფლებებს არ უნდა ლახავდეს. აი, კაცური ღირსების მქონე მამაკაცების პოზიცია.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობა ევრაზიული კავშირისკენ ილტვის, სადაც დაცული იქნება მისი უსაფრთხოება, მორალი, ზნეობა. **ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს ისიც კარგად მოეხსენებათ, რომ ნატო პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის შეცვლაზეა ორიენტირებული, ხოლო ევროკავშირი — ქვეყნის ყველა დარგის რეგლამენტირებულ განვითარებაზე, რასაც თვით ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც აპროტესტებენ.**

რუსეთის ხელისუფლება თვით ევროპა-ამერიკის ქვეყნების მოსახლეობისთვისაც გახდა სანიმუშო და სოციალურ ქსელებში გამოხატავენ მის მიმართ პატივისცემას. აღნიშნავენ, რომ რუსეთს ძლიერი, ვაჟკაცური, ეროვნული ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება მართავს და თავიანთი ქვეყნის ხელისუფლებას მოუწოდებენ, მიბაძონ მას, რამეთუ უარყოფითად აფასებენ მათი მმართველობის სისტემას.

**ჩვენ მეზობლად გვყავს უძლიერესი ბირთვული სახელმწიფო ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული, რაც ჩვენი ქვეყნის გამთლიანებისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საფუძველს ქმნის. ვფიქრობ, მომავალში შეიცვლება ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და, თუ ამერიკას დიდი თანხები აქვს გაღებული, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობას არ მოხმარებია, მის რჩეულ კრიმინალ სააკაშვილსა და ნაცბანდას მოჰკითხოს, რაც 20 ტრილიონი ვალის მქონე ქვეყანაზე დადებითად აისახება.**

დღეს ქართველი საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი უფრო სახელმწიფოებრივად აზროვნებს, ვიდრე პოლიტიკოსთა უმრავლესობა, ამიტომ საქართველო ისტორიულ რეალობას ვერ გაექცევა და

**„დღეს იქნება
თუ ხვალ იქნება
ქართლსა დაიცავს
რუსთ ხელმწიფობა“...**

**იზა თამაზაშვილი,**
ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ დაჩაგრულის მანტიის წყალობით მოახერხა სააკაშვილმა ხელისუფლების სათავეში მოსვლა ამ ათი წლის წინ, ამიტომ ზოგიერთი ევროპელი დეპუტატისა და ამერიკელი კონგრესმენის აღვირახსნილ ლაშქრობას ქართული სამართლიანობის წინააღმდეგ უსიამოვნო სუნი ასდის და საფუძვლიან ეჭვს ბადებს მათი კორუმპირებულობის თაობაზე.**

# ამერიკული პოლიტიკური კურსის დაისი საქართველოში

საქართველოს დღეს არ გააჩნია იმის ფუფუნება, რომ არ გაითვალისწინოს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და არ გაისიგრძეგანოს ყველა შესაძლო ვარიანტი, თუნდაც პესიმისტური, რომელთა გააზრება რეალურად მოგვცემს საშუალებას, გამოვნახოთ მცირე ერის დედამიწაზე არსებობისთვის საჭირო თუნდაც მინიმალური პოლიტიკური სეგმენტი და მსოფლიო ხალხთა ოკეანეში მყარად, შედარებით უპრობლემოდ დავმკვიდრდეთ, რაც უკეთეს შედეგს მოგვიტანს, ვიდრე დღევანდელი რეალობაა, რომელიც გადაშენების მუდმივად შიშის ქვეშ ცხოვრებას გულისხმობს და მეტს არაფერს...

**ყოველივე ეს კი იმის გარანტია იქნება, რომ შეიცვლება სააკაშვილის მთავრობის მიერ ვითომდა დემოკრატიის მანტიით შემოსილი, ძალად თავს მოხვეული, ქართული სულისთვის მიუღებელი ნეოლიბერალიზმის ტრანსფორმირებული მოდელი, რომელიც ხორცშესხმაა ფულხენსიო ბატისტას ცნობილი მოწოდებისა: „მეგობრებს — ყველაფერი, დანარჩენებს – კანონი!“.**



**ამერიკელთა მიერ თავსმოხვეული ე.წ. კოჰაბიტაცია მეტი არაფერია, თუ არა გაახანგრძლივოს დამკვიდრებული ამორალიზმი ქართულ პოლიტიკაში და ქვეყანაში რეალურ მეორე პოლიტიკურ ძალად გახადოს «ნაციონალები»**

კანონი კი ისეთი დრაკონულია, რომ მასთან ჭიდილში კანონიერად ვერაფერს გახდები და, ჩვენი აზრით, ამ რეჟიმის იგნორირებით ნაწილობრივ მაინც კომპენსირებული იქნება ის ზიანი, რომელიც წინა ხელისუფლების სისტემურმა დანაშაულებრივმა რეჟიმმა გვისახსოვრა, რაც, საბოლოო ჯამში, თავისი არსით მაჩანჩალა ლიბერალების როლში ყოფნას გამორიცხავდა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, რადგანაც ქართული საზოგადოებრიობა მხოლოდ ერთ საკითხში დავემსგავსეთ მათ (ლიბერალებს), ესაა მხოლოდ თავისიანების გამდიდრება.

ყოველივე ზემოთ თქმული, ბუნებრივია, სრულებითაც არ მოასწავებდა და ვერ მოიტანდა ქართული პოლიტიკური ეგოცენტრიზმისა და დაუნდობლობის სამყაროს დასასრულს, — პირიქით, ხოლო **ამერიკელთა მიერ თავსმოხვეული ე.წ. კოჰაბიტაცია მეტი არაფერია, თუ არა გაახანგრძლივოს დამკვიდრებული ამორალიზმი ქართულ პოლიტიკაში და ქვეყანაში რეალურ მეორე პოლიტიკურ ძალად გახადოს „ნაციონალები“,** ამით კიდევ უფრო შორს გადასწიოს კომუნიზმის ჯერ კიდევ შემორჩენილი ოცნება – სოციალური სამართლიანობა ხელს უწყობდეს ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრებას და „ნაციონალებს“, თუნდაც საკუთარ შეცდომებზე ჭკუანასწავლებს, დაუტოვოს იმედი ხელმეორედ ხელისუფლების სათავეში მოსვლისა, რაც ბუნებაში უნდა გამოირიცხოს.

**მმართველი პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნება“ ხელისუფლების სათავეში მოიყვანა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაშვებულმა უხეშმა და, უმრავლეს შემთხვევაში, დაუნდობელმა შეცდომებმა.** არავის აქვს იმის ილუზია, რომ მანამდე, ე.წ. ვარდების რევოლუციამდე არსებული ვითარება კარგი იყო და არ საჭიროებდა შეცვლას, მაგრამ ცვლილება უკეთესობისკენ უნდა წასულიყო და არა უარესობისკენ. დანაშაულობათა სამყაროს წინააღმდეგ წარმართული ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობა“ მაშინ მოიტანდა სათანადო შედეგს, თუკი საბოლოოდ ამოიკვეთებოდა ქურდული მენტალიტეტი და იგი არ ჩანაცვლდებოდა „ნაციონალური მოძრაობით“.

**რა შეიცვალა უბრალო მოკვდავისთვის? არაფერი, იყო ერთი, ჩაენაცვლა მეორე, თანაც უფრო მეტად დაუნდობელი და დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი, უპროგნოზო ქცევების მქონე, ვოლუნტარისტი, ბელადომანიით დაავადებული პრეზიდენტით სათავეში, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ნებისმიერი ზესამართლიანი შენიშვნაც კი და მთელი მისი პოლიტიკური სპექტრი მარტო იმის მცდელობაში იყო, რამენაირად გაეპიარებინა და გაემართლებინა მისი ნებისმიერი საქციელი, რაც უნდა უზნეო და მიუღებელი ყოფილიყო იგი, თუნდაც ამას შეწირვოდა ასობით და ათასობით ოჯახის კეთილდღეობა;** ანუ სახეზე გვყავდა ნეოლიბერალი პოპულისტი პერუს პრეზიდენტ ალბერტო ფუხიმორის ასლი, რომელმაც ათ წელზე უფრო მეტ ხანს აშანტაჟა და ძარცვა საკუთარი ხალხი თაღლითური მეთოდებით, გაყალბებისა და შანტაჟის გზით (რა ნაცნობი სიტუაციაა ჩვენთვის), ორგზის მოუგო არჩევნები „სიკვდილის ესკადრონების“ ავტორს, ნობელის პრემიის ლაურეატს — მარიო ვარგას ლიოსას და ასევე, ოპოზიციის წინააღმდეგ პოლიციური მანქანის გამოყენებით, მას კონკურენცია ვერ გაუწია გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა — პერეს დე კუელიარმა.

**თუკი საქართველოს პრეზიდენტს გვერდს უმშვენებდა „სახელმწიფოს ხერხემლად“ წოდებული, აწ უკვე მისგანვე განწირული და ახალი მთავრობის მიერ საპატიმროში გამომწყვდეული შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი** (რომელიც, ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკური თამაშების წყალობით, შესაძლოა, ისევ აქტიურად დაუბრუნდეს „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის თანამდებობას), **პერუშიც ანალოგიური სიტუაცია იყო, ალბერტო ფუხიმორის დასაყრდენი იყო ვლადიმიროს მონტესინოსი, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც იწერდა ყველაფერს კასეტებზე და სჯიდა განსხვავებული პოლიტიკური იდეების მატარებელ ინტელიგენციას.** ანუ რა მივიღეთ? — არაფერი განსხვავებული, სახელმწიფო მოდელი მოპარული აღმოჩნდა პერუელებისგან და გადმონერგილი საქართველოში. **თუკი ადრე თავნებობდა ქურდული სამყარო, რომლის წინააღმდეგ მიმდინარეობდა შერჩევითი ბრძოლა მხოლოდ იმათ დასასჯელად, ვინაც სააკაშვილს ოპოზიციაში ყოფნისას მხარი არ დაუჭირეს, რეალური ბრძოლის შედეგად ისინი განდევნილი იქნენ ქვეყნიდან და სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეც გაგრძელდა მათ წინააღმდეგ ერთობლივი სადამსჯელო ოპერაციები** (გაიხსენეთ ესპანეთის, საფრანგეთისა და საბერძნეთის პოლიციასთან საქართველოს შსს თანამშრომლობის შედეგად დაპატიმრებული და საქართველოში ექსტრადირებული პირები, რომელსაც საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ ბრალს სდებდნენ წინასწარ სპეციალურად შერჩეული სახელმწიფო მბრალმდებლები — ახალგაზრდა გოგონები, რითაც ხდებოდა მათი, როგორც ქურდული სამყაროს წარმომადგენელთა, გეგმაზომიერი დამუშავება, რომელიც იწყებოდა შეურაცხყოფით, რადგან არამარტო ქურდული, არამედ აზიური ტრადიციული მენტალიტეტის შედეგად მიუღებელი იყო მსგავსი რამ: ოფიციალური ქურდული სამყაროს წარმომადგენელს აპატიმრებს და ბორკილებს ადებს ქალი, თანაც პატარა გოგონა, რაც კავკასიელისთვის ოდითგანვე დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამგვარ ქმედებებს სრული გაგებითა და ტოლერანტობით შეხვდა ჩვენი საზოგადოება, რადგან მათთვისაც მიუღებელი იყო ის უკანონობანი, რომელთაც ისინი სჩადიოდნენ), **ანდა იქნენ გამომწყვდეულები და ცოცხებით ნაწამები საპატიმროებში.**

ამას დაემატა საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოკალათებული ჩინოვნიკების არნახული თავგასულობა და ელიტური კორუფცია, რაც გამოხატული იყო კლანური და ძირითადში პარტიული ნიშნით გამორჩევასა და უნარზე, ზემოქმედება მოეხდინათ თვით სასამართლო გადაწყვეტილების ბედზეც კი. **არაერთი სასამართლო განაჩენი გაუქმებულა და აღსრულების სტადიიდანაც კი მოხსნილა, თუკი მაღალი რანგის ჩინოვნიკი ჩაერეოდა და მოთხოვდა პოლიტიკური რეჟიმის ჯიბის მოსამართლეებს საქმის თავიდან შეკერვას** (სხვა სახელს ასეთ ქმედებებს ვერ დავარქმევთ), **რა თქმა უნდა, ისეთი თეთრი ძაფებით, რომ ბრმაც კი დაინახავდა, რამაც კიდევ უფრო გააღიზიანა და კრიტიკული გახადა ჩვენი საზოგადოება.**

(თქვენს ყურადღებას არ გადავღლით იმ უბრალო სტატისტიკითაც კი, თუ რამდენმა დაზარალებულმა მიმართა სტრასბურგის სასამართლოს ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში და არც თუ უსაფუძვლოდ; არაფერს ვამბობთ საქართველოს პროკურატურასა და უზენაეს სასამართლოში 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სამართლიანი განაჩენის მომლოდინე ათიათასობით საჩივარზე, რომელთა უკან ასიათასობით ადამიანი დგას!).

სწორედ ამიტომ მინდა მივმართო ხელისუფლებაში მმართველი პარტიის როლის პრეტენზიის მქონე „ქართულ ოცნებაზე“ ტკიპასავით აკიდებულ რესპუბლიკელებს, რომ არაა ჩვენთვის მისაღები ძველი პოლიტიკური რეჟიმის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულების პატიება.

**„წარსულის წარსულში დატოვების“ პრინციპმა ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში კი გაიარა აპრობაცია, მაგრამ უშედეგოდ; ის არის პრინციპულად ანტიდემოკრატიული, რადგან დანაშაული დაუსჯელი რჩება და ყოფილი ჩინოვნიკი კანონზე მაღლა მდგომი გამოდის, რაც ადვილი შესაძლებელია, მომავალი დესტაბილიზაციის წყარო გახდეს.** თანაც ეს ცუდი მაგალითია ამჟამად ხელისუფლებაში მოკალათებულ მოხელეთათვის, რომელთაც დაუკარგავს მსგავს სურვილს და ერთგვარ პრევენციულ ღონისძიებად გადაიქცევა. ამიტომ **დამნაშავეთა დასჯისა არ უნდა ეშინოდეს ხელისუფლებას, რაც უნდა გამოგონილი პოლიტიკური სარჩული დაუდონ მას. სულიერად და ზნეობრივად გაკოტრებულ და საკუთარი ხალხისგან მოძულებულ „ნაციონალურ მოძრაობას“, გარდა იმისა, რომ დაჩაგრულის მანტია მოისხას, არ დარჩა სხვა კოზირი. სხვათა შორის, სწორედ ასეთი მანტიის წყალობით მოახერხა სააკაშვილმა ხელისუფლების სა-** ▶

**სულიერად და ზნეობრივად გაკოტრებულ და საკუთარი ხალხისგან მოძულებულ «ნაციონალურ მოძრაობას», გარდა იმისა, რომ დაჩაგრულის მანტია მოისხას, არ დარჩა სხვა კოზირი**

# საქართველოს სინამდვილეში ხელთ შეგვრჩა დასავლური და აღმოსავლური სამყაროს მოჩვენებითი, პოპულისტური მოდელი, რომელიც დასავლური დემოკრატიის დამახინჯებულ და აღმოსავლური დესპოტიის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


მიხეილ სააკაშვილი


ივანე მერაბიშვილი


ალბერტო ფუჯიმორი


ვლადიმირო მონტესინოსი

**თუკი საქართველოს პრეზიდენტს გვერდს უმშვენებდა «სახელმწიფოს ხერხემლად» წოდებული, ან უკვე მისგანვე განწირული და ახალი მთავრობის მიერ საპატიმროში გამომწყვდეული შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი, პერუშიც ანალოგიური სიტუაცია იყო, ალბერტო ფუჯიმორის დასაყრდენი იყო ვლადიმირო მონტესინოსი, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც იწერდა ყველაფერს კასეტებზე და სჯიდა განსხვავებული პოლიტიკური იდეების მატარებელ ინტელიგენციას**

◀ **თავეში მოსვლა ამ ათი წლის წინ, ამიტომ ზოგიერთი ევროპელი დეპუტატისა და ამერიკელი კონგრესმენის აღვირახსნილ ლაშქრობას ქართული სამართლიანობის წინააღმდეგ უსიამოვნო სუნი ასდის და საფუძვლიან ეჭვს ბადებს მათი კორუმპირებულობის თაობაზე.** ძალიან ბევრი საუბარი მიმდინარეობს ე.წ. ატკატების შესახებ, რომელიც ასევე ე.წ. გრანტიჭამია „ნაციონალებისთვის" შეიძლება იყოს დამახასიათებელი, ამიტომ **გრანტების გამცემ დონორ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პერსონებს დასავლეთში უფრო მეტი თავშეკავება და ზომიერება მართებთ პოზიციების დაფიქსირების დროს.**

უნდა გამოვყო ელიტური კორუფციის თემა. ეს ისეთი საკითხია, რომელიც საბოლოოდ ფარდას ხდის სააკაშვილის რეჟიმის „სიფარჩაკეს", ეს ხომ მისი ერთ-ერთი საყვარელი ტერმინია. მთელი ამ დროის განმავლობაში არაერთგზის გაგვიგონია სამთავრობო სატელევიზიო არხებისგან, რომ დაამარცხეს კორუფცია. ეს ისეთივე ბლეფია, როგორც ქურდული სამყაროს დამარცხება. **რა მნიშვნელობა აქვს ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, თუ ვისგან აიტანს უსამართლობას — ჩვეულებრივი კანონიერი ქურდისგან, რომელიც საბჭოთა სასამართლო სისტემის ნაციონალების ანალოგიური უსამართლო ქცევების გამო საზოგადოებისგან აღიქმებოდა სამართლიანობის სიმბოლოდ და დაჩაგრული ადამიანები, სამწუხაროდ, მისგან (ქურდისგან) მოელოდნენ შველას. აქ კი უარესი მივიღეთ, არავინ დარჩა სამართლის გამჩენი, ხოლო პრეზიდენტი თავის თავაშვებულობითა და არაორდინალური ქცევებით მოსაბეზრებელი გახდა და ყელში ამოუვიდა საზოგადოებას.**

ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას კორუფციის დამარცხების თაობაზეც. **„ნაციონალური მოძრაობის" მიერ აპრობირებული ქართული ნეოლიბერალიზმის მოდელი ყველა დონეზე და ასპექტში მოიცავდა ქრთამის შეფარვით აღებას. თუ სოციალურად დაუცველი არ იყავი, სახელმწიფო ორგანოსგან უფასოდ, ანუ უქრთამოდ, ოფიციალურ თუ საფინანსო ხასიათის დოკუმენტს ვერ აიღებდი. ეგ კი არა და დასაფლავების ხარჯებსაც კი, მარტო საფლავის გაჭრა 150 ლარი ღირდა.** არაფერს ვამბობთ სხვა ხარჯებზე, არავინ გაიღებდა, მაგრამ მას არ ერქვა ქრთამი, ეს იყო გადასახადი, რომელიც ბანკში უნდა შეგეტანა და რომლის ბედს, როგორც ქრთამისას, არც არავინ დაგანახვებდა; თანაც ბანკი, თავის მხრივ, სამომსახურეო საურავს ამატებდა 1 ლარს და ამით კიდევ უფრო უძნელებდა ყოფას ჩვეულებრივ მოკვდავს.

როგორი „გამჭვირვალეც" იყო პოლიციის შენობა იქ მიმდინარე მოვლენებით, ასეთივე იყო ბანკი და ნებისმიერი ორგანიზაციის საფინანსო განყოფილება. ერთი რამ „ნაციონალების" ნამოქმედარი დადებითად შეიძლება შეფასდეს, ესაა ყველაფრისგან ფულის გამოდნობის უნარი, ნებისმიერი სფეროს რენტაბელურ რეჟიმში გადაყვანა. მოგების ნახვა ძალიან კარგია, მაგრამ არა სოციალურად, მატერიალურად და სულიერად გაბანკროტებული ისეთი საზოგადოებისთვის, როგორშიც აღმოვჩნდით. **ხელისუფლება დღითიდღე მუდმივად უჭერდა მარწუხებს, ზრდიდა გადასახადებს სოციალურ-კომუნალურ სფეროზე თუ ყოველდღიური მოხმარების საქონელზე, ხოლო ხელფასებისა და პენსიების მიზერული მატება ვერაფერი შეღავათი იყო, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდა სოციალური უთანაბრობა, მაგრამ ჯანდაცვისა და განათლების სფეროს ამავე რანგში აყვანამ კიდევ უფრო თვალში საცემი გახადა ეს პრობლემა.** მოხდა განათლების სისტემის ისეთი რეორგანიზაცია (ფაქტობრივად, მოსპობა, აბა, რა შეიძლება ეწოდოს სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის დანერგვას, თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ მათთვის სწორი პოზიციების მინიჭების შემთხვევაში, ანუ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების ამოცანის, სკოლებიდან ქურდული მენტალიტეტის ჩანასახის, ე. წ. მეთვალყურეთა ამოძირკვისა და არა მისთვის პოლიტიკური პოლიციის ფუნქციის მინიჭების, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო სკოლებიდან განსხვავებული პოლიტიკური აზრის მქონე პედაგოგთა დათხოვნას, დირექციის ფუნქციების ანულირებას, მოსწავლეთა დაუსჯელობის სინდრომით აღჭურვას და მათ „მოენეებად" გადაქცევას; ანუ მოსწავლემ ისეთი თავისუფლება მიიღო, რომ მას საერთოდ არ აწუხებდა უმთავრესი, სწავლება და მისი ხარისხი, როდესაც ხელისუფლებამ და ჩვენ შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაუშვა არაერთი პრეცედენტი, მოსწავლის მიერ დაბეზღებული პრინციპული და პროფესიონალი მასწავლებლის საჯარო სკოლიდან დათხოვნის თაობაზე, რომელმაც მას, გათავხედებულ და უზრდელ მოსწავლეს, შესაძლოა, უხეში ფორმით, იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა, მოუწოდა წესრიგისკენ და დავალების შესრულებისკენ. რა რეფორმაზე და წარმატებებზეა საუბარი? პირიქით, მიმაჩნია, რომ ეგ იყო წინასწარგანზრახული, მომავალი თაობის გეგმაზომიერი, გონებრივი დაკნინებისკენ მიმართულ ღონისძიებათა კასკადი, რომელსაც საბოლოო ჯამში მორჩილი და მთავრობის ნება-სურვილის ბრმად შემსრულებელი, გონებრივად დაკნინებული მომავალი თაობის აღმზრდელი მასწავლებელი-სუროგატი მიელო და არა თავისუფალი აზროვნებისა და შემოქმედებითი აღმასვლის მებაირახტრე, პროგრესული, აქტიური და სამაგალითო პიროვნება), რომ განათლების მიღება გამოცხადდა ფუფუნების სფეროდ, ანუ პრივილეგირებულთა, ჩვენ შემთხვევაში ფულიანთა ხელმისაწვდომ ობიექტად, რაც უდიდესი შეცდომა იყო. ფაქტობრივად, მოისპო უფასო სწავლება, რადგანაც გრანტების რაოდენობა, ანუ უფასო სწავლების შესაძლებლობა 10 ათასი სტუდენტიდან ათასის ფარგლებში დაიყვანა (950), ანუ მინიმუმ 10-ჯერ შემცირდა, სამაგიეროდ, ანალოგიურად გაეზარდათ შემოსავალი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს და **სტუდენტი თუ მისი ოჯახი წელიწადში 2250-2900 ლარს იხდიდა** (სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო კერძოში კი რამდენიმეჯერ მეტს, რომელსაც ძირითადში პრეზიდენტ სააკაშვილის დედა გიული ალასანია და მათთან დაახლოებული, მაგალითად, ბენდუქიძისნაირი გაუმაძღარი პირები და ძირითადში მისნაირები აკონტროლებდნენ), ანუ **საბაკალავრო დიპლომის მისაღებად მინიმუმ 9000 ლარს ხარჯავდა თითოეული ოჯახი, ამ შემთხვევაშიც, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა, მოსახლეობისგან მაინც ხდებოდა ამ თანხის იძულებითი აკუმულირება, მაგრამ მას ქრთამი კი არ ერქვა, არამედ — სწავლის გადასახადი.**

როგორც ყოველთვის, ამ საქმეშიც ზომიერების უქონლობამ ბევრი გაუთვალისწინებელი რამ გამოიწვია, ისედაც ფინანსურად გალატაკებული და მასობრივი უმუშევრობისგან ქანცგაწყვეტილი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დონე დაეცა და კატასტროფულ ზღვარს მიუახლოვდა, ძალიან ბევრი სტუდენტი გადაუხდელობის გამო გაირიცხა უმაღლესი სასწავლებლებიდან, ანდა შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. **არაფერს ვამბობთ კერძო უმაღლეს სასწავლებლებზე, რომლებშიც სწავლების საფასურიც მაღალი იყო, ხოლო ჩაუბარებლობის გამო ხელმეორედ გამოცდებზე გასული სტუდენტი ასევე ჯარიმდებოდა საკმაოდ მაღალი თანხით** (თითოეულ საგანზე 300 დოლარამდე), **რისი გადახდაც ძალიან უჭირდათ, მაგრამ ამას აქაც არ ერქვა ქრთამი, როგორც ადრე, არამედ ერქვა საგამოცდო ჯარიმა. რა შეიცვალა? — არაფერი, გარდა ადრესატისა.** სამაგიეროდ, ერთი ათად გაიზარდა მისი (ქრთამის) ოფიციალური მოცულობა, რადგან **ჩვეულებრივი მოკვდავი თუ ადრე გაცილებით ნაკლებს იხდიდა ქრთამის სახით, ასევე იხდის დღესაც, მაგრამ გაცილებით მეტს. რა მნიშვნელობა აქვს, მას რას დაარქმევ?!**

**ქრთამი არ ჰქვია, მაგრამ სამაგიეროდ ისეთ მსუყე რაოდენობის ჯარიმებს გამოგიწერენ სულ უბრალო დარღვევებზე პატრულის წარმომადგენელი თუ ინსპექტორი, რომ ადრინდელ 100 მექრთამე მილიციელს (ახლა პოლიციელს) შეშურდებოდა, მაგრამ მას ხომ ქრთამი არ ჰქვია? ესაა ჯარიმის გადასახადი.** ასევე, **უბრალო მოსამართლე სარჩელის განხილვას არ დაიწყებს, თუკი მინიმუმ 50-ლარიან ქვითარს არ წარუდგენ, ღმერთმა დაგიფაროთ ქონებრივი დავა, აქაც სადავო თანხის 1.5 — 2% წინასწარ უნდა შეიტანოს მოსარჩელემ, მაგრამ მას ქრთამი ხომ არ ჰქვია? — გადასახადია.** თუ ფული ვერ შეიტანე, საერთოდ ცარიელს დაგტოვებენ, იმიტომ, რომ შესაგებებელი სარჩელი არ იქნა დროზე მიღებული, თანაც ოფიციალურად დაწესებული თანხის, ადრე ქრთამი რომ ერქვა, გადაუხდელობის გამო.

მახსენდება ერთ-ერთი შეხვედრის დროს ჩვენი პრეზიდენტი უცხოელი ლიდერების და განსაკუთრებით აშშ-ის პრეზიდენტ ბუში-უმცროსის წინაშე ბოდიშს იხდიდა, ჩვენთან გადასახადები დაბალია, მაგრამ მიზნობრივად ვხარჯავთო. შესაძლოა, ეს ასეც იყოს, გადასახადები დაბალი იყოს, მაგრამ, თუ გსურს იგი საერთაშორისო დონეზე აიყვანო, რისი აპელირებაც ძალზე მოდაში იყო სააკაშვილის რეჟიმის დროს (განსაკუთრებით ნავთობისა და ელექტროენერგიის ფასების დაწესება-ცვლილებისას), ის მაინც უნდა მოახერხო, რომ საარსებო მინიმალური მოხმარების კალათას დააწიო მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო დანიშნული პენსია. ეს პრობლემა დღესაც გადაუწყვეტელია. არაფერს ვამბობთ სხვა სფეროებში არსებულ სახელფასო შეუსაბამობებზე, რაც ასევე თვალშისაცემია.

უსასრულოდ შეიძლება ასეთი ფაქტების მოტანა, რომლებიც, შესაძლოა, ერთ დასკვნამდე დავიყვანოთ: **საქართველოს სინამდვილეში ხელთ შეგვრჩა დასავლური და აღმოსავლური სამყაროს მოჩვენებითი, პოპულისტური მოდელი, რომელიც დასავლური დემოკრატიის დამახინჯებულ და აღმოსავლური დესპოტიის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს.** თუ ეს არის ე. წ. ნეოლიბერალიზმის პრაქტიკული გამოვლინება, მაშინ გამოდის, რომ სახეშეცვლილი ფორმით, შეფარვით მივდივართ უკან — საბჭოთა სისტემისკენ, რადგან მსგავსება ძალზედ ბევრია, მაგალითად, ავტორიტარიზმი, ოღონდ მას სხვა სახელს (ნეოლიბერალიზმს) ვარქმევთ და მარტო იმიტომ, რომ ტერმინი „საბჭოთა სისტემა" ცუდად ჟღერს, ხოლო ნეოლიბერალიზმი — უკეთ. **ვერაფერი შეღავათია, რადგან ყოველივე ამაში შეფარვით იმალება სოციალიზმის დევოლუციური მოდელი, ანუ უბრალოდ მოხდა მისი (სოციალიზმის) იდეების დეცენტრალიზაცია და ლიბერტარიანული სოციალიზმის პრინციპებამდე დაყვანა, მისი ბევრად უფრო პოპულარობის გამო, იმის გამოკლებით, რომ წინა პლანზე გადმოიწია ინდივიდუალური მისწრაფებანი — ადრინდელი კოლექტიურის ნაცვლად, ანდა მოხდა მათი სინთეზი, ან თვითგანვითარება, თავის ნებაზე მიშვება, რაც არ გამორიცხავს ახალი სოციალური აფეთქების ალბათობას.**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ გამოვიდა სხვისი მოიმედეობისა და გლობალიზაციის მძაფრი შემოტევების დამანგრეველი ზემოქმედებისგან და საკუთარი უსუსურობის გამო იძულებულია, აიტანოს ბაჩო ახალაიას სასამართლოზე გამართლება, პრეზიდენტად შერაცხულ, 5 იანვარს ვადაგასული სააკაშვილის მიერ თითქმის პროფესიად გადაქცეული პარლამენტის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების ავადმყოფური ჟინი, ასევე მისგან თენგიზ გუნავას განაჩენის გაუქმება და ისევ გუბერნატორად დანიშვნა, ნებისმიერი ვიზიტის დროს საქართველოს ახალი მთავრობის დისკრედიტაციის მცდელობა პრესკონფერენციებისა თუ მეგობარი პოლიტიკოსების სტუმრობისას, „ნაციონალების" მიერ ჩადენილი ათასობით კრიმინალური ქმედებების დაუსჯელობა და კიდევ ვინ მოთვლის რა... არც ისე ძნელი გამოსაცნობია, რომ **ყველაფერ ამას მივყავართ საქართველოში ამერიკული პოლიტიკური კურსის დაისისკენ, რამეთუ ქართველ ადამიანზე უფრო ტოლერანტი ძნელად თუ მოიპოვება მსოფლიოში** (ამის დასტურად მარტო ძველი თბილისის ცენტრის ხილვაც კმარა, სადაც ორ კვადრატულ კილომეტრში მსოფლიოს თითქმის ყველა კონფესიის სალოცავებია ერთმანეთის გვერდით), **მაგრამ, ბოკერია-ჩერგოლეიშვილის სულით მახინჯი ტანდემის წყალობით, მიმდინარეობს საპირისპიროს მტკიცება და ჩირქის მოცხება, თუმცა ყველაფერს აქვს საზღვარი...**

**რომ იტყვიან, კმარა, ბატონებო, კმარა!**

**ლევან ოსიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოჯადოებულ წრეში დაუსრულებლად რომ არ ვიტრიალოთ, თუ მართლა გვინდა, სახელმწიფო ავაშენოთ, ისიც არა გარეშე ძალთა კარნახით, მაშინ ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებლობა ჩვენც უნდა გადავინაწილოთ, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ!**

# ქვეყანას ახალი, ნიჭიერი ხალხის გამოვლენის შესაძლებლობა და ასპარეზი უნდა მივცეთ!

**27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა უაღრესად საჭირო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა. „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტად აირჩია კაცი მხარდამჭერების მნიშვნელოვნად შემცირებული რაოდენობით, რომელიც მან ერთ წელიწადში დაკარგა — ამომრჩეველთა 54 პროცენტი არ მივიდა არჩევნებზე. ეს ის ხალხია, რომელსაც დღევანდელი პოლიტიკური სპექტრიდან ასარჩევი არავინ ჰყავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხის უდიდეს ნაწილს ცვლილებები უნდა.**



**2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მთავარი არა ბატონი მარგველაშვილის გამარჯვება იყო, არამედ ის, რომ «ნაციონალური მოძრაობის» პოლიტიკური რეაბილიტაცია მოხდა**

## რას ვაკეთებთ?

თუ ვთანხმდებით, რომ დღეს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის ყველა ნიშანი სახეზეა, მაშინ საქართველოს ამ სისტემურ კრიზისში ეროვნული პარტიულ-პოლიტიკური აღმშენებლობა აუცილებლად სჭირდება! ამისათვის კი, როგორც ხელისუფლებისგან, ისე საზოგადოებისგან უნდა მოვითხოვოთ ქვეყნისთვის საჭირო და აუცილებელი რეფორმების გატარება, რომლებიც საფუძვლიანად შეცვლის ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას.

**2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მთავარი არა ბატონი მარგველაშვილის გამარჯვება იყო, არამედ ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური რეაბილიტაცია მოხდა.**

მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალები“ საპრეზიდენტო არჩევნებში მთავარ ოპოზიციურ ძალად გაფორმდნენ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ პარლამენტის ლეგიტიმაცია მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, ვინაიდან ეს პარლამენტი არ გამოხატავს ხალხის ნებას. თანაც საქართველო საპარლამენტო მმართველობის სახელმწიფო გახდა, ამას კი სჭირდება მრავალპარტიული მოაზროვნე პარლამენტი და არა ისეთი, როგორიც დღეს არის. დღის წესრიგში აუცილებლად გაჩნდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც მრავალ გარემოებაზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ არც საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა იქნება „ხსნა“. **თუ სახელმწიფო მართვაში აქტიურად არ ჩაებმებიან ინტელექტუალები, პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად არ გადაინაწილებენ ფუნქციებს და, შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც, საეჭვოა, რომ ქვეყნისთვის მყარი შედეგი მალე დადგეს.**

დღევანდელ დღეს, როცა გლობალურ მასშტაბებს იძენს პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობებში, ცხადია, ყველა, ვინც ფეხს შეაბიჯებს პოლიტიკაში, უნდა დაემორჩილოს მსოფლიო თანამედროვე პოლიტიკის სტანდარტებს, რასაც ჰქვია პოლიტიკური წესრიგი. ამ წესრიგის თავში კი ძლიერნი ამა ქვეყნისანი არიან. ამდენად, ერთ პიროვნებაზეა დამოკიდებული, როგორც არაფერი, ისე ყველაფერი, მითუმეტეს — თუ ის ლიდერია.

ჩვენ არაერთი გულანთებული პოლიტიკოსი ვნახეთ, რომელთაც გულწრფელად სურდათ ეროვნული საქმეების კეთება, მაგრამ ხელისუფლებაში მოსულებს ამ მხრივ ბევრი ვერაფერი მოუხერხებიათ. ასეთ დროს კი, როცა არ გაძლევენ იმის საშუალებას, რომ გააკეთო ის, რაც შენს ერს სჭირდება, პოლიტიკას კი არ უნდა გავემიჯნოთ, მიზნისკენ მიმავალი გზები უნდა შევცვალოთ. თუნდაც ამიტომ უნდა გავზარდოთ ამომრჩევლის პასუხისმგებლობა.

**აუცილებელია, მოვითხოვოთ წინასაარჩევნოდ შეპირებული კანონის „საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე პარლამენტიდან გაწვევის შესახებ“ მიღება. ვინაიდან ხელისუფლებაში მოსულ ყოველ ახალ ძალას თავსმოხვეული ისტორიული ფონი ხვდება. ქვეყნისთვის ტრაგიკული გადაწყვეტილებების მიზეზების დაუსრულებელი ძიება კი ცალკეული პიროვნებების შეცდომებთან გვაკავშირებს. და ეს ხდება დაუსრულებლად, რადგან თამაშის წესები უცვლელი რჩება.** ამიტომ **მოჯადოებულ წრეში დაუსრულებლად რომ არ ვიტრიალოთ, თუ მართლა გვინდა, სახელმწიფო ავაშენოთ, ისიც არა გარეშე ძალთა კარნახით, მაშინ ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებლობა ჩვენც უნდა გადავინაწილოთ, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ!**

სავსებით ვიზიარებ არაერთგზის გამოთქმულ აზრს, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნამდე საზოგადოების მხრიდან მოთხოვნა უნდა გამკაცრდეს: რომ ცესკო და საარჩევნო კომისიები ობიექტური კონკურსის საფუძველზე დაკომპლექტდეს, ისიც არა პარტიული, არამედ პროფესიული ნიშნით! უნდა დაზუსტდეს ამომრჩეველთა სიები ისე, რომ საზოგადოებასთან ერთად არჩევნებში მონაწილე პარტიები მას ნდობას უცხადებდნენ.

**საპარლამენტო არჩევნებისთვის აუცილებელია, გაუქმდეს როგორც მაჟორიტარული, ასევე რანგირებული პარტიული სიები, როცა ამომრჩეველი სიის პირველ ნომერს ირჩევს და მას მთელი „არმია“ მიჰყვება საზოგადოებისთვის „კარგად ნაცნობი“ თუ „უცნობი“ სახეებით.**

**პარტიულ-პოლიტიკური რეფორმის გასატარებლად აუცილებელია, გადავიდეთ პროპორციული არჩევნების გერმანულ სისტემაზე, რომელშიც პარტიული სია რანგირებული კი არ არის, არამედ თავად ამომრჩეველი ირჩევს ამ სიიდან სასურველ კანდიდატებს. მანდატები პარტიებს შორის მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება, მაგრამ სიებიდან გადის ის ხალხი, რომელიც არა პარტიამ ამოირჩია და სიის თავში დააყენა, არამედ ამომრჩეველმა!**

ასევე გასაზიარებელია აზრი, რომ საქართველო უნდა დაიყოს მრავალმანდატიან (მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად 10-დან — 20 მანდატამდე) 10-12 საარჩევნო ოლქად. დაახლოებით ისე, როგორც 1992 წლის არჩევნებისას. პარლამენტართა რაოდენობა უნდა შემცირდეს 100 კაცამდე. ის რაოდენობა, რაც დღეს არის, დიდი ფუფუნებაა ჩვენისთანა ღატაკი ქვეყნისთვის. ბარიერი ან 3 პროცენტამდე უნდა შემცირდეს, ან სულ უნდა გაუქმდეს. ეს იმიტომ, რომ საწყის ეტაპზე მცირე პარტიებსაც მიეცეთ შანსი საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის.

**აუცილებლად უნდა შეიცვალოს პარტიების სახელმწიფო დაფინანსების მავნე სისტემაც! პარტიული განვითარება საგრანტო კონკურსებით უნდა დაფინანსდეს! გრანტის გამღებნი კი, ცხადია, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ.** გრანტებით დაფინანსების პირობებში აუცილებელია, წახალისდეს პარტიების დეცენტრალიზებული, ქსელური მოწყობა და შიდა პარტიული დემოკრატია. უნდა წახალისდეს პარტიული პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური კვლევები, მათი საგამომცემლო საქმიანობა, ტექნოლოგიური განვითარება და ა. შ. და, **რაც მთავარია, პარლამენტარებს უნდა ჩამოერთვას ყველა პრივილეგია: მანქანებით მომსახურება, მთელი ცხოვრება განსაკუთრებული პენსიები, იმუნიტეტი...**

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ის მანკიერი პრაქტიკა, როდესაც პოლიტიკაში მოდიხარ დიდი ფულის საშოვნელად. ამიტომ არის, რომ ასეთებს თბილი სავარძლებიდან წასვლა ყოველთვის უჭირთ ხოლმე. **პარტიული ცხოვრებისთვის, საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად უნდა იღვაწონ მხოლოდ მათ, ვისაც ამის მოწოდება აქვთ, ვინც იმუშავებს პრივილეგიების გარეშე.** ისინი კი, ვინც აქამდე პოლიტიკაში მიდიოდა საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად, კეთილს ინებებს და წასვლის სურვილს დაკარგავს. ამისთვის სხვა პროფესიის არჩევა მოუწევს.

პარლამენტარების პრივილეგიებთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა, თუ გავეცნობით სხვათა გამოცდილებას, კერძოდ, შვედების, რომელთაც, მაგალითად, კანონიც კი აქვთ, რომელშიც წერია, რომ **პარლამენტის წევრის ხელფასი ქვეყანაში საშუალო ხელფასს არ უნდა აღემატებოდეს! მანქანებით მომსახურებასა და იმუნიტეტზე ხომ საუბარიც არ არის!** არ გვაწყენდა ამ შვედური „სოციალიზმიდან“ ჩვენც რაღაც გვესწავლა!

ბატონებო, გადახედეთ სახელფასო პოლიტიკას! არ შეიძლება მაჟორიტარი დეპუტატის ხელფასი შვიდჯერ ან რვაჯერ აღემატებოდეს მასწავლებლის ხელფასს და ორმოცდაოთხჯერ — პენსიონერის პენსიას. არა მგონია, საკანონმდებლო ორგანოს ნებისმიერი წევრის საქმიანობა 8-ჯერ უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე პედაგოგის მოღვაწეობა, რომელსაც შეუძლია ქვეყანას 300 არაგველიც აღუზარდოს და 300 გარეწარიც.

საქართველოსთვის, ისე, როგორც მრავალი ქვეყნისთვის, უმთავრესი პრობლემა კადრებია. ხშირად გვესმის, ქვეყანაში საკადრო რესურსი არ არისო. **მხოლოდ ქარიზმაზე ორიენტირებული ლიდერი საკადრო პოლიტიკას ვერ წარმართავს, რადგან ერთგულების ნიშნით კადრების შერჩევა დამანგრეველია და არაფრისმომცემი ქვეყნისთვის. ეს კი მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნების საშუალებად თუ გამოდგება, ისიც დროებით.** კადრების შერჩევა ყველა სფეროში უნდა მოხდეს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში.

ჩინოვნიკებისთვის მარტო ხელფასების გაზრდა ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. რამდენიც გინდა, გადაუხადე ხელფასი, თუ ადამიანს მოწოდება არ აქვს, ის მხოლოდ „დროებით ერთგულებისთვის“ თუ გამოდგება, წესიერად საქვეყნო საქმეზე მაინც არ იმუშავებს.

კიდევ ერთი: **ღირსეულ პარლამენტარს არ უნდა რცხვენოდეს ხმის მიცემისას თავისი პოზიციის ღიად და საჯაროდ გამოცხადება. აგერ, ტრადიციულ ევროპულ პარლამენტებში** (პირველ რიგში, პარლამენტარიზმის სამშობლოში — დიდ ბრიტანეთში, თუნდაც ნიდერლანდებში და სხვაგანაც) **კენჭისყრა მხოლოდ სახელობითი ტარდება!** მაგალითად: დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის სპიკერი დღესაც მატყლის ტომარაზე ზის და ხმის მიცემისას სათითაოდ იძახებს დეპუტატებს. ხმის მიცემისას დეპუტატი ფეხზე უნდა წამოდგეს და ხმამაღლა თქვას: „ვეთანხმები“ ან „არ ვეთანხმები“ (თავის შეკავება გამორიცხულია!). ის ყოველ თავის გადაწყვეტილებაზე საკუთარი თავით აგებს ხალხის წინაშე პასუხს და როგორ იკადრებს, ან ვინმე როგორ დაუშვებს, დეპუტატმა თავისი გადაწყვეტილება ხალხს დაუმალოს?!

ესეც უნდა ვისწავლოთ და **პარლამენტში ფარული კენჭისყრა უნდა ავკრძალოთ! ყველა კენჭისყრა, მათ შორის თუნდაც პერსონალურ საკითხებზე, მხოლოდ სახელობითი უნდა იყოს! არავითარი ტაბლო და პულტები!** დეპუტატმა ხმა უნდა მისცეს არა პულტით, არამედ უშუალოდ, ხმამაღალი განცხადებით: უნდა წამოდგეს, თუ პარლამენტარის ღირსება აქვს, და სახალხოდ თქვას, რას ეთანხმება და რას — არა!

ასე რომ, **თუ მართლა გვინდა, სახელმწიფო ავაშენოთ, პირველ რიგში, ე. წ. პრივილეგირებულთა კასტაზე უნდა ვთქვათ უარი. ქვეყანაში ყველას თანაბრად უნდა მოეთხოვებოდეს კანონის წინაშე პასუხისმგებლობა და არა ისე, როგორც დღეს არის, როცა სახელმწიფოზე შეზრდილია ერთობ ძვირად შესანახი, არაეფექტური ბიუროკრატია.** ასეთ შემთხვევაში, ცხადია, რომ „პრივილეგირებულთა კასტა“ იზრუნებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ისინი, ვისაც ასეთი მოთხოვნები ექნებათ, ქვეყნის მართვის სადავეებ- ▶

**პარლამენტში ფარული კენჭისყრა უნდა ავკრძალოთ! ყველა კენჭისყრა, მათ შორის თუნდაც პერსონალურ საკითხებზე, მხოლოდ სახელობითი უნდა იყოს! არავითარი ტაბლო და პულტები!**

**რადგან მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უწინდელ დანიშნულებას, ერთა თვითმყოფადობის უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურული არეალიღა რჩება. კულტურა მხოლოდ მწერლობაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში არ ვლინდება, არამედ — მთელი საზოგადოების ცნობიერებასა და ყოფა-ცხოვრებაში.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თან არ მიუშვან. რეალურად ეს ასეც არის. ამისთვის კი საჭიროა, საზოგადოების აქტიური მოთხოვნით, საინფორმაციო საშუალებებმა გახსნან დახურული სივრცე, სადაც დრო და ადგილი ერთი და იმავე სახეებისთვის არის დათმობილი, მიუხედავად იმისა, დარჩათ თუ არა მათ რაიმე სათქმელი.

**ქვეყანას ახალი, ნიჭიერი ხალხის გამოვლენის შესაძლებლობა და ასპარეზი უნდა მივცეთ!**

## რას ვირჩევთ?

**დღეს, როცა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმა — სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები და ხელშეუხებლობა, ადამიანის უფლებათა ტოტალური დაცვის ეპოქაში, ფაქტობრივად, ფიქციად იქცა, როდესაც დაუფარავად ლაპარაკობენ მსოფლიო პოლიტიკური რუკის გადასინჯვაზე, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ დამოუკიდებლობა და თავისუფლება მსხვერპლად არ შეეწიროს ამა ქვეყნის ძლიერთა ახირებას?** გამოსავალი ერთია: **მსოფლიო თანამეგობრობასთან ერთად ან ძალა უნდა გავხადოთ სამართლიანი, ან სამართალი — ძლიერი. ამას კი ერთ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ჩვენ ურთიერთობებს დასავლეთთან და მსოფლიო თანამეგობრობასთან კიდევ უფრო გავაღრმავებთ, მაგრამ არა უმცროსი ძმის პოზიციებიდან.**

ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველებს, დასავლეთის მიმართ მადლიერებასთან ერთად მოკრძალებული საყვედურიც გვეთქმის, თუნდაც წლების განმავლობაში ჩვენი დემოკრატიის შეფასებაში იმ ორმაგი სტანდარტების გამო, რომლის გამართლება თვით ყველაზე თავგადაკლულ „მედასავლეთელსაც" რომ უძნელდება. ამასთან დაკავშირებით მახსენდება: ერთმა ქიზიყელმა გლეხმა თავის სათაყვანებელ „პატარა კახს" — ერეკლეს რომ შეჰბედა: „მეფეო, შენ რომ ორს იტყვი, ერთი ჩემიც უნდა გაიგონოო!"

დემოკრატიული სამყაროს გვერდით ყოფნა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნული ინტერესები ყოველთვის იდენტური იყოს ევროკავშირის, ამერიკის ან სხვა სახელმწიფოთა მოსაზრებებთან. **თუ გვსურს, საქართველო „თავისუფალ სამყაროში" ღირსეულ წევრად ვიხილოთ, მაშინ როგორც პიროვნული, ისე ეროვნული თავისუფლების ხარისხზეც უნდა ვიფიქროთ. სხვა შემთხვევაში ეს საშინელი მოჩვენებითი, ნახევრის ნახევრული სიკვდილი, დიდი ხანია, ჩვენი ხვედრი რომ გამხდარა, ჩვენი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად დარჩება.**

**როდესაც თბილისში ჩამოსული ნატოს გენერალური მდივანი ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის შვილებს ლგბტ-ს პრობლემაზე, როგორც მთავარ თემაზე, გვესაუბრება, ასეთ დროს ძნელია, იამაყო შენი ქვეყნით.**

ხშირად ის, რის უფლებასაც აძლევენ თავს თავისი გამონათქვამებით უცხოელი პოლიტიკოსები, ამას თუნდაც განვითარებად, მაგრამ XXI საუკუნეში სუვერენულ ქვეყანას, ვერ უნდა უბედავდნენ. თვით ქვეყნის დაქუცმაცებულობის დროსაც კი მასში შემავალ სუბიექტებს, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროებს უფრო მეტი სუვერენიტეტი ჰქონდათ, ვიდრე ეს დღეს საქართველოს გააჩნია.

რაც შეეხება ტრადიციული ღირებულებებისა და ფასეულობების შეცვლის მოთხოვნას, ეს, როგორც უკვე ითქვა, ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულია ენასთან, ტრადიციასთან, ეთნიკურ წარმომავლობასა და რელიგიასთან. **რამდენი რეზოლუცია ან რეკომენდაციაც უნდა მიიღონ ევროსტრუქტურებმა, მორწმუნეს ვერ დაავალდებულებ, „პატივი სცეს" იმას, რასაც მისი მრწამსით ცოდვა ეწოდება.** თუ ცოდვას პატივსაცემ მოვლენად ჩავთვლით, იგი ცოდვა აღარ იქნება. როცა ცოდვაზე ვლაპარაკობთ, სულაც არ ვგულისხმობთ, რომ თავად უცოდველნი ვართ, მაგრამ სახელის დარქმევა ცოდვისთვის (და არა ცოდვილთან ანგარიშსწორება!) ჩვენი რწმენის საფუძველია.

ათი მცნება ყველა ქრისტიანისთვის ერთნაირად ჟღერს, მაგრამ რელიგიური პრაქტიკა სხვადასხვა გვაქვს. ცოდვის ცნების გამორიცხვა თვალსაჩინოა თანამედროვე მსოფლიოში. იგი სულ უფრო მისაღები ხდება. მეტიც — ცოდვასა და ე.წ. ნორმას შორის საზღვარი იშლება.

აი, რის მიბაძვისკენ მოგვიწოდებენ ჩვენი მეგობრები!

ჩვენ, ყველანი, ცოდვილები ვართ. განსხვავება მხოლოდ ისაა, ვაღიარებთ თუ არა ჩვენი ადამიანური ბუნების ყველაზე ბნელ და ბინძურ გამოვლინებებს „ნორმად" თუ ცოდვად ჩავთვლით? ეს ყველაფერი კი ძალზე სახიფათო ხდება, რადგან დღეს დემოკრატიის დამყარებისა და ხალხის დაცვის საბაბი ისე გაშარჟდა და გამარგინალდა, როგორც ერთ დროს დიადი საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწაზე სოციალისტურ-კომუნისტური სამოთხის დამყარების უტოპიური იდეები. ამაზე კი ჩვენს მდგომარეობაში მყოფი თითოეული ჩვენგანი, რომელმაც დემოკრატიის სახელით ამდენი მსხვერპლი გავიღეთ, მხოლოდ გულდაწყვეტით თუ ილაპარაკებს.

ახლა ისიც ვიკითხოთ, როგორია ჩვენი ურთიერთობა დასავლეთთან. მასთან დამოკიდებულებაში საქართველოს უკვე აქვს თავისი არჩევანი გაკეთებული. ეს არის ევროპულ ოჯახში დაბრუნება. **მიიღოს დასავლური ფასეულობები, რათა ევროპისგან მოითხოვოს პოლიტიკური თავშესაფარი, შესაძლოა, ეს ერთი შეხედვით ჩანდეს, როგორც პოლიტიკის ნაწილი, მაგრამ ჩვენი საერთო იდენტურობის შეგნებაში არსებითია არა სურვილები, არამედ ის, რომ ქართულსა და დასავლურ ცივილიზაციას მართლაც ბევრი რამ აქვს საერთო.** ორივე ანტიკური კულტურისა და ბიბლიის ფესვებზეა აღმოცენებული. **საქართველო, არამარტო ქრისტიანული რწმენით, თავისი კულტურით, ევროპის თანამეგობრობის მსგავსად, ისტორიული ფაქტებით ემყარება ევროპული კულტურისა და დასავლური ცივილიზაციის საერთო საფუძვლებს. ამდენად, ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ევროსტრუქტურებისკენ, ეს არის მცდელობა, საქართველო დაბრუნდეს თავის ბუნებრივ გარემოში.** ამიტომ საუბარი ჩვენს საზოგადოებაში და პოლიტელიტაში იმაზე კი არ უნდა მიდიოდეს, თუ როგორ „გადმოვნერგოთ" ევროპული ფასეულობები ჩვენს ნიადაგზე, არამედ ერთად უნდა ვიზრუნოთ, ეს ფასეულობები, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ კულტურაში როგორ ვეძიოთ.

## როდესაც ევროპის ქვეყნები საკუთარი ნებით თუ სხვისი კარნახით, მათი ტრადიციებისთვის უცხო კანონებს იღებენ, ამით ევროპელები თავად შორდებიან ევროპულ ფასეულობებს

მაგრამ ერთია, რას ვფიქრობთ ან რა გვსურს დასავლეთისგან და მეორეა, რამდენად თანხვედრია ჩვენი ამჟამინდელი შეხედულებები თანადროულ დასავლურ ფასეულობებთან. ამ მხრივ კი შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით გარკვეულწილად დროში ვართ აცდენილნი. **როდესაც ევროპის ქვეყნები საკუთარი ნებით თუ სხვისი კარნახით, მათი ტრადიციებისთვის უცხო კანონებს იღებენ, ამით ევროპელები თავად შორდებიან ევროპულ ფასეულობებს.**

რადგან ფასეულობებს ვეხებით, მისი დეფინიციაც გავიხსენოთ: კულტუროლოგიის დარგს, რომელიც კულტურის სფეროში ფასეულობას სწავლობს, აქსიოლოგია ეწოდება. აქსიოლოგიაში ფასეულობანი აპრიორულია იმიტომ, რომ ფასეულობისთვის პრიორიტეტის მინიჭების კრიტერიუმი მყარია. ეს კრიტერიუმებია: ფასეულობათა დროში შემოწმებული მარადიულობა. მათი გაუფასურების მიზნით დეკონდირებამ არ შეიძლება ნორმალური ფსიქიკისა და მენტალობის მქონე ადამიანში გამოიწვიოს კმაყოფილების გრძნობა. ამიტომ არის, რომ **ყველა დროსა და ყველა ერში ეროვნულ კულტურას განსაკუთრებული მისია აკისრია. იგი აქცევს ხალხს ერად, ერს კი მხოლოდ დამოუკიდებელსა და თავისუფალს შეუძლია გამოავლინოს მთელი თავისი სულიერი მშვენიერება, რაც არამარტო მისთვის, მთელი კაცობრიობისთვის არის საჭირო და აუცილებელიც! კულტურის ტრადიციული, ისტორიული ხასიათის ხელოვნური შეცვლის ცდა, როგორ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, მთელ ხალხს, მთელ ქვეყანას ეპიგონობისკენ უბიძგებს. ეპიგონური კულტურა კი ეროვნული ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ვერ შეასრულებს განგებისგან** დაკისრებულ მოვალეობას — ხალხი გარდაქმნას ერად!

**აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ, რადგან მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უწინდელ დანიშნულებას, ერთა თვითმყოფადობის უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურული არეალიღა რჩება. კულტურა მხოლოდ მწერლობაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში არ ვლინდება, არამედ — მთელი საზოგადოების ცნობიერებასა და ყოფა-ცხოვრებაში.** ამიტომ არის, რომ დღევანდელ დღეს, საკმაოდ რთულ და ბოლომდე გაურკვეველ საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც სამართალი არ არის ძლიერი, ხოლო ძალა — სამართლიანი, ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერებისთვის ტრადიციულ ღირებულებებზე უარის თქმა და „მკვდარი მიმბაძველობა" ხელოვნურად შექმნილი „მითიური სამყაროს" მიმართ გაცილებით სახიფათოა, რადგან ეროვნული კულტურის გაქრობის საფრთხეს რეალურად აჩენს.

დიახ, ჩვენ კვლავაც მოსალოდნელი ცვლილებებით აღსავსე მომავლის წინაშე ვდგავართ. ამიტომაც არის, რომ უკვე არავის უკვირს, როცა წმინდა აკადემიური კულტუროლოგიური თემები პოლიტიკური დისკუსიის საგანი ხდება ხოლმე. როგორც არაერთგზის აღნიშნულა თვით მეცნიერთა შორისაც, **დღეს კულტურა,** მისი **„დაუფლების" პრეტენზიით თუ „შენარჩუნების" წადილით, ომია და ჩვენ ვიცით, რომ ბრძოლას თავს ვერავინ აარიდებს.**

წავიდა ის დრო, როდესაც წლების განმავლობაში საქართველოში „ჯვაროსნული ლაშქრობა" მენტალური რევოლუციის დამკვიდრებისთვის თავგამოდებით რომ ხდებოდა. ხოლო იმის განსაზღვრისთვის, თუ რა მოგვცა შედეგად, შედარებისთვის, ვფიქრობ, ასეთი მაგალითიც გამოდგება:

მოგეხსენებათ, ნორმები ისეთი მყარი არ არის, როგორც ღირებულებები, მაგრამ მათი ზემოქმედების ძალა საზოგადოებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამაში კი ადვილად დავრწმუნდებით, მითუმეტეს, თუ მის შეცვლას მოვინდომებთ. **სოციოლოგმა არნოლდ გარფინკელმა ამის ჩვენება ერთი ექსპერიმენტის ჩატარებით გადაწყვიტა. მან სტუდენტებს სთხოვა, მშობლებისთვის ფამილარული მიმართვის მაგივრად ოფიციალურად მიემართათ. მისტერ, მის და ა. შ. და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიმართვა სიყვარულისა და პატივისცემის ხარისხს სრულებითაც არ აკნინებს, მშობლებისთვის ის სრულიად უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა. უფრო მეტიც აღშფოთებაც კი გამოიწვია.**

ჩვენ კი, ჩვენ შემთხვევაში, ნორმაზე კი არ ვსაუბრობთ, არამედ ღირებულებებზე. მის განმარტებას კი, ტენდენციურობაში რომ არ ჩამომერთვას, **ქრეგ კალჰუნს, დონალდ ლაითს, სუზენ კელერს** მივანდობ. აი, რას წერენ ისინი: **„ღირებულებები ის მტკიცე და ურყევი კრიტერიუმებია, რომლებიც კარგისა და ცუდის, სასურველისა და არასასურველის, კეთილისა და ბოროტის გარჩევაში გვეხმარება. ღირებულებები ის მუდმივი, ხშირად გაუცნობიერებელი და გამოუხატავი სტანდარტებია, საიდანაც გარკვეული ქმედებები, მიზნები, მოვლენები აღმოცენდებიან ხოლმე. ისინი ჩნდებიან გარკვეულ სიტუაციაში და რჩებიან მთელი ცხოვრების მანძილზე. ღირებულებები ადამიანების მუდმივი თანამგზავრი ხდება".**

**ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერებისთვის „მენტალური რევოლუციით" თავსმოხვეულ ტრადიციულ ღირებულებებზე უარის თქმა და „მკვდარი მიმბაძველობა" ხელოვნურად შექმნილი „მითიური სამყაროს" მიმართ საგანგაშო გახდა, რადგან ეროვნული კულტურის გაქრობა საფრთხის წინაშე რეალურად დააყენა.**

## რამდენი რეზოლუცია ან რეკომენდაციაც უნდა მიიღონ ევროსტრუქტურებმა, მორწმუნეს ვერ დაავალდებულებ, «პატივი სცეს» იმას, რასაც მისი მრწამსით ცოდვა ეწოდება

საზოგადოება, რომელიც თავისავე წარსულს ზურგს აქცევს, კულტურულ და ისტორიულ ამნეზიაში ვარდება და იდენტიფიკაციის უნარს კარგავს, რამეთუ როგორც კოლექტივის, ასევე ცალკეული ინდივიდის იდენტობა მეხსიერებასთან არის დაკავშირებული. დიახ, ჩვენ კვლავაც დამოკიდებულნი ვრჩებით ისტორიაზე. **მხოლოდ წარსულში დაბრუნებით არის შესაძლებელი უკეთ გავიგოთ საკუთარი თავი. ხოლო ის კულტურები და საზოგადოებები, რომლებიც საკუთარ წარსულს ზურგს აქცევენ, კავშირს წყვეტენ ღირებულებებთან. ფასეულობები ხომ წარსულის საჩუქარია.**

თავის „ისტორიის ფილოსოფიაში" ჰეგელმა გამაოგნებელი ისტორიული კანონზომიერება აღმოაჩინა, მისი აზრით: **„ცივილიზაციების ნგრევას და გადაშენებას მათივე ძირითადი პრინციპების ავადმყოფური ინტენსიფიკაცია იწვევს".** ეს თვალსაზრისი შემდგომ სხვა მკვლევარებმაც გაიზიარეს.

ცნობილია, რომ ყოველ ცივილიზაციას წინ უსწრებდა სხვა ცივილიზაციები. ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა არნოლდ ტოინბმა 21 შემთხვევა გამოიკვლია, როდესაც ასპარეზზე მოსული ახალი ცივილიზაცია გაცილებით ნაკლებად განვითარებული იყო, ვიდრე წინამორბედი და თავისი კულტურითა და განვითარების დონით კოჭებამდეც კი ვერ სწვდებოდნენ მათ, ვის ადგილსაც იკავებდნენ. ა. ტოინბმა დაასკვნა, რომ თითოეული **ცივილიზაციის შიგნით თავს იჩენდნენ და თანდათან ძლიერდებოდნენ თვითგანადგურებისკენ მიმართული იდუმალი ძალები. და ეს საკმარისი იყო, რომ მისი დაცვა შეუძლებელი გამხდარიყო.**

**გავიხსენოთ გამოჩენილი ფილოლოგი, იურისტი, ნუმიზმატი, ეპიგრაფისტი, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე და, პირველ რიგში, უდიდესი ისტორიკოსი — თეოდორ მომზენი, რომელსაც გამოკვლეული აქვს რომის ისტორიის თითქმის ყველა საკითხი. გენიალურ გერმანელ მეცნიერს მხატვრული ნაწარმოები რომ არასოდეს დაუწერია, ნობელის კომიტეტმა 1902 წელს პრემია მხატვრული ღირსებებისთვის მიანიჭა მის მონუმენტურ ნაშრომს „რომის ისტორიას". მომზენის ამ ფუნდამენტური გამოკვლევის დასკვნა დღეს, როგორც გაფრთხილება, ისე ჟღერს: „რომი გარყვნილებამ დააქცია!"**

ამ მხრივ რომი არ იყო არც პირველი და უკანასკნელი, ყველა ცივილიზაცია, რომელმაც ზურგი შეაქცია საკუთარ წარსულს და გარყვნილების ჭაობში ჩაეფლო, უბრალოდ, გაქრა. როგორც ჩანს, საქმე ისტორიულ კანონზომიერებასთან გვაქვს. ამიტომ — **რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ნებით თუ უნებლიეთ, თავადვე არ ვიქცეთ ჩვენივე ცივილიზაციის მესაფლავეებად, რათა ქართული კულტურის, ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნება არა ცალკეულ ადამიანთა, არამედ ქართველი ერის უმეტეს შვილთა უმთავრეს საზრუნავად იქცეს?**

მაგრამ, სანამ ამ კითხვებს პასუხს გავცემდეთ, როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან, უწინარესად, მკაფიოდ და გარკვევით უნდა ითქვას სათქმელი: **ვემიჯნებით იმ იდეოლოგიას თუ მსოფლმხედველობას, რომელიც წლების განმავლობაში იყო დღემდე, თუ ინერციით მას კვლავაც ვაგრძელებთ?**

ვფიქრობ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული დამნაშავეების დასჯა.

**გიორგი მჭედლიშვილი,**
**ისტორიკოს-კულტუროლოგი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღევანდელ სასამართლოებს, მათ შორის, საკონსტიტუციოსა და ზოგჯერ უზენაესსაც, წილად ხვდა „ბედნიერება“, ე. წ. ნაცშპანის თითქმის ათწლიანი ბატონობისას ყოფილიყო არა მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არამედ საქართველოს პროკურატურის ნების ბრმა შემსრულებელი, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის დიდი უბედურება, რომელიც ამის გამო საქართველოს და მის მოსახლეობას დაატყდა თავს.**

# სააკაშვილის ჯიბის მოსამართლეთა უვადოდ, ანუ სამუდამოდ არჩევა უნდა გამოირიცხოს

# მოსამართლეს ხალხი უნდა ირჩევდეს!

**საქართველოს მტრების მიერ დემოკრატიის ციტადელად მონათლული მიხეილ სააკაშვილისა და მისი ნაცშპანის მტკიცებით, საქართველოში უცილობლად უნდა არსებობდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, მაშინ, როდესაც რეალურად სასამართლო ხელისუფლება ვიღაცების მიერ, ფაქტობრივად, მთლიანად კასტრირებულია, თუმცა კონსტიტუციაში შენარჩუნებულია ცალკე თავი სასამართლო ხელისუფლების შესახებ.**





თუ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ეს თავი თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით დაუყოვნებლივ არ იქნება მოყვანილი სრულ შესაბამისობაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ თავებთან, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საქართველო დღეს არის არა დემოკრატიული, არამედ ფაშისტური ელფერის ავტოკრატიული ქვეყანა, აქედან გამომდინარე, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგებით.

ამგვარად, საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში არის თავები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობისა და სასამართლოსთვის **ხალხის მიერ მინიჭებულ სახელმწიფო ხელისუფლებას.** ისინი წესით, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების შემადგენელი ნაწილები, არამარტო ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლები, არამედ რეალური და არა ვირტუალური სახელმწიფო ხელისუფლების მატარებლები უნდა იყვნენ. ამასთან ერთად, ისინი არამარტო უნდა ავსებდნენ ერთმანეთს, არამედ უნდა გააჩნდეთ იმის რეალური ძალა, რომ თავიანთი მოღვაწეობით განახორციელონ ეფექტური ურთიერთკონტროლი და საბოლოო ჯამში, უზრუნველყონ ქვეყნის ეფექტური მართვა, რომელიც, პირველ რიგში, სამართლიანობისა და დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების სრულად რეალიზაციას უნდა უზრუნველყოფდეს.

სინამდვილეში **დღევანდელ სასამართლოებს, მათ შორის, საკონსტიტუციოსა და ზოგჯერ უზენაესსაც, წილად ხვდა „ბედნიერება“, ე. წ. ნაცშპანის თითქმის ათწლიანი ბატონობისას ყოფილიყო არა მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არამედ საქართველოს პროკურატურის ნების ბრმა შემსრულებელი, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის დიდი უბედურება, რომელიც ამის გამო საქართველოს და მის მოსახლეობას დაატყდა თავს.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კარგად არის ცნობილი საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, რომელსაც მართლმსაჯულებასთან აქვს რაიმე შეხება, მაგრამ საკუთარი კომფორტული ცხოვრებისთვის საჯაროდ ამტკიცებს, რომ თითქოს ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების არაკეთილსინდისიერი თანამდებობის პირების ნამუსზეა და დეპუტატების უდიდეს ნაწილს არ სურს, აღიაროს დღევანდელი პარლამენტის დიდი, გადამწყვეტი როლი ამ უმსგავსობაში. **კონსტიტუცია, რომლის ბედი დღეს მათ ხელშია, ფართოდ უღებს კარს იმ უმსგავსობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ გუშინ, არამედ დღესაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. უკეთეს შემთხვევაში, ისინი მთელ ბრალსა და პასუხისმგებლობას საქართველოს აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აკისრებენ, მაშინ, როდესაც, შესაძლოა, თუნდაც მასთან თანაბრად არამარტო საქართველოს პარლამენტი, არამედ საერთოდ დღევანდელი მმართველი ელიტა იყოს დამნაშავე.**

ნიშანდობლივია, რომ კონსტიტუციაში განმტკიცებული დიდი დისბალანსი ნამდვილი ხელისუფლებისა თუ მისი სუროგატის რეალური ქმედუნარიანობის შესახებ ამ თავების წმინდა მექანიკური ურთიერთშედარების გზითაც შეიძლება დადგინდეს. მაგრამ, რადგან ამ წერილის ადრესატები არიან ის თანამდებობის პირები, რომელთათვისაც კონსტიტუციის ტექსტის გაცნობა პრობლემას არ წარმოადგენს, ჩვენც თავს შევიკავებთ ასეთი შედარებითი ანალიზისგან და ამ საქმეს მათ მივანდობთ, თუნდაც საგაზეთო ფართის ეკონომიის მიზნით.

რაც შეეხება სასამართლოს, რომელიც, წესით, ისეთივე უფლებებით უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, სინამდვილეში მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ მას, ანუ სასამართლოს, სახელმწიფო ხელისუფლების განაწილებისას, ხსენებულ სუბიექტებს შორის, არაფერი არ ერგო, გარდა იმისა, რომ სათანადო თავი სასამართლო ხელისუფლებად იწოდება. ეს თავი 10 მუხლისგან შედგება, რომელთაგანაც 7 საკუთრივ საერთო სასამართლოების კომპეტენციასა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს (82-დან 87-ე მუხლამდე), 88-ე და 89-ე მუხლები — საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო 90-ე მუხლი საქართველოს უზენაეს სასამართლოს უფლებამოსილების განსაზღვრას ეძღვნება.

პირველი შეუსაბამობა, რომელიც თვალშისაცემია ამ ტექსტის გაცნობისას, ის არის, რომ, **საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომლებიც, როგორც ცნობილია, არჩევითობის პრინციპით იქმნება, სასამართლოები — როგორც საერთო, ისე საკონსტიტუციო და უმაღლესი, მთლიანად მათი წევრების დანიშვნის პრინციპით კომპლექტდება და სწორედ ამიტომ არ არის იგი სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი ორგანო, რომელსაც, როგორც ცნობილია, მრავალ სხვა ფუნქციასთან ერთად ის უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, რომ საჭიროებისა თუ აუცილებლობის შემთხვევაში დაიცვას საზოგადოება, საქართველოს მოქალაქეები და ა. შ. აღმასრულებელი და, გნებავთ, საკანონმდებლო ორგანოების თვითნებობისგან, რაც კარგახანია ჩვენს ქვეყანასა თუ უცხოეთში საქართველოს მოქალაქეების დიდ აღშფოთებასა თუ პროტესტს იწვევს.**

საქმე ისაა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი ორგანოს პირველი ნიშანი ის უნდა იყოს, რომ იგი არ უნდა იყოს დანიშვნითი, არამედ ორი სხვა სახელისუფლო შტოს მსგავსად, მათი შემადგენლობის დაკომპლექტება საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით უნდა ხდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საბოლოოდ მოხდება ისე, როგორც ეს ნაცშპანისა თუ ნაცელიტის ბატონობის დროს ხდებოდა და განუკითხაობას ბოლო არც არასდროს არ მოეღება, სანამ ხალხი, როგორც ხელისუფლების წყარო, არჩევნების გზით თავის მტკიცე სიტყვას არ იტყვის და ნებას არ განახორციელებს.

ამიტომ მოსამართლეთა კორპუსის ყველა შემადგენელი ნაწილის — საერთო სასამართლოების, საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს წევრთა დანიშვნადობიდან **არჩევითობის პრინციპზე** დაუყოვნებელი გადასვლა, უდავოდ დიდად ეფექტიანი და ამასთან ერთად მშვიდი და უსისხლო იქნება და დღეს **საქართველოში გამეფებული უსამართლო სამართლის ევოლუციური და არა რევოლუციური გზით გარდაქმნას უზრუნველყოფს, რის გარეშეც სამართლიანობა და, გნებავთ, დემოკრატია არამარტო დღეს ან ხვალ, არამედ, შეიძლება თამამად ითქვას, არც არასდროს დამყარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო სისტემის ამგვარი გარდაქმნა უმნიშვნელოვანესია.**

მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპზე გადასვლა საკმარისი არ იქნება მათი ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისთვის სხვა სახელისუფლო შტოებისგან, ამიტომ უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათი საქმიანობის დაფინანსების მაქსიმალური დამოუკიდებლობა, რაც, სავარაუდოდ, უნდა განხორციელდეს იმ მატერიალური სახსრების მობილიზაციით, რომელთაც მოქალაქეები იხდიან მათი საქმის სასამართლოში წარმართვის საფასურის, ჯარიმებისა და სხვა სახით, აგრეთვე, კონსტიტუციის მიერ განსაზღვრული დოტაციით, რომელიც სავალდებულო წესით უნდა გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამგვარად, საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-5 თავი სათაურით „სასამართლო ხელისუფლება“ ოდნავადაც ვერ უპასუხებს დღეს ამ სფეროში არსებულ მოთხოვნებს და **აუცილებელია, დაუყოვნებლივ გატარდეს საქართველოში სასამართლო სისტემის ყველა რგოლის კარდინალური გარდაქმნა, რომლის პროექტის შემუშავებაში, პირველ რიგში, მონაწილეობა უნდა მიიღონ მაღალკვალიფიციურმა ქართველმა მეცნიერ-იურისტებმა და არ უნდა დარჩეს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი თუნდაც ყველაზე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების ხელში.**

მთლიანობაში კი სასამართლო ხელისუფლების ამგვარი მდგომარეობა შეუძლებელს ხდის მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ნორმალურ ფუნქციონირებას — როგორც სამფეხა სკამი (იგივე ჯორკო) დასაჯდომად უვარგისია, თუ ერთ ფეხს გამოვაცლით, ისე სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც სამ სრულყოფილ და ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სახელისუფლო ძალას უნდა წარმოადგენდეს, **ერთის ანუ სასამართლო ხელისუფლების კასტრირების გამო მთელ სახელმწიფო ხელისუფლებას ქვეყნის ეფექტური და სამართლიანი მართვისთვის უვარგისად გავხდით, არაფერი რომ არ ვთქვათ იმის შესახებ, რომ იგი ამგვარ ხელისუფლებას აშკარად ანტიდემოკრატიულად და, თუ გნებავთ, დიქტატორულად აქცევს, რისი მოწმენიც ჩვენ დღეს უკვე ვართ.**

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებები არის მისაღები სასამართლო სისტემის დაუყოვნებლივი რეფორმირების მიზნით, მოკლედ შევეხები სხვა პრობლემებსაც, რომლებიც ამ პროცესში უნდა მოგვარდეს.

რაც შეეხება „ნაცშპანისა“ თუ „ნაცბანდის“ სამარცხვინო გარიგებას „ამერიკული ოცნების“ ქართული ფილიალის წარმომადგენლებთან, რომლებიც თავიანთ თავს რატომღაც „ქართველ მეოცნებეებად“ წარმოგვიდგენენ, იგი ვერავითარ იურიდიულ და, გნებავთ, პოლიტიკურ ჩარჩოებში ვერ ჯდება. აბა, **სად გაგიგონიათ, მოსამართლეები თავიანთ თავს თვითონ ირჩევდნენ და არამარტო სახალხო, არამედ არავითარ კონტროლს არ ექვემდებარებოდნენ და ამას მისი ავტორები ქართული დემოკრატიის ბრწყინვალე ნიმუშად ასაღებდნენ...**

ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რადგან **მოსამართლეთა მთელი კორპუსის ყველა რგოლის პირდაპირი გზით საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩევა გახდება ერთადერთი გზა ამ კორპუსის უმაღლესი კვალიფიკაციისა და ზნეობრიობის მატარებელი უმაღლესი განათლების მქონე იურისტებით დასაკომპლექტებლად.**

ამასთან ერთად, საერთო სასამართლოები უნდა აირჩეს მკაცრად ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, საყოველთაო პირდაპირი არჩევნების გზით და ამ ტერიტორიის მოსახლეობამ უნდა განახორციელოს რეალური კონტროლი იმისა, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის მოსამართლედ არჩეული პიროვნება თავის თანამდებობას. **ამასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდება თბილისის პირველი ინსტანციის საქალაქო სასამართლო რაიონულ სასამართლოებად დავყოთ, და მათი შენობები რაიონული პრინციპითვე განვალაგოთ, რაც მას მნიშვნელოვნად დემოკრატიულს გახდის, დააახლოებს მოსახლეობასთან და მის საქმიანობას ჭეშმარიტად სახალხო ხასიათს მისცემს.**

აუცილებელია, აგრეთვე, საერთო სასამართლოს წევრების უფლებამოსილების ვადა არ აღემატებოდეს 5 წელს, რათა ამ დროის მანძილზე შესაძლებელი გახდეს მათი საქმიანობის ობიექტური შეფასება და, თუ კანდიდატურა შესაფერისი აღმოჩნდება, მისი არჩევა კვლავ 5 წლის ვადით გახდება შესაძლებელი იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას საქმის ინტერესები მოითხოვს. **რასაკვირველია, სრულად უნდა გამოირიცხოს საერთო სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა უვადოდ, ანუ სამუდამოდ, რაც ღმერთმა არა ქნას და, თუ ოდესმე განხორციელდა, ენით აუწერელი უბედურების წყაროდ იქცევა.**

სხვათა შორის, ეს საკითხი საკმაოდ სერიოზულია, რადგან ვიღაცამ, ჩემთვის უცნობმა პერსონამ ან ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯგუფმა ეს საკითხი თავისი ჭკუითა თუ უჭკუობით უკვე გადაწყვიტა 2011 წლის 5 აპრილამდე, რადგან დღეს მოქმედ კონსტიტუციაში უკვე შეიტანა და უზენაეს კანონად აქცია საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 და კიდევ ერთხელ მე-2 პუნქტი შემდეგი საკმაოდ ბუნდოვანი შინაარსისა: „მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით“. **ამ პუნქტს ასრულებს ფრჩხილებში ჩასმული შემდეგი დებულება — (15.10.2010 №3710, ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)“.**

პირველი, რაც იქცევს ყურადღებას ამ ტექსტის ანალიზისას, ეს მისი ში- ▶

**„რუსეთსა და საქართველოს შორის ნამდვილად არის დიპლომატიური ურთიერთობის პრობლემა, მაგრამ ეს აფხაზეთისა და ოსეთის საკითხს უკავშირდება, რაც მხოლოდ საქართველოს ან რუსეთის კომპეტენციის საკითხი არ არის. აფხაზებსა და ოსებს თავად უნდა ვკითხოთ, რა სურთ. ამის დრო მოვიდა, ვინაიდან, საქართველოს ყოფილი ხელისუფლება, პირდაპირ კონტაქტებს აფხაზებთან და ოსებთან ბლოკავდა.“**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ნაარსობრივი ბუნდოვანებაა. კერძოდ, თუ მოსამართლეები უვადოდ, ანუ სამუდამოდ უნდა იქნან არჩეულები, მაშინ რას ნიშნავს ის დებულება, რომ ისინი გარკვეული ვადით — 3 წლით შეიძლება განწესდნენ მოსამართლედ და სხვ. **მიუღებელია, აგრეთვე, ის დებულება, რომ მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და განთავისუფლების წესი მთლიანად კონსტიტუციით კი არა (რაც სრულიად სამართლიანი იქნებოდა), არამედ თურმე ამ საქმეში ორგანული კანონის მოშველიებით უნდა მოხდეს, რაც ყველაფერთან ერთად იმის გამოც არის მიუღებელი, რომ ერთგვარად აკნინებს სასამართლო სისტემის, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი ორგანოების როლსა და მნიშვნელობას.**

სრულიად გაუგებარია და მიუღებელია, აგრეთვე, ის დებულება, რომელიც კანონის ამ ნაწილის დასასრულს ფრჩხილებში ჩასმული სახით არის მოცემული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 2011-დან 2013 წლამდე ანუ 2012 წელს, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, უკვე ჩატარდა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები, რომელსაც გუშინდელი საკანონმდებლო ორგანო თავს ახვევს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღება მის კომპეტენციაში არ შედის, რადგან რა სახეს მიიღებს კონსტიტუციის ეს მუხლები 2012 წლის შემდეგ და მით უმეტეს 2013 წელს, ეს ძველი პარლამენტის წევრების გადასაწყვეტი არ არის, ამიტომ **ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის მცდელობა უკვე ძალადაკარგული პარლამენტის მიერ ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების უზურპაციისა, რაც სამარცხვინოა არამარტო ახალი, არამედ ძველი პარლამენტისთვისაც.**

სხვათა შორის, ამგვარი გზით ისეთი საკითხების, თანაც მეტად მნიშვნელოვანის, დროზე ადრე გადაწყვეტისა და მათი ავტომატურად ამოქმედებისა ისე, რომ ეს ვითომ არც უნდა ეხებოდეს ახალი პარლამენტის შემადგენლობას, ნამდვილად მიუღებელია და ყველა ასეთი მცდელობა, მე ვიტყოდი, ძველი პარლამენტის მიერ ახლის უფლებამოსილების უზურპაციისა, სათანადოდ უნდა შეფასდეს; უმჯობესია, ახალი პარლამენტის მიერ და ყველა ეს მუხლი თუ დებულება უნდა იქნას მოქმედი კონსტიტუციის ტექსტიდან ამოღებული.

**რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების დღევანდელ წესს, იგი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ძირეულად უნდა შეიცვალოს და გახდეს არჩევითი, თანაც არჩევნები უნდა ჩატარდეს საერთო სასამართლოებთან ერთად პირდაპირი და ფარული კენჭისყრის წესით. რაც შეეხება ვადას, იგი შეიძლება ამ შემთხვევაში 10 წლით განისაზღვროს, მაგრამ მოსამართლეთა ასაკი უნდა გაიზარდოს მინიმუმ 40 წლამდე. ამავე 10 წლის ვადით უნდა ხდებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ თავმჯდომარის არჩევა.**

**მეტად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა არჩევისას ასაკის საკითხის ოპტიმალური განსაზღვრა. ჩემი მოსაზრებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრები შეიძლება გახდნენ გამოჩენილი იურისტები, რომელთაც შეუსრულდათ 55 წელი, ხოლო თავმჯდომარე უნდა იყოს არანაკლებ 60 წლისა, თანაც, ამ ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანესი ორგანოს თავმჯდომარე და წევრები უნდა აირჩეს სამუდამოდ, რაც კიდევ მეტად გაზრდიდა მათი დამოუკიდებლობის ხარისხსა და საზოგადოებრივ აღიარებას.**

დასასრულ, ჩემი თხოვნაა, არ ჩავთვალოთ ამომწურავად ის, რაც საქართველოს აწმყოსა და მომავლისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის სათანადო დონეზე მოგვარების შესახებ **ამ წერილში უკვე ასე თუ ისე ითქვა, და განვეწყოთ იმისათვის, რომ აქ წამოჭრილი და რიგი სხვა საკითხებისა, რაც შეიძლება მოკლე დროში ქართველი მაღალკვალიფიციური მეცნიერი იურისტების, ჭეშმარიტად პროფესიონალი იურისტი ექსპერტების ობიექტური მსჯელობის საგნად ვაქციოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს მათ დღევანდელმა პარლამენტმა იურიდიული ძალა.**

დასასრულ, არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი გულწრფელი გაკვირვება და, გნებავთ, სერიოზული აღშფოთება იმის გამო, რომ მოქმედმა პარლამენტმა იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, რომ მრავალი წლის შემდეგაც გადადგა ყოვლადგაუმართლებელი ნაბიჯი და კვლავ ფიზიკოსი თუ გეოფიზიკოსი ვახტანგ ხმალაძე აირჩია პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარედ, **თითქოს ჩვენ პაპუასები ვიყოთ და საქართველოში პირწმინდად გაგვეწყვიტოს მეცნიერი იურისტების საკმაოდ წარმომადგენლობითი ინტელექტუალური ელიტა, რომლებიც სრულიად აშკარაა, რომ ბატონ ვახტანგსა და სხვა ამ კომიტეტის წევრებზე უკეთ შეძლებდნენ იმ პრობლემებში გარკვევას, რომლებიც დღეს ჩვენ წინაშე დგას. ამას სხვა რა ვუწოდოთ, თუ არა ვითარება, როდესაც უძალლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ ხოლმე, მით უმეტეს, რომ ქართული სამეცნიერო იურიდიული სკოლა თუმცა ნაცმპანის ბელადის — მიხეილ სააკაშვილის მიერ ისე „ოსტატურად“ არის დღეს, ფაქტობრივად, მიწასთან გასწორებული, რომ ეს არც თვით ვახტანგ ხმალაძეს და სხვა არასაკმარისად კომპეტენტური, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუროგატი იურისტების შესახებ ითქმის, რომლებიც დღეს მას პარლამენტში მხარს „უმშვენებენ“ და აშკარად არაკომპეტენტურ გადაწყვეტილებებს იღებენ. თავიანთი გულის გასახარად და ქართველი ხალხის გულის გასახეთქად, რასაც ერთხელ და სამუდამოდ, დროა, ბოლო მოეღოს.**

**ანზორ გაბიანი**,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სამართლისა და სოციოლოგიის დოქტორი, პროფესორი

# აფხაზებსა და ოსებს თავად უნდა ვკითხოთ, რა სურთ

**საქართველოში ერთკვირიანი ვიზიტით რუსი ექსპერტები და პოლიტოლოგები ჩამოვიდნენ. სტუმრები საქართველოს, „კავკასიური სახლის“ ინიციატივით, პროგრამის — „ქართულ-რუსული დიალოგის პერსპექტივის“ ფარგლებში ეწვივნენ და ქართველ ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს შეხვდნენ. როგორ ესახებათ რუსეთში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივა, საქართველოში ვიზიტით მყოფ რუს ექპსერტებს არასამთავრობო ორგანიზაციის „გლობალური კვლევების ცენტრის“ (ნანა დევდარიანის ხელმძღვანელობით) მიერ გამართულ შეხვედრაზე ვკითხეთ.**



**რუსეთის სტრატეგიული კვლევების ცენტრის (РИСИ) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, არტურ ატაევი, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს დადებითად აფასებს და მიაჩნია, რომ ის ურთიერთობა, რომელიც დღეს ორ ქვეყანას შორის არსებობს, ამ ეტაპზე სრულიად საკმარისია.** „საქართველოში პროგრამის — „რუსულ-ქართული დიალოგის პერსპექტივის“ ფარგლებში, ჩამოვედით და შევხვდით ქართველ ექსპერტებს, როგორც მთავრობის, ასევე არასამთავრობო და კომერციული სექტორის წარმომადგენლებს — ზურაბ აბაშიძეს, გია ნოდიას, ზაზა შათირიშვილს და სხვებს... ჩვენ შორის გულახდილი საუბრები გაიმართა, მაგრამ გარკვეულ საკითხებს მხოლოდ დახურულ კარს მიღმა განვიხილავთ, ექსპერტები შევთანხმდით, რომ ჯერჯერობით მათი გახმაურება და განხილვა არ ღირს.

**რაც შეეხება უშუალოდ რუსეთთან ურთიერთობას, რეალურად უნდა შევხედოთ სიტუაციას. ომი ჯერ სულ ახლახან, 2008 წელს იყო და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში რაიმე სერიოზული ცვლილებები რომ მომხდარიყო, ეს უფრო გასაკვირი იქნებოდა.** სხვათა შორის, სანამ საქართველოში წამოვიდოდი, რუს ექსპერტებს ვეკითხებოდი, როგორ ხედავენ ისინი ქართულ-რუსული ურთიერთობების მომავალს და მინდა გითხრათ, აქაც აზრთა სხვადასხვაობაა. მე პირობითად ამ ექსპერტებს სამ ჯგუფად დავყოფდი. მაგალითად, **ექსპერტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ურთიერთობები მხოლოდ მას შემდეგ გაუმჯობესდება, რაც საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას სცნობს. ექსპერტების მეორე ნაწილი ამბობს, რომ დიალოგი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაიწყოს. მესამე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ შეხვედრების აუცილებლობას საერთოდ ვერ ხედავს.**

თუმცა ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოსა და რუსეთს შორის დღეს ურთიერთობა არსებობს, მაგრამ ვფიქრობ, პოლიტიკოსებს შორის ჯერჯერობით არავითარი მოლაპარაკების დაწყება საჭირო არ არის.** ცოტა ხნის წინ ანსამბლი „ერისიონი“ იყო მოსკოვში, ამას გარდა, მოსკოვში თბილისობის დღესასწაული გაიმართა. ასევე სასიამოვნოდ გამაკვირვა იმ ფაქტმა, რომ თბილისში ბევრი რუსი ტურისტი შემხვდა. იმ დღეს ნარიყალაზე ვიყავით და ტურისტების 70% რუსია. ხალხს არანაირი პოლიტიკა არ სჭირდება, ხალხი პოლიტიკოსების გარეშეც ახერხებს ურთიერთობას“.



**რუსი ექსპერტი, პოლიტოლოგი, ანდრეი სუშენცოვი** ამბობს, რომ მისი ვიზიტის მიზანია, რუსეთთან დაკავშირებით, ქართული მხარის აზრებსა და არგუმენტაციას გაეცნოს. „ომის შემდეგ არ შეიძლება ასე უცებ ვითარების ნორმალიზება. ყველაფერი პატარა ნაბიჯებით უნდა დაიწყოს, როგორც დაიწყო კიდეც. კარასინი და აბაშიძე შეხვდნენ ერთმანეთს, ქართული პროდუქცია დაბრუნდა რუსეთის ბაზარზე, არსებობს შესაძლო პერსპექტივა სატრანსპორტო დერეფნის გაკეთების, სავიზო რეჟიმის გამარტივების, ჯერ მთელი რიგი საკითხებია, რომელთა გადაწყვეტის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ურთიერთობების აღდგენაზე ვიფიქროთ, ვინაიდან **ასე უცებ შეუძლებელია ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა. საქართველოს ეს არ შეუძლია, სანამ რუსეთი უკან არ წაიღებს აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებას, რუსეთს კი არ შეუძლია ამ აღიარების უკან წაღება.**

ამიტომ, **რეალურად თუ შევხედავთ, უფრო მართებული იქნება, თუ საქართველო გაიაზრებს, რომ მისთვის ეს ტერიტორია დაკარგულია და სწორედ ეს აღიარება იქნება მისთვის პირველი ნაბიჯი ტერიტორიების დასაბრუნებლად. არ ვიცი, იქნება ეს ფედერაციული რესპუბლიკა თუ არა, მაგრამ, როცა ჰუმანიტარული ურთიერთობები აღდგება, ერთობლივი თანაცხოვრების რაღაც ფორმა მოიძებნება, მაშინ გამოსავალიც გამოჩნდება.** არ არის სიმართლე, თითქოს აფხაზებსა და ოსებს საქართველოსთან საუბარი რუსეთის ფაქტორის გამო არ უნდათ, ჩვენ მოხარულნი ვიქნებოდით დიალოგის, მაგრამ აფხაზებსა და ოსებს პოსტკონფლიქტური სინდრომი აქვთ და მათი გაგებაც შეიძლება“.



**ჟურნალ „ექსპერტის“ კორესპონდენტი გევორქ მირზოიანი** უკვე მეხუთედ იმყოფება საქართველოში. „კავკასიური სახლის პროექტის ფარგლებში ჩვენ შევხვდით ქართველ პოლიტოლოგებს, ჟურნალისტებს, ექსპერტებს. ჩვენი ამოცანაა, დავიწყოთ დისკუსია, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გავიგოთ ერთმანეთის პოზიციები ამა თუ იმ საკითხზე და საერთო ინტერესებთან დაკავშირებით რუსეთისა და საქართველოს პოზიციები დავაახლოვოთ.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში ცვლილებები, რა თქმა უნდა, არის, ვინაიდან 2012 წლამდე ძალიან ცუდი ურთიერთობა იყო რუსეთსა და საქართველოს შორის. ამას, უბრალოდ, დაძაბულ ურთიერთობასაც ვერ დავარქმევდი. **იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჰქონდათ ომი, არ შეიძლება ასე უცებ ურთიერთობის ნორმალიზება, მაგრამ ამ ერთ წელიწადში, ჰუმანიტარული თუ ეკონომიკური მიმართულებით არცთუ ისე ცოტა გავაკეთეთ. არ შეიძლება ეს არ დავინახოთ და შევაფასოთ.** თანამედროვე მსოფლიოში, დიპლომატიური ურთიერთობების თვალსაზრისით, რაც საქართველომ და რუსეთმა გააკეთეს, ძალიან ბევრია. მით უმეტეს ომი ახლახან იყო. არგენტინასა და ბრიტანეთს შორის 70-იანი წლების ბოლოს იყო ომი და დღემდე არ აქვთ ის ურთიერთობა, რაც ჩვენ ამ ერთ წელიწადში შევძელით.

**რუსეთსა და საქართველოს შორის ნამდვილად არის დიპლომატიური ურთიერთობის პრობლემა, მაგრამ ეს აფხაზეთისა და ოსეთის საკითხს უკავშირდება, რაც მხოლოდ საქართველოს ან რუსეთის კომპეტენციის საკითხი არ არის. აფხაზებსა და ოსებს თავად უნდა ვკითხოთ, რა სურთ. ამის დრო მოვიდა, ვინაიდან საქართველოს ყოფილი ხელისუფლება პირდაპირ კონტაქტებს აფხაზებთან და ოსებთან ბლოკავდა.**

საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა და ჩვენთვის საინტერესოა, ვიცოდეთ, ვინ იქნება სათავეში, ვის ვენდოთ. თუ ქართულ მხარეს ექნება განზრახვა კეთილმეზობლური და კონსტრუქციული ურთიერთობის რუსეთთან, რუსეთი მზადაა ამისთვის, რათა ეს ურთიერთობები პარტნიორულ დონეზე განვითარდეს. ორივე მხარისთვის გასაგებია ის პრობლემები, რომლებიც მათ აშორებს. ახლა უნდა ვეცადოთ, კომპრომისები მოვძებნოთ“.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**«ასე უცებ შეუძლებელია ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა. საქართველოს ეს არ შეუძლია, სანამ რუსეთი უკან არ წაიღებს აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებას, რუსეთს კი არ შეუძლია ამ აღიარების უკან წაღება»**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთელმა მსოფლიომ გაიგო ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მუშაობის ძირითადი მიზნების შესახებ. ამ მიზნებში აღმოჩნდა ჩინეთი, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, იაპონია, ისრაელი და ბრაზილია, ანუ ყველა ის, ვისაც ვაშინგტონი ასე სიყვარულით მოიხსენიებს, თუ მოკავშირეებად არა, „კეთილსინდისიერ პარტნიორებად“ მაინც.**

# რა ელის აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს

**სახელმწიფოთა პირველი პირების მოსმენებთან დაკავშირებული სკანდალების შემდეგ თვით ამერიკელებმაც კი აღიარეს, რომ სპეცსამსახურებმა გადაამლაშეს. იმ დროს, როდესაც მსოფლიოში ძალებს იკრებს გლობალური კამპანია ამერიკის სათვალთვალო პროგრამების წინააღმდეგ, თვით აშშ-ის შიგნით იზრდება ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ლიკვიდაციის მომხრეთა რაოდენობა.**



**ცსს-სა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ერთობლივი მუშაობის ფარგლებში საიდუმლო მოსმენების პუნქტები მუშაობს აშშ-ის 80-მდე საელჩოსა და საკონსულოში, ნატოს შტაბ-ბინაში და ევროკავშირის მმართველობით სტრუქტურებში**

მიმდინარე წლის ივნისში შეიტყო რა სათვალთვალო პროგრამა PRISM-ის შესახებ, მსოფლიო თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა. არადა, მთელი რიგი მსგავსი პროექტების არსებობის შესახებ ჟურნალისტები ედვარდ სნოუდენის გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე იტყობინებოდნენ. ამასთან, **სწორედ უკანასკნელ თვეებში დაეწყო აქა-იქ მიმოფანტული ფრაზები ერთ მთლიან საშინელ სურათად, რომელმაც ნათლად აჩვენა ვაშინგტონის კოლოსალური რესურსები ყოვლისმომცველი საინფორმაციო კონტროლის დამყარების საქმეში.**

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო 1952 წელს შეიქმნა, რათა დახმარებოდა ამერიკის დაზვერვას ინფორმაციის მონიტორინგში, დეკოდირებასა და ანალიზში. მაგრამ **დროთა განმავლობაში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მიზნებმა და ამოცანებმა ტრანსფორმირება განიცადა — ჯერ კიდევ 1970-იან წლებში სააგენტოს მუშაობაში გაჩნდა აშშ-ის მოქალაქეებზე კომერციული და პროფილაქტიკური თვალთვალის მიმართულება. სწორედ მაშინ გაისმა კონგრესში პირველი შეშფოთება სააგენტოს უდიდესი ძლევამოსილების ფონზე მისი მზარდი დამოუკიდებლობის გამო.** მაგალითად, სენატის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარემ, აიდაჰოს შტატის დემოკრატმა წარმომადგენელმა ფრენკ ჩერჩმა ყველა გააფრთხილა, რომ **„ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს შესაძლებლობები პირადი კომუნიკაციების ტოტალური კონტროლის მხრივ ნებისმიერ დროს შეიძლება შემოუბრუნდეს ამერიკელ ხალხს“.**

90-იან წლებში საგარეოპოლიტიკურ ფრონტზე სააგენტოს ძალებით გაუშვეს პროგრამა „ეშელონი“, რომელმაც გააერთიანა ხუთი ინგლისურენოვანი ქვეყნის — აშშ-ის, ბრიტანეთის, კანადის, ავსტრიისა და ახალი ზელანდიის სადაზვერვო სამმართველოები. **„წარმოიდგინეთ ჯაშუშობის გლობალური ქსელი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ სატელეფონო ზართან, ფაქსთან ან ელექსტრონულ გზავნილთან წვდომა პლანეტის ნებისმიერ წერტილში. ეს სამეცნიერო ფანტასტიკის მსგავსად ჟღერს, მაგრამ ეს რეალობაა. მთავარი გმირები არიან ინგლისი და აშშ, რომლებიც ოფიციალურად უარყოფენ პროგრამის არსებობას, მაგრამ ჩვენ დასტური გვაქვს ავსტრალიის ხელისუფლებისგან, რომ ამგვარი ქსელი ნამდვილად არსებობს...“** — წერდა „ბიბისი“ 1999 წელს.

რაც უნდა უცნაური იყოს, ამერიკული კონტრდაზვერვის ის უსერიოზულესი ჩავარდნა, რომ მათ ვერ მოახერხეს 9/11-ის თავიდან აცილება, ამერიკელი სპეცსამსახურებისთვის მომგებიან შემთხვევად იქცა. ეგრეთ წოდებული პატრიოტული აქტის ფარგლებში მათი უფლებამოსილებები მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმ მომენტიდან ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ კვლავ აქტიურად დაიწყო მუშაობა „შიდა ბაზარზე“.

**„თქვენი ნებისმიერი საბანკო დეპოზიტი, საკრედიტო ბარათით განხორციელებული ნებისმიერი გადახდა, ექიმისგან რეცეპტის მიღება, ინტერნეტ-საიტი, რომელიც გახსენით, მიღებული ან გაგზავნილი იმეილი ან შეკვეთილი ბილეთი, ასევე ნებისმიერი ადგილი, სადაც მიდიხართ — ყველაფერი ხვდება ვირტუალურ ცენტრალიზებულ ბაზაში“,** — წერდა ნიუ იორკ თაიმსი 2002 წელს. ოთხი წლის შემდეგ ჟურნალი USA Today აცხადებს, რომ **ფიჭური კავშირგაბმულობის სამ წამყვან ოპერატორთან შეთანხმებით აშშ-ში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მხრიდან მოსმენებს ექვემდებარებოდა დაახლოებით 200 მილიონი აბონენტი!**

მაგრამ მხოლოდ იმ მხილებებმა განაპირობა ბოლოს და ბოლოს უპრეცენდენტო საჯაშუშო სკანდალი როგორც აშშ-ში, ისევე მის საზღვარგარეთაც, რომლებმაც უშუალოდ სადაზვერვო სამყაროს სამზარეულოდან გაჟონა და რომლებიც 20 ათასი საიდუმლო ფაილის სახით გადასცა მასმედიას ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა.

**ზაფხულის განმავლობაში მთელმა მსოფლიომ გაიგო ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მუშაობის ძირითადი მიზნების შესახებ. ამ მიზნებში აღმოჩნდა ჩინეთი, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, იაპონია, ისრაელი და ბრაზილია, ანუ ყველა ის, ვისაც ვაშინგტონი ასე სიყვარულით მოიხსენიებს, თუ მოკავშირეებად არა, „კეთილსინდისიერ პარტნიორებად“ მაინც.** როგორც სნოუდენის მასალებიდან ირკვევა, **ცსს-სა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ერთობლივი მუშაობის ფარგლებში საიდუმლო მოსმენების პუნქტები მუშაობს აშშ-ის 80-მდე საელჩოსა და საკონსულოში, ნატოს შტაბ-ბინაში და ევროკავშირის მმართველობით სტრუქტურებში.**

აგვისტოში ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს ცნობები იმის შესახებ, რომ **ვაშინგტონი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას იყენებდა ბიზნესის, მრეწველობისა და ეკონომიკის სფეროებში თავის კონკურენტებზე საიდუმლო დაკვირვებისთვის.** და ბოლოს, ცნობილი გახდა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო მიზანმიმართულად უთვალთვალებდა ჟურნალისტებს, რომელიც 9/11-ის შემდეგ თავს აშშ-ის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული გამოხდომების უფლებას აძლევდნენ.

გამოაშკარავებების ახალმა დოზამ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მთელი ტექნოლოგიური სიმძლავრეები წარმოაჩინა. აქ შეიმუშავეს მსოფლიოს საუკეთესო სმარტფონებისა და ოპერაციული სისტემების გატეხვის მეთოდები. გერმანული გაზეთი „შპიგელი“ წერდა, რომ სააგენტოს შეუძლია მიუერთდეს, ინფორმაცია მიიღოს და უთვალთვალოს iPhone 3-სა და iPhone 4-ის შემთხვევაშიც კი. სააგენტოს ყოფილი დირექტორი **მაიკლ ჰეიდენი** არ მალავს: **„ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო იპარავს საიდუმლოებებს: ამაში ჩვენ პირველები ვართ... ჩვენ ვიპარავთ თქვენს პირად მონაცემებს, რათა თქვენი ცხოვრება უსაფრთხო გავხადოთ და გამდიდრების საშუალება არ მოგცეთ“.**

საინტერესოა, რომ ამ გამოაშკარავებების კამპანიის პარალელურად აშშ-ის ხელისუფლება განუწყვეტლივ ცრუობდა. მაგალითად, **6 აგვისტოს პრეზიდენტი ბარაკ ობამა სატელევიზიო გამოსვლისას თვალის დაუხამხამებლად იტყუებოდა: „ჩვენ არ გაგვაჩნია შიდა ჯაშუშობის საწინააღმდეგო პროგრამები, ჩვენ არ ვაპირებთ, ვუთვალთვალოთ ამერიკელებს“.**

მალე ახალმა გამოაშკარავებებმა ვაშინგტონი აიძულა, „ჩვენება შეეცვალა“. 26 სექტემბერს ნაციონალური უსაფრთხოების დირექტორმა **კიტ ალექსანდერმა** დაადასტურა, რომ **„სააგენტო აგროვებს და ინახავს ამერიკის ყველა მოქალაქის ყველა სატელეფონო საუბრის ჩანაწერს“.** მონაცემთა დიდი ნაწილი სპეციალურად შექმნილ უზარმაზარ საცავებში ინახება. მაგალითად, ისეთებში, როგორიც იუტას შტატში მდებარე Data Center-ია და რომელიც ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს 1.5 მილიარდი დოლარი დაუჯდათ.

განა ეს არ არის ნამდვილი ტოტალიტარიზმი, ანუ ხელისუფლების სწრაფვა, მოიპოვოს საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტზე სრული კონტროლი? ამასთან, როგორც დაზვერვის საკითხებში სენატის კომიტეტის წევრები — **მარკ ოდოლი** და **რონ ვიდენი** აცხადებენ, **„მნიშვნელოვანი დარღვევები გასაიდუმლოებული რჩება, მათ შორის ელექტრონული ფოსტით ამერიკელთა მიმოწერის შესახებ მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებული ფაქტებიც“.**

რას განაპირობებს მორიგი გამოაშკარავებები და მზარდი საპროტესტო მოძრაობა აშშ-ში? ეჭვგარეშეა, რომ თეთრი სახლი იძულებული გახდება, რაღაც მსხვერპლი გაიღოს, იმიტომ, რომ დღეს თუ არა ხვალ, მას წყლის ჭავლის გამოყენებით მოუწევს დემონსტრანტთა გაფანტვა. ყველაზე ადვილია რამდენიმე მაღალჩინოსნის გაწირვა და რამდენიმე ამგვარი საბრალოს სახელი უკვე ცნობილია — გამოცხადდა, რომ **2014 წლის დასაწყისში თანამდებობებს დატოვებენ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორი კიტ ალექსანდერი და მისი მოადგილე ჯონ ინგლისი. გარდა ამისა, დღე-დღეზე თანამდებობას დატოვებს უსაფრთხოების საკითხებში ბარაკ ობამას მრჩეველი ჯანეტ ნაპოლიტანოც.**

საკმარისი იქნება ეს ამერიკელებისა და აშშ-ის უცხოელი პარტნიორების დასამშვიდებლად? ზემოხსენებული თანამდებობების დაკავების შემდეგ ხომ ახალი პერსონებიც იძულებულნი იქნებიან, განაგრძონ თეთრი სახლის სტრატეგია და ანალოგიურად შეზღუდონ სამოქალაქო თავისუფლებები ქვეყნის შიგნით, განაგრძონ საინფორმაციო ნაკადების ტოტალური კონტროლი მის ფარგლებს გარეთ.

**„გულახდილად რომ გითხრათ, და მე ამას ვამბობ მთავრობაში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილებით, დროა, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მუშტი მოხვდეს: მათ გაანადგურეს ბრენდი, მათ გაანადგურეს პირადი ცხოვრების იდეა,** — აღშფოთებულია აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დენის კუსინიჩი. — ვფიქრობ, სამთავრობო დაწესებულებებისთვის, რომელთა მიმართაც დიდია საზოგადოებრივი ინტერესი, უნდა შეირჩეს პასუხისმგებლობის ზომები: ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო უნდა გამარტივდეს!“**

**„რატომაც არ უნდა დავშალოთ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო?** — სვამს კითხვას მომავლის თავისუფლების ფონდის პრეზიდენტი **ჯეიკობ ჰორნბერგერი. — მამა-დამფუძნებლები, თუ გავითვალისწინებთ პირადი ცხოვრების თავისუფლების იდეალების მიმართ მათ დამოკიდებულებას, არასდროს დაუშვებდნენ ისეთი ზესაიდუმლო საჯაშუშო სააგენტოს არსებობას, როგორიც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოა“.**

ლოგიკური იქნება, ვივარაუდოთ, რომ თეთრ სახლში უკვე აწონ-დაწონეს რისკები, რომლებიც ამ სააგენტოს შენარჩუნებას ახლავს და განიხილეს მისი შესაძლო ლიკვიდაციის შედეგებიც. საერთაშორისო არენაზე ამგვარი ნაბიჯი მოკავშირეების მხრიდან დიდ მოწონებას დაიმსახურებდა და საბოლოო ჯამში ვაშინგტონის სტრატეგიულ ინტერესებსაც კი წაადგებოდა. რაც შეეხებათ ამერიკელებს, მათთვის სამოქალაქო თავისუფლებები და კონსტიტუციით მინიჭებული პირადი ცხოვრების უფლება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იმპერატივებია, ვიდრე უსაფრთხოების ის ილუზია, რომლითაც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო უზრუნველყოფს მათ...

fbii.org

**სტატისტიკა დაუნდობელია: ამერიკის შეერთებული შტატების დამაარსებლები, ნაციონალური იდეის მთავარი მცველები, ორი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის მშენებელი და მის წინსვლაზე პასუხისმგებელი რასა მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებში თავისსავე ქვეყანაში უმრავლესობაში აღარ იქნება. ჯერ კიდევ 2010 წელს ახალშობილ ამერიკელებს შორის თეთრკანიანი და შავკანიანი ბავშვების რაოდენობა გათანაბრდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკა ფერადი რევოლუციის მოლოდინში

**Shut Down-მა, რომელმაც ამ შემოდგომაზე აშშ-ში რამდენიმე კვირით გამორთო ჩვეული ცხოვრება, ნათლად აჩვენა, რამდენად სერიოზული განხეთქილება მწიფდება ქვეყანაში. ერთ დროს მთლიანი კონსტრუქციის „ერთიანი ამერიკელი ერის" საძირკველში შენელებული მოქმედების ნაღმი აწყობილია არამხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ელემენტებისგან, არამედ საკუთარ თავში მოიცავს არანაკლებ ფეთქებადსაშიშ ელემენტს — დემოგრაფიულს.**



**აშშ-ში სამუშაო ძალის მთავარ მიმწოდებლებად ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნები გახდნენ და არა ტრადიციული ევროპა**

ის, რომ ამერიკაში კრიზისს ფესვები უფრო ღრმად აქვს, ვიდრე სახელმწიფო ვალის ზრდის პრობლემაა, ამაზე ღიად უკვე მრავალი პოლიტიკოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აცხადებს. ყველაზე ზუსტად აზრი გამოხატა რესპუბლიკელმა სენატორმა ფლორიდიდან მარკო რუბიომ, რომელმაც თეთრი სახლისა და კონგრესის დაპირისპირების კომენტირებისას მწუხარებით აღიარა: **„საბოლოო ჯამში ჩვენ ვიპოვით გამოსავალს კრიზისიდან, რომელიც ამ თვეში შეიქმნა. მაგრამ, სამწუხაროდ, რეალური კრიზისი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, დარჩება. და ეს რეალური კრიზისი არის ჩვენს ხალხში გამჯდარი გრძნობა, რომ ჩვენ ამერიკულ ოცნებას ვკარგავთ".**

სენატორის აზრმა მოულოდნელი მხარდაჭერა ჰპოვა. კონგრესის სტენოგრაფისტი დაიან რეიდი ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით კენჭისყრისას მოულოდნელად მიკროფონთან მივიდა და წარმოსთქვა საკმაოდ უცნაური სიტყვა, რომელიც დაასრულა ფრაზით: **„ჩვენ არ ვართ „ერთიანი ერი ცისქვეშეთში" და არც არასდროს ვყოფილვართ".** წარმომადგენელთა პალატაში ვერ შეძლეს აეხსნათ, რამ აიძულა პატივცემული მუშაკი და ორი შვილის დედა, ამგვარი ნაბიჯი გადაედგა, ჟურნალისტებმა კი მაინც სცადეს მისი საქციელის მიზეზების მოძებნა. Shut Down-თან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზისას გაზეთმა Washington Post-მა სათაურში მიმდინარე მოვლენების საკუთარი ხედვა გამოიტანა: **„ღრმა განხეთქილება მრავალი მიმართულებით".** სტატიის ტექსტში კი სათაური შემდეგნაირად იყო განმარტებული: **„ზოგიერთებს შეუძლიათ, სამართლიანად დასდონ ბრალი ვაშინგტონელ პოლიტიკოსებს, მაგრამ სინამდვილეში ქვეყნის დედაქალაქში არსებული დაპირისპირება არის მთელი ქვეყნის მასშტაბით რიგით დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის შეხედულებებსა და ღირებულებებთან დაკავშირებული შეუწყნარებლობა."**

დიადი ძველი პარტიის წარმომადგენელთათვის ბარაკ ობამას პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა პრინციპული საკითხია. თეთრი სახლის ახლანდელი ადმინისტრაციის მიმართ მათი პრეტენზიების შინაარსი ჯერ კიდევ 2004 წელს ჩამოაყალიბა ცნობილმა ამერიკელმა სოციოლოგმა და პოლიტოლოგმა **სამუელ ჰანტინგტონმა** თავის ნაშრომში **„ესპანური გამოწვევა".** ამ ნაშრომში ავტორმა გააკრიტიკა მულტიკულტურიზმის პოლიტიკა და იმიგრაციის წახალისება კოსმოპოლიტური და ტრანსნაციონალური შეხედულებების მქონე ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან. ავტორმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი ანადგურებდა აშშ-ის ფუძემდებლურ კულტურას.

**„ჩვენ თანაბარი შესაძლებლობების ქვეყანა გვაქვს,** — აღშფოთებულნი გაიძახიან რესპუბლიკელები. — **და მას, ვისაც არ სურს შეუპოვარი შრომა, უფლებაც არ აქვს, სახელმწიფოს მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს სამედიცინო დაზღვევის, პენსიისა და დახმარებების სახით. სხვაგვარად ევროპას დავემსგავსებით მისი კულტურული შემწყნარებლობის, დაფეხვილი დემოკრატიის და იმიგრანტების სიჭარბის მხრივ."**

ამ უკანასკნელებთან დაკავშირებით რესპუბლიკელებს განსაკუთრებული შიში აქვთ გამჯდარი ძვალსა და რბილში. და მოსახლეობის 2010 წლის აღწერის შედეგების თანახმად, ეს შიში სულაც არ არის საფუძველს მოკლებული.

ყველაზე შემაშფოთებელი რესპუბლიკელებისთვის არის მათი პარტიის ელექტორატის ძირითადი ნაწილის — თეთრკანიანი მოსახლეობის წილის განუხრელი შემცირება. სტატისტიკა დაუნდობელია: **ამერიკის შეერთებული შტატების დამაარსებლები, ნაციონალური იდეის მთავარი მცველები, ორი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის მშენებელი და მის წინსვლაზე პასუხისმგებელი რასა მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებში თავისსავე ქვეყანაში უმრავლესობაში აღარ იქნება.** ჯერ კიდევ 2010 წელს ახალშობილ ამერიკელებს შორის თეთრკანიანი და შავკანიანი ბავშვების რაოდენობა გათანაბრდა. **„ეს მნიშვნელოვანი გარდატეხის მომენტია,** — აცხადებს ბრუკინგის ინსტიტუტის უფროსი დემოგრაფი უილიამ ფრეი. — **ჩვენ იმის მოწმენი ვხდებით, თუ როგორ ცვლის ჩვენს ქვეყანაში თეთრკანიან საზოგადოებას მულტიკულტურიზმი".**

გარდატეხის მომენტს თან ახლავს ნეგატიური პროცესების მთელი თაიგული, რომელიც აღწერამ ამერიკული საზოგადოების ფესვებიდან ამოქექა. ამ თაიგულის შემადგენლობაშია მოსახლეობის და ძირითადად თეთრკანიანი მოსახლეობის მკვეთრი დაბერება და დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე ნელი ზრდის ტემპი.

**მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მთელი პერიოდის მანძილზე ყველაზე დაბალია მოსახლეობის გეოგრაფიული მობილურობის მაჩვენებელი, რაც განაპირობებს უმუშევრობის ზრდას და სიღატაკეს, ასევე „კლავს" მთელ ქალაქებს. ქვეყანაში ღატაკთა რაოდენობის ზრდას ხელს უწყობს ოჯახის რეალური საშუალო შემოსავლის შემცირებაც. ამ მაჩვენებელმა 1790 წელს აშშ-ში აღწერის წარმოების დასაწყისიდან ამ დრომდე პირველად იკლო.**

თუმცა, თუ ამ ნეგატივის დიდი ნაწილი შეიძლება დაბრალდეს უკანასკნელი პერიოდის ორ რეცესიას, რომლებიც აშშ-მა 2001 და 2008 წლებში გადაიტანა, **ამერიკის მთავარი და შორსმიმავალი შედეგების მქონე „დემოგრაფიული" პრობლემის მიზეზებს სპეციალისტები იმ მანკიერ საიმიგრაციო პოლიტიკაში ხედავენ, რომელიც ქვეყანაში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ტარდება.**

1965 წელს კონგრესის მიერ მოწონებული ნატურალიზაციის ახალმა სისტემამ, რომელიც დაფუძნებული იყო მოქალაქეობის მიღების საოჯახო-ნათესაურ პრინციპზე, განაპირობა ის, რომ **აშშ-ში სამუშაო ძალის მთავარ მიმწოდებლებად ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნები გახდნენ და არა ტრადიციული ევროპა.** საქმეში თავისი წვლილი შეიტანა „ცივი ომის" დასრულებამ და გლობალიზაციამაც. შედეგი: **2010 წლისთვის დაახლოებით 40 მილიონი ამერიკელი, ანუ ამერიკის მოსახლეობის 13% ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაიბადა.**

საიმიგრაციო ვექტორის შეცვლის წყალობით უკანასკნელ ათ წელიწადში ლათინოამერიკელები აშშ-ში მეორე ეთნიკურ ჯგუფად იქცნენ. და ეს კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც სულაც არ ახარებს ძირძველ თეთრკანიან მოსახლეობას. **უკანასკნელი გამოკითხვების თანახმად, ნახევარზე მეტი ამერიკელი ვარაუდობს, რომ „ფერადი" იმიგრანტები ართმევენ მათ სამუშაო ადგილებს, მძიმე ტვირთად აწვებიან განათლების სისტემას, სოციალურ კეთილდღეობას, ჯანდაცვას და საფრთხეს უქმნიან ამერიკას.** არადა, პრეზიდენტ ობამას თითქოს არც ესმის თავისი ხალხის. 2012 წლის ნოემბერში, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მან მშობლიურ ჩიკაგოში საკუთარ მომხრეებს მიმართა: **„მე ვთვლი, რომ ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ იდეა, რომელიც ჩვენი საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს: თუ მზად ხარ სამუშაოდ, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ხარ და საიდან ხარ წარმოშობით... თეთრკანიანი ხარ თუ შავკანიანი, ესპანურენოვანი თუ აზიატი ან ძირძველი ამერიკელი, ახალგაზრდა თუ ხნიერი, მდიდარი თუ ღარიბი... შენ შეგიძლია, გააკეთო ეს აქ — ამერიკაში, თუ მზად ხარ იმისთვის, რომ სცადო".**

დემოკრატი ობამას გაგება შეიძლება: 2012 წლის არჩევნებზე მას გამარჯვება მოუტანა სწორედ „ფერადი" ამერიკის მხარდაჭერამ. მუქკანიან პრეზიდენტს ხმა მისცა აფრო-ამერიკელების 93%-მა, აზიური წარმომავლობის მოქალაქეთა 73%-მა და ლათინოამერიკული წარმომავლობის მოქალაქეთა 71%-მა. რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს კი ხმა მისცა თეთრკანიანი მოსახლეობის 59%-მა.

**„ჩვენ ამ დრომდეც ვრჩებით ქვეყნად, რომელიც გაყოფილია რასობრივი, ასაკობრივი და ეთნიკური პრინციპებით,** — სინანულით დაასკვნა უილიამ ფრეიმ. — **ეს განხეთქილება განსაკუთრებით ნათლად ვლინდება არჩევნებისას, როდესაც ასაკოვანი თეთრკანიანი მოსახლეობა ერთი მიმართულებით მიდის, ფერადკანიანი ახალგაზრდობა კი — საპირისპირო მიმართულებით".**

მზარდი ფერადკანიანი უმცირესობა სულაც არ მიისწრაფვის თეთრკანიანებთან ასიმილირებისკენ, ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე. მათ მემკვიდრეობაში არ აქვთ იმპერიული ცნობიერება ამერიკელი ერის განსაკუთრებულობის შესახებ, უბრალოდ, ამკვიდრებენ საკუთარ კულტურას, ტრადიციებსა და პოლიტიკურ შეხედულებებს. შეძლებენ და მოინდომებენ კი აშშ-ში არსებული პარტიები, შეისრუტონ ამგვარი ამომრჩევლები? თუ ამ უკანასკნელთ მოაფიქრდებათ, შექმნან სულაც ახალი პოლიტიკური ძალა და კიდევ უფრო გახლიჩონ ქვეყანა ნაწილებად? როგორც არსებული კვლევებიდან ჩანს, **უკვე ახლა ფერადკანიანი მოსახლეობა უკმაყოფილოა აღმასრულებელ ორგანოებში მცირე წარმომადგენლობის გამო. მაგალითისთვის, მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკებს შორის ლათინოამერიკელების რაოდენობა 4%-ს შეადგენს. არადა, ქვეყნის მოსახლეობაში მათი წილი ამ პროცენტულ მაჩვენებელს უკვე ოთხჯერ აღემატება.**

მოსახლეობის დასაქმების სფეროში თანასწორუფლებიანობის ფედერალური კომისიის თანათავმჯდომარე ხორხე პონსე დარწმუნებულია, რომ **ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ეთნიკური სხვადასხვაგვარობის ზრდა „ეკონომიკურად აუცილებელია გლობალურ ბაზარზე გადასარჩენად".**

დღეს ამერიკის ერთ დროს სამაგალითო ნაციის შემადგენლობაში პროპორციები იცვლება და წნევა იმატებს. წნევამ კი, შესაძლოა, აფეთქებაც გამოიწვიოს და, თუ ეს მოხდება, მიმდინარე საუკუნის შუა პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები, როგორსაც ახლა ვიცნობთ, სულაც გაქრება მსოფლიო რუკიდან.



**2010 წლისთვის დაახლოებით 40 მილიონი ამერიკელი, ანუ ამერიკის მოსახლეობის 13% ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაიბადა**

fbii.org

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეკონომიკური განვითარების გაბატონებული მოდელი, ფაქტობრივად, „სიცოცხლესაწინააღმდეგოდ“ იქცა. როდესაც ეკონომიკის განვითარების დონე მხოლოდ ფულადი ნაკადებით იზომება, მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან და ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან. მაგრამ მდიდრებიც მდიდრები არიან მხოლოდ ფულის თვალსაზრისით, მაგრამ უფრო ფართო კონტექსტში, რასაც ადამიანობა ჰქვია, ისინიც ღატაკები არიან.**

# როგორ ანადგურებს ცხოვრებას ეკონომიკური ზრდა

**ეკონომიკური ზრდით შეპყრობამ გადაფარა ჩვენი მღელვარება სიცოცხლისუნარიანობასთან, სამართლიანობასთან და ადამიანურ ღირსებასთან დაკავშირებით, მაგრამ ადამიანები ერთჯერადი მოხმარების საგნები არ არიან და სიცოცხლის ღირებულების საკითხი ეკონომიკური განვითარების სფეროს სცილდება.**




უსასრულო ზრდა ეკონომისტების, ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსების ოცნებაა. ეკონომიკური ზრდა პროგრესის საზომად ითვლება. შედეგად საერთო შიდა პროდუქტი, რომელიც უნდა ასახავდეს ერის კეთილდღეობის დონეს, იქცა ყველაზე გავლენიან ციფრად და ჩვენი დროის გაბატონებულ მცნებად. ამასთან, ეკონომიკური ზრდა ჩრდილავს იმ სიღატაკეს, რომელსაც თავადვე ქმნის ბუნების განადგურების გზით, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს დამოუკიდებლად საკუთარი თავის უზრუნველყოფის უუნარო ერის ჩამოყალიბებას.

ეკონომიკური ზრდის კონცეფცია წამოყენებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის დროს იმ კრიტერიუმის სახით, რომელიც მოწოდებული იყო რესურსების მობილიზებისკენ. მთლიანი შიდა პროდუქტის კონცეფცია დაფუძნებულია ფიქტიურ, ხელოვნურად გავლებულ საზღვარზე — იდეაზე იმის შესახებ, რომ, **თუ თქვენ აწარმოებთ იმდენივეს, რამდენსაც მოიხმართ, ეს ნიშნავს, რომ არაფერს აწარმოებთ. შედეგად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ასახავს ბუნების ფულად და საერთო მიწის ნედლეულად გადაქცევის სიჩქარეს.**

ამრიგად, წყლისა და საკვების ნივთიერებების განახლების საოცარი ბუნებრივი ციკლები მოხვდა არასაწარმოოთა კატეგორიაში. **მთელი მსოფლიოს გლეხები, რომლებიც მთელი სურსათის 72%-ს აწარმოებენ, როგორც გაირკვა, სინამდვილეში არაფერსაც არ აწარმოებენ; ქალები, რომლებიც ფერმებში ან საკუთარ სახლებში მუშაობენ, ასევე ვერ ერგებიან ზრდის ამ პარადიგმას.** ცოცხალ ტყეს ეკონომიკურ ზრდაში წვლილი აღარ შეაქვს, მაგრამ, თუ ხეებს მოვჭრით და შეშად გავყიდით, ეკონომიკა გაიზრდება. საზოგადოების ჯანმრთელობა ხელს არ უწყობს ზრდას, სამაგიეროდ დაავადებები მშვენიერ წინაპირობებს ქმნის ზრდისთვის, მაგალითად, დაპატენტებული სამკურნალო პრეპარატების გაყიდვების გზით.

**წყალი, რომელიც თანაბრად ეკუთვნის ყველას, ყველას უნდა უკლავდეს წყურვილს. მაგრამ ის არ ქმნის ზრდის წინაპირობას. მაგრამ, თუ კომპანია Coca-Cola ააშენებს ქარხანას, დაიწყებს მიწიდან წყლის ამოქაჩვას და ბოთლებში ჩამოსხმას, ეკონომიკა გაიზრდება. თუმცა ამგვარი ზრდის საფუძველში სიღატაკე დევს — ადგილობრივი საზოგადოებისა და ბუნების სიღატაკე.**

**თუ წყლის მოპოვების პროცესში არ იქნება გათვალისწინებული ბუნების განახლების უნარი, ეს აუცილებლად განაპირობებს სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს.** ქალებს გაცილებით უფრო გრძელი გზის გავლა მოუწევთ სასმელი წყლის მოსაპოვებლად.

**ფერმერების მიერ დასათესი თესლი ეკონომიკის ზრდაში ასევე არ მონაწილეობს.** ეს თესლი ქმნის და განაახლებს სიცოცხლეს, მაგრამ მას არ მოაქვს შემოსავალი. **ეკონომიკური ზრდა იწყება იქ, სადაც კომპანიები ახორციელებენ ბუნებრივი თესლის მოდიფიცირებას, დაპატენტებას და გენეტიკური საკეტით დაკეტვას, რომ ფერმერები იძულებულნი გახდნენ, ყოველ წელს იყიდონ თესლი.**

ბუნება გაღატაკდა, ბიოლოგიური სხვადასხვაობა განადგურდა, უფასო და ყველასთვის ხელმისაწვდომი რესურსები კი დაპატენტებულ ნედლეულად იქცა. სათესი მასალის ყოველწლიური შეძენა ვალებისკენ მიმავალ პირდაპირ გზად იქცა ღარიბი გლეხებისთვის. როდესაც ინდოეთში გაჩნდა მონოპოლია თესლის ბაზარზე, ფერმერები ვალებში ჩაეფლნენ. 1995 წლიდან ამ დრომდე 270 ათასმა ინდოელმა ფერმერმა ვალებში ჩავარდნის გამო თავი მოიკლა.

**სიღატაკე საზღვრებს აფართოებს, როდესაც სახელმწიფო სისტემების პრივატიზება იწყება. წყლის, ელექტრო-ენერგიის, ჯანდაცვისა და განათლების პრივატიზაცია ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს, რადგან იზრდება მეწარმეთა შემოსავლები. მაგრამ ის განაპირობებს ხალხის გაღატაკებასაც, რადგან აიძულებს მათ, ძვირად იყიდონ ის, რაც, წესით, იაფი უნდა ღირდეს. როდესაც ცხოვრების ყველა ასპექტი კომერციული შემოსავლის წყაროდ და საქონლად იქცევა, ცხოვრება ძვირდება, ხალხი კი ღატაკდება.**

ტერმინებს „ეკოლოგია“ და „ეკონომიკა“ ერთი საერთო ფუძე აქვთ: ორივე მომდინარეობს ბერძნული სიტყვა oikos-იდან, რაც საოჯახო მეურნეობას ნიშნავს. ვიდრე ეკონომიკის ყურადღების ცენტრში საოჯახო მეურნეობა იყო, ის აღიარებდა და პატივს სცემდა მის მჭიდრო კავშირებს ბუნებრივ რესურსებთან და ეკოლოგიური განახლების საზღვრებს. მისი მთავარი ამოცანა იყო ადამიანების უზრუნველყოფა ყველაფრით ამ საზღვრების დაურღვევლად. **ეკონომიკა, რომლის ცენტრშიც საოჯახო მეურნეობა იყო, ბევრ რამეში ქალზე იყო ორიენტირებული. თანამედროვე ეკონომიკა განცალკევებული და დაპირისპირებულია როგორც ეკოლოგიურ პროცესებთან, ასევე ადამიანების საბაზისო საჭიროებებთან.** დღეს ბუნების განადგურებას ამართლებენ ეკონომიკური ზრდის მიღწევის აუცილებლობით, ამასთან, ღატაკების, საკუთრებაწართმეული ადამიანების რაოდენობა განუხრელად იზრდება. იმის პარალელურად, რომ ეს არასტაბილურობას განაპირობებს, ეს უსამართლობაა ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

**ეკონომიკური განვითარების გაბატონებული მოდელი, ფაქტობრივად, „სიცოცხლესაწინააღმდეგოდ“ იქცა. როდესაც ეკონომიკის განვითარების დონე მხოლოდ ფულადი ნაკადებით იზომება, მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან და ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან. მაგრამ მდიდრებიც მდიდრები არიან მხოლოდ ფულის თვალსაზრისით, მაგრამ უფრო ფართო კონტექსტში, რასაც ადამიანობა ჰქვია, ისინიც ღატაკები არიან.**

ეკონომიკის თანამედროვე მოდელის მოთხოვნილებები განაპირობებს რესურსებისთვის — ნავთობისა და სურსათისთვის ომებს. თანამედროვე განვითარების პირობებში შეიძლება გამოვყოთ ძალადობის სამი დონე. პირველი დონე ბუნების წინააღმდეგ ძალადობაა, რომელიც ეკოლოგიური კრიზისის ფორმით ვლინდება. მეორე დონე არის ძალადობა ადამიანების წინააღმდეგ, რაც სიღატაკეში ჰპოვებს გამოხატვას. მესამე დონე კი არის ომები და კონფლიქტები, რომელთა დროსაც გავლენიანი სუბიექტები ცდილობენ, მიაღწიონ სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ რესურსებამდე, რათა დაიკმაყოფილონ თავიანთი უკიდეგანო მადა.

**ფულადი ნაკადების ზრდა აღარ არის ნამდვილი ღირებულება, მაგრამ მათ, ვინც ახლა ფულს აგროვებენ, ერთ დღესაც, შესაძლოა, სხვა ადამიანების რესურსებზე — წყალზე, მიწაზე, ტყესა და ნათესებზე გამოაცხადონ პრეტენზია. ეს არ არის სიღატაკის აღსასრული, ეს ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის აღსასრულია.**

ნობელის პრემიის ლაურეატებმა — ჯოზეფ სტიგლიცმა და ამარტია სენმა აღიარეს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი არ ასახავს ხალხის ცხოვრების რეალურ დონეს და წამოაყენეს წინადადება, შეიქმნას სხვა ინსტრუმენტი ერის კეთილდღეობის შესაფასებლად. სწორედ ამიტომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც ბუტანია, პროგრესის შესაფასებლად მთლიანი შიდა პროდუქტის ნაცვლად შემოიღეს **„საერთო ეროვნული ბედნიერება“.**

ჭეშმარიტი სიმდიდრის დასაბრუნებლად საჭიროა შეფასების სხვა კრიტერიუმების და ისეთი ეკონომიკის შექმნა, რომელიც გლობალური სუპერმარკეტის ფარგლებს გარეთაც გავა. უნდა გვახსოვდეს, რომ სიცოცხლის ჭეშმარიტი ვალუტა თავად სიცოცხლეა.

**The Guardian**

# რა გამოვიდა ტერორიზმთან ბრძოლიდან

**იცით თუ არა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ აშშ-ის ომმა მსოფლიოში ტერაქტების რაოდენობის ზრდა განაპირობა? 2001 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს ავადსახსენებელი ომი გააჩაღა, მსოფლიოში ტერაქტების რაოდენობა, სულ მცირე, გაოთხმაგდა. ტერორიზმისა და ტერორიზმის საწინააღმდეგო საშუალებების შემსწავლელი ნაციონალური კონსორციუმის მონაცემებით, მხოლოდ გასულ წელს მსოფლიოში 8,5 ათასი ტერორისტული აქტი განხორციელდა.**



აფრიკაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში ტერორისტების ხელით 15,5 ათასი ადამიანი მოკვდა. ძალადობის წარმოუდგენელი ზრდა ფიქსირდება ერაყში. მხოლოდ წელს იქ 6 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს. ერაყში ტერორიზმის დონე აშშ-ის მიერ 2003 წელს ქვეყანაში შეჭრის შემდეგ გაიზარდა.

ახლა ერაყის პრემიერმინისტრი ამერიკაშია და აცხადებს, რომ მის ქვეყანას საქმე აქვს „ომთან გენოციდის მიზნით“ და რომ რეგიონში მომხდარმა რევოლუციებმა მხოლოდ დაამძიმეს და გაამწვავეს მდგომარეობა.

**„ქვეყანაში წარმოიშვა ხელისუფლების ვაკუუმი. „ალ ქაიდა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციები ამით სარგებლობენ და პოზიციებს იმყარებენ. სახელმწიფო მმართველობის სისტემის კრახი მათთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა“,** — აცხადებს ერაყის პრემიერი ნური ალ-მალიკი.

**ახლა ტერორისტები სირიისკენ გაეშურნენ. და რაც უფრო შორსაა ეს ქვეყანა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებისგან, მით უფრო ახლოსაა იმასთან, რომ ხელისუფლება „ალ ქაიდასა“ და მისი მსგავსი დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდეს და ქვეყანას საერთოდ ბოლო მოეღოს.**

მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონის მიერ ხელდასმულ ქვეყნებში — ერაყში, სირიასა თუ ლიბიაში ტერორიზმი მხოლოდ იზრდება და ძალას იკრებს, იგივე ვაშინგტონი კვლავ ჯიუტად აცხადებს, რომ ამერიკულმა ჯარებმა „ალ ქაიდას“ მთელი ხელმძღვანელობა გაანადგურეს და ახლა ის იმდენად საშიში აღარაა, როგორც ადრე იყო.

**„იმ მძლავრი დარტყმების შედეგად, რომლებიც ჩვენმა ჯარებმა მიაყენეს „ალ ქაიდას“, ჩვენ ამ ორგანიზაციის მთელი უმაღლესი მეთაურობა გავანადგურეთ ავღანეთსა და პაკისტანში. და ვინაიდან ახლა ახალი ხელმძღვანელობა უფრო მეტად ღელავს საკუთარ უსაფრთხოებაზე, მათ ნაკლები შესაძლებლობები აქვთ ტერაქტების დასაგეგმად“,** — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ პსაკიმ.

სინამდვილეში ამ სიტყვებს სტატისტიკასთან საერთო არაფერი აქვს და საერთოდაც საეჭვოა, რომ სინამდვილესთან ჰქონდეს რაიმე საერთო. **მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც ვაშინგტონი ებრძვის ტერორიზმს, მთელ მსოფლიოში ტერორიზმის დონე მხოლოდ იმატებს.**

**takie.org**

**ქარტიის მომხრეებს შორისაა ორგანიზაცია HACKED OFF, რომელიც მედიის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა ინტერესებს იცავს. უკანასკნელი გამოკითხვის მიხედვით, საზოგადოებაც მხარს უჭერს მასმედიისთვის გაცილებით უფრო მკაცრი კონტროლის დაწესებას.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრიტანეთმა პრესის რეგულირების ქარტია დაამტკიცა



**ლონდონში დედოფალმა ელისაბედ II-მ, მიუხედავად გამომცემლების მხრიდან პროტესტისა და სასამართლოში სარჩელის შეტანისა, ხელი მოაწერა ბრიტანული პრესის რეგულირების გეგმას, რომელიც გამომცემლობა News of the World-ის ჟურნალისტების მიერ სატელეფონო საუბრების მოსმენის შემდეგ შეიმუშავეს.**

სამეფო ქარტია, რომელსაც ხელი მოაწერეს როგორც ინგლისის დედოფალმა, ასევე ქვეყნის უდიდესმა პოლიტიკურმა პარტიებმა, მოწოდებულია, შეიქმნას მარეგულირებელი სტრუქტურა ისეთ დარღვევებთან საბრძოლველად, როგორიც ზემოხსენებულმა სკანდალმა გამოააშკარავა: **ჟურნალისტები ისმენდნენ დანაშაულის მსხვერპლთა, ცნობილი ადამიანების, სამეფო ოჯახის წევრების და სხვათა ხმოვან შეტყობინებებს.**

თავად მასმედიის წარმომადგენლები ვალდებულნი არ არიან, ხელი მოაწერონ ქარტიას და მრავალი მათგანი ცალსახად წინააღმდეგია პრესის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვის.

**„ეს პრესის 300-წლიანი თავისუფლების აღსასრულია, როცა პოლიტიკოსები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რამდენად მკაცრი უნდა იყოს რეგულირების სტანდარტები,** — განაცხადა გაზეთ The Times of London-ის რედაქტორმა როჯერ ალტონმა, — **წარმოიდგინეთ: აშშ-ში გაზეთებში დაიწეროს, რომ გასულ ღამეს კონგრესის ორივე პალატა შეთანხმდა, შემოიღონ პრესის რეგულირების ახალი სისტემა“.**

იურისტებმა და მასმედიის წარმომადგენლებმა სასამართლოში განაცხადეს, რომ ბრიტანელმა პოლიტიკოსებმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს სხვა შეთავაზებებს.

**უკანასკნელ მომენტში წარუმატებლად დასრულდა „საიდუმლო საბჭოს“ სახელით ცნობილი პოლიტიკოსთა კოლეგიის მიერ მარეგულირებელი ორგანოს შესაქმნელად გადაწყვეტილების მიღების აღკვეთის მცდელობა. სასამართლომ უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა მასმედიის წარმომადგენელთა მოთხოვნაზე, მიეღოთ ამ ინიციატივასთან დაკავშირებით ამკრძალავი ზომები. მოსამართლის განცხადებით, საიდუმლო საბჭოს გადაწყვეტილება საზოგადოების ინტერესებშია.**

სასამართლოში ამკრძალავი ზომებისთვის იბრძოდა პრესის სტანდარტების ფინანსური საბჭო, რომელშიც ოთხი უმსხვილესი საგამომცემლო ჯგუფია გაერთიანებული. იგივე საბჭო ახლა აცხადებს, რომ იბრძოლებს აპელაციის მოსაპოვებლად. საბჭო გეგმავს, პრესის რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი ქარტია შექმნას.

ახალი მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ქარტია არის სკანდალის შემდგომი ორი წლის მანძილზე მიმდინარე გამოძიების კულმინაცია. შეგახსენებთ, **2011 წლის ივლისში გამოაშკარავდა, რომ ჟურნალისტები ინგლისში ფართოდ იყენებდნენ ინფორმაციის მიღების არალეგალურ მეთოდებს.**

მოსამართლე ბრაიან ლევესონის ხელმძღვანელობით ღია განხილვა მოითხოვა პრემიერმინისტრმა დევიდ კემერონმა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ჟურნალისტები კითხულობდნენ 2002 წელს გატაცებული და მოკლული მოზარდის — მილი დოულერის სმს-შეტყობინებებს.

## ჟურნალისტები ისმენდნენ დანაშაულის მსხვერპლთა, ცნობილი ადამიანების, სამეფო ოჯახის წევრების და სხვათა ხმოვან შეტყობინებებს

დასკვნით ანგარიშში მოსამართლე იძლეოდა რეკომენდაციას, შექმნილიყო ახალი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პატივისცემით მოეპყრობოდა პრესის თავისუფლებას და ამავე დროს არ დაუშვებდა კანონის ჩარჩოებიდან გასვლას.

**ქარტიის მომხრეებს შორისაა ორგანიზაცია HACKED OFF, რომელიც მედიის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა ინტერესებს იცავს. უკანასკნელი გამოკითხვის მიხედვით, საზოგადოებაც მხარს უჭერს მასმედიისთვის გაცილებით უფრო მკაცრი კონტროლის დაწესებას.**

სამეფო ქარტია ითხოვს მრავალსაფეხურიანი მარეგულირებელი ორგანიზაციის შექმნას პრესის მიმართ საჩივრების კომისიის ნაცვლად, რომელიც თვითმარეგულირებელი ორგანო იყო. ახალ ორგანიზაციას მეტი ძალაუფლება ექნება, ვიდრე ამ კომისიას ჰქონდა, მათ შორის მას შეეძლება 1,4 მილიონ დოლარამდე ჯარიმების დაწესებაც. მის მუშაობას ოთხიდან რვამდე წევრისგან შემდგარი საბჭო ადევნებს თვალყურს. ისინი პრესის წარმომადგენლები იქნებიან, მაგრამ, ზემოხსენებული კომისიისგან განსხვავებით, მათ შორის არ იქნება არც ერთი მოქმედი რედაქტორი.

რამდენიმე გაზეთი მტკიცედ ინარჩუნებს პოზიციას და არ აპირებს ქარტიასთან მიერთებას.

**„ცხადია, რომ მასმედიას შეუძლია აირჩიოს, დაემორჩილება თუ არა სამეფო ქარტიას... ვიმედოვნებთ, ისინი შეეცდებიან, მოიპოვონ აღიარება“,** — განაცხადა კულტურის მინისტრმა მარია მილერმა.

ყოველკვირეული გამოცემა Spectator-ის რედაქტორი ფრეიზერ ნელსონი აცხადებს, რომ ხელს არ მოაწერს ქარტიას. მისივე თქმით, **„მასმედიას შეუძლია დათანხმდეს რეგულირებას, მაგრამ მხოლოდ საკუთარი პირობებით და არა იმიტომ, რომ ამას პოლიტიკოსები მოითხოვენ“.**

სამეფო ქარტიის ხელმოწერა დაემთხვა News Corp-ის ყოფილი თანამშრომლის და ამჟამად დახურული გაზეთის News of the World რედაქტორის — რებეკა ბრუკსის და კემერონის ყოფილი პრესმდივნისა და ამ ტაბლოიდის ყოფილი რედაქტორის — ენდი კოულსონის სასამართლო პროცესს. სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებით ბრალი წაყენებული აქვს News Corp-ის კიდევ ექვს ყოფილ რედაქტორსა და ჟურნალისტს. როგორც პროკურორმა განუცხადა სასამართლოს, News of the World-ის სამმა ყოფილმა ჟურნალისტმა, ასევე მათთან მომუშავე კერძო დეტექტივმაც, უკვე სცნეს თავი დამნაშავედ სკანდალთან დაკავშირებული ბრალდებების გამო.

**Los Angeles Times**



# ამერიკა შექმნეს გენიოსებმა და მართავენ იდიოტები

**შესაძლოა, დროა, ამერიკელებმა ღმერთს მიზეზი მისცენ, რომ კვლავაც დალოცოს ამერიკა. შესაძლოა, ამერიკელები სწორედ იმ ქვეყანაში ცხოვრობენ, რომელიც გენიოსებმა შექმნეს და რომელსაც ახლა იდიოტები მართავენ.**

ეს რომ ნამდვილად ასეა, რამდენიმე ფაქტიც ადასტურებს.

ამერიკაში შეიძლება დაგაპატიმრონ ლიცენზიის გარეშე თევზაობის ან ნადირობის გამო, მაგრამ არა — ქვეყანაში არალეგალური შესვლისა და არალეგალურად ცხოვრებისთვის.

ამერიკაში არასრულწლოვნებს მშობლების ნებართვა სჭირდებათ ექსკურსიაზე წასასვლელად ან სკოლაში ასპირინის დასალევად, მაგრამ არა — აბორტის გასაკეთებლად.

ამერიკაში ხელისუფლებას სურს, აკრძალოს იარაღის მაღაზიები, რომლებშიც ათზე მეტი ვაზნაა, თავად კი 20 ერთეულ სარაკეტო გამანადგურებელ F-16-ს უგზავნის ეგვიპტის ახალ შეშლილ ლიდერებს.

ამერიკაში ნებისმიერ დიდ ქალაქში შეგიძლიათ იყიდოთ 480-გრამიანი ორი ქილა, მაგრამ ვერსად იშოვით 720-მილილიტრიან ქილა გაზიან წყალს, რადგან ამ რაოდენობით ტკბილმა სასმელმა, შესაძლოა, ჭარბწონიანობა განაპირობოს.

ამერიკაში სატრანსპორტო უსაფრთხოების მუშაკები გაშიშვლებამდე ხდიან და ჩხრეკენ 80 წლის ქალს ან სამი წლის ინვალიდ გოგონას, ფარანჯაში გახვეულ ქალებს კი მხოლოდ თავისა და კისრის არეში ჩხრეკენ.

ამერიკაში ხელისუფლება თვლის, რომ ტრილიონობით დოლარის ვალების გადასახდელად საუკეთესო საშუალება კიდევ უფრო მეტი ტრილიონების დახარჯვაა.

**ამერიკაში შვიდი წლის ბავშვს სკოლიდან რიცხავენ იმის გამო, რომ მასწავლებელს „სიმპათიური“ უწოდა, საკუთარი სექსუალობის გამოაშკარავება და „მრავალფეროვნების“ გაკვეთილებზე დასწრება კი აბსოლუტურად ნორმალური და მისაღებია.**

ამერიკაში შეუპოვარი შრომა და წარმატება განაპირობებს გადასახადების მომატებას, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და ჩარევის ზრდას, უმუშევრობა კი წახალისებულია სასურსათე ტალონებით, უფასო სამედიცინო მომსახურებით, უფასო მობილური ტელეფონებით, დამატებითი კვების ჩეკებით მეძუძური დედებისა და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, საცხოვრებელი სუბსიდიებით.

ამერიკაში ხელისუფლება უმუშევრობასთან ბრძოლის ფარგლებში მოქალაქეებს დახმარებას უწევს უსაქმურობისთვის ისე, რომ მთელი 99 კვირის განმავლობაში არ ითხოვს მათგან შემოსავლის მომტანი საქმის ძიების რაიმე დადასტურებას.

ამერიკაში, ხელისუფლების აზრით, მოსახლეობისთვის თავდაცვის უფლების წართმევა მათი ყველაზე კარგი დაცვაა.

მაშ, რაღა ქვეყანაა ეს?

დროა, ამერიკელებმა საბაბი მისცენ ღმერთს, რომ კვლავაც დალოცოს ამერიკა.

**goldenfront.ru**

საქართველო და მსოფლიო
უბედური ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი თავისუფლად გადმოვიდა მანქანიდან და მოკლე, მტკიცე ნაბიჯებით გაემართა პირდაპირ კალინინისკენ, გადაეხვია, არ უკოცნია, გულში ჩაიკრა ერთი წამით, შემდეგ თავის დაკვრით მიესალმა ყველას, ვინც მოწიწებით იდგა სახლის წინა მოედანზე.**

# სტალინი — სინოპის აგარაკზე დევი სტურუას თვალით

**დევი სტურუას წიგნი „სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი. მოგონებანი, პორტრეტები“ 2006 წელს რუსულ ენაზე გამოიცა. ვბედავ და „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ამ ფრიად საინტერესო წიგნის ფრაგმენტების ჩემეულ თარგმანს მივაწვდი. ბატონი დევი ქართულის უზადო მცოდნე იყო, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ზეპირად იცოდა გიორგი ლეონიძის შემოქმედება. კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ თუ „დიდოსტატის მარჯვენის“ მთელი პასაჟების ზეპირად გადმოცემა შეეძლო.
მოწმე ვყოფილვარ ამისი თავად.**

**დევი სტურუა** — ჟურნალისტი, პარტიულ-საზოგადოებრივი მოღვაწე, მეცნიერი, იყო ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

იგი წერს, რომ მემუარული ჟანრის ამ წიგნში „შეეცდება“, აღადგინოს მისი თანამედროვე მოღვაწეების პორტრეტები, შეძლებისდაგვარად ობიექტურად მოგვითხროს იმ მოვლენებზე, რომლებშიც ამ ადამიანებმა მთავარი როლი ითამაშეს. „შეძლებისდაგვარად“ იმიტომ, რომ ყველა მემუარი და მოგონება, საბოლოო ჯამში, სუბიექტურია: სუბიექტურია ან „შეგნებულად“, ან, თუ გნებავთ, უნებურად. ერთადერთი ფანტასტიკურად მიუკერძოებელი, იყო, ალბათ, ტაციტი“...

ვინ არიან ის ადამიანები, რომელთა შესახებაც გვპირდება დევი სტურუა თავისი მოგონებების გაზიარებას? თუ პერსონალიებს არ ჩამოვთვლით, საკმაოდ გრძელი სიაა და ჩვენი ახალგაზრდა მკითხველისთვის, სამწუხაროდ, ბევრი არაფრისმთქმელი გვარებით. აი, მინიშნება კი ასეთია:

„გულახდილად ვიტყვი, ერთ რამეში ბედმა გამიღიმა — საშუალება მომეცა შევხვედროდი ამ სრულიად არაორდინალურ ადამიანებს და მემუშავა მათთან, თანაც არა იმიტომ, რომ ამ სტრიქონების ავტორი დაჯილდოებულია რაიმე გამორჩეული თვისებებით, არა! უბრალოდ, ოჯახური მდგომარეობისა გამო, შემდგომ კი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე (მამაჩემი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო 1941-1948 წლებში, მე კი — საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი 1961-1970 წლებში), საშუალება მომეცა, ბედნიერი, ზოგჯერ კი — სამწუხარო კონტაქტები მქონოდა ბევრ შესანიშნავ პიროვნებასთან, რომელთაც მეტნაკლებად მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს ჩვენს წინაალმდეგობრივ საუკუნეს“ (გვ. 6).

პირველი, რა თქმა უნდა, სტალინია, და დავიწყოთ დევი სტურუას მოგონებების კითხვა.







## «ფოცხვერის თვალები»... როცა სტალინი ხელს მოიჩრდილებდა და მზეს თვალს მოუხუჭავდა, მისი ოდნავ ირიბი თვალები მართლაც ფოცხვერისას ჰგავდა...

იდგა 1946 წლის გაზაფხული.

კვირის ერთ საღამოს ჩვენს ბინაში დარეკა მაღალი სიხშირის სატელეფონო კავშირის — ВЧ-აპარატმა (მიმაჩნია, რომ ზედმეტი იქნება ავუხსნა მკითხველს, ეს რა აპარატია, რადგან იგი წარმოდგენილია ისტორიულ, მხატვრულ და მემუარულ ურიცხვ ნაწარმოებში). ავიღე ყურმილი.

— თქვენ გელაპარაკებათ მიხეილ ივანეს ძე კალინინის თანაშემწე. სთხოვეთ, გეთაყვა, ტელეფონის აპარატთან გიორგი თევდორეს ძეს, მიხეილ ივანეს ძეს სურს მასთან ლაპარაკი.

საოცარია, მაგრამ მამა შინ იყო (იმ დროს, რომელსაც ამჟამად ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ან ტოტალიტარულს უწოდებენ, ადამიანები, განსაკუთრებით კი სამეთაურო შემადგენლობა, პრაქტიკულად დღე და ღამ მუშაობდნენ, დასვენების დღეებისა და საზეიმო არდადეგების გარეშე). მამამ აიღო ყურმილი.

მ. ი. კალინინი, რომელიც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობიდან ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესების გამო იყო გათავისუფლებული, სოხუმის მახლობლად, სინოპში ისვენებდა (სმეცკის ყოფილ მამულში, რომელმაც აქაურობა ნამდვილ სუბტროპიკულ სამოთხედ აქცია). მამა კარგად იცნობდა კალინინს თბილისში არალეგალური მუშაობიდან, შემდეგ მისი მოადგილე იყო, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

კალინინი მთელ ჩვენ ოჯახს რამდენიმე დღით სინოპში სტუმრად იწვევდა. დედაჩემი ავად იყო, უფროსი ძმა — მელორი კი მოსკოვში იმყოფებოდა და სოხუმში მე და მამაჩემი მეორე დღესვე გავემგზავრეთ.

**მიხეილ ივანეს ძემ, მძიმე დაავადების მიუხედავად** (უყურადღებოდ მიტოვებული დიაბეტი), **გულღიად მიგვიღო. მიუხედავად იმისა, რომ კალინინს სპეციალური სათვალე ეკეთა, რომელიც მინიატურულ დურბინდს ჰგავდა, იგი ცუდად ხედავდა და საუბრის დროს, ვიზავი კარგად რომ გაერჩია, ძლიერ ახლოს მიჰქონდა სახე...**

ჩვენი ჩასვლის მეორე დღესვე, სტუმართმოყვარე მასპინძლის ნებით, მე მის „მდივნად“ „დამაწინაურეს“.

რაში გამოიხატებოდა?

ძირითადად იმაში, რომ მე მას ვუკითხავდი მრავალრიცხოვან გაზეთებს... ჩემი „მდივნობა“ კალინინმა ასე ახსნა:

**— ჩემს მდივანს, რომელიც ჩემი თითქმის თანატოლია, ჩემსავით ბებრული, გაბზარული ხმა აქვს. შენ კი, შვილო, ახალგაზრდული, კრიალა ხმა გაქვს, თანაც — კავკასიური აქცენტით, რომელიც ახალგაზრდობის წლებიდან ასე მიყვარს...**

სინოპში ჩვენი უშფოთველი ყოფნის მესამე დღეს პირდაპირ ვილასთან ЗМЪ-ით მოვიდა საშუალოზე ცოტა მაღალი, საკმაოდ ჩასუქებული გენერალი, რომელიც მიესალმა მხოლოდ კალინინს და უთხრა:

**— ორ საათში თქვენ გინახულებთ ამხანაგი სტალინი,** — და იმ წამსვე წავიდა (როგორც ჩანს, ეს იყო ვლასიკი, დამახსომდა მისი ძალიან რუსული გულკეთილი სახე).

მამამ უთხრა კალინინს, რომ ჩვენ გადავიდოდით სოხუმის სასტუმროში, რაზეც მასპინძელმა უპასუხა:

**— არავითარ შემთხვევაში! ამხანაგი სტალინი აქ ნახევარ საათზე მეტს არ გაჩერდება, დარჩით, თუ ღმერთი გწამთ!**

**ჩემდა საბედნიეროდ, მამა დათანხმდა და ყველამ — კალინინმა, მამაჩემმა, დაცვამ, მიხეილ ივანეს ძის მდივანმა და მე, სტალინის მოლოდინში სეირნობა დავიწყეთ სმეცკის ვილის წინა მოედანზე.**

გარკვეული დროის შემდეგ ჭიშკრიდან პარკში შემოვიდა სამი სატვირთო მანქანა, რომლებზეც ჯარისკაცები ისხდნენ, რომლებიც წამში ჩამოხტნენ მანქანებიდან და, თითქოს უბრძანესო, პარკში გაიფანტნენ. ცოტა მოგვიანებით

---

მოკლედ



### «სპეცოპერაცია ჟვანიას ლიკვიდაციის მიზნით ამერიკის სპეცსამსახურებთან ერთად ჩატარდა»

**ამ სკანდალურ განცხადებას პოლიციის გენერალი რომან გვენცაძე აკეთებს.**

შს ყოფილი მინისტრი არ გამორიცხავს, რომ „ჟვანიას მკვლელობაში“ ამერიკული სპეცსამსახურები იყოს ჩართული. „ჩემი მოწინააღმდეგეები იტყვიან: თუ ამერიკელებმა ჩაატარეს ეს სპეცოპერაცია, მაშინ კვალს არ დატოვებდნენო, მაგრამ არც მასეა საქმე — ჩვენზე დიდი გამოცდილება მათ ამ საქმეში ნამდვილად არ აქვთ, ისინიც ადამიანები არიან და შეცდომებს უშვებენ!...“ — განუცხადა „ასავალ-დასავალს“ რომან გვენცაძემ.



საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იგი პროპორციული აღნაგობისა იყო და, როცა თანამოსაუბრეებისგან განცალკევებით იდგა, სულაც არ ჩანდა ტანმორჩილი. ვადასტურებ — არავითარი გრძელი ხელები, არავითარი კოტიტა თითები, არავითარი სქელი ცხვირი, არავითარი ჩავარდნილი მკერდი და ჩამოწეული მხრები. იგი იყო კარგად შეკრული ქართლელი გლეხი, რაღაც სასწაულით სტალინად გარდაქმნილი...**


იოსებ სტალინი


მიხეილ კალინინი


გიორგი სტურუა

გამოჩნდა მსუბუქი ავტომანქანები, რომლებიდანაც ოფიცრები გადმოვიდნენ და ისინიც თვალს მიეფარნენ. მთელი ეს „მოსამზადებელი სამუშაო“ კარგად ჩანდა ვილის წინა პატარა მოედნიდან — შენობა პარკის ამაღლებულ ადგილზე იყო აშენებული.

დაბოლოს, პარკში ნელი სვლით შემოვიდა სამი ლიმუზინი და მე კინაღამ ცუდად გავხდი — ნუთუ დავინახავ სტალინს გაზეთებში დაბეჭდილი პორტრეტებით კი არა, არც ტილოზე დახატულს, არც ქვაში გამოთლილს, არამედ ცოცხალს, ნამდვილს, განსხეულებულს.

**როცა მამაჩემი დაინახა, მის თვალებში მსუბუქი გაოცება გამოიხატა. ისეთივე მოკლე და მტკიცე ნაბიჯებით სტალინი მივიდა მამაჩემთან, ხელი ჩამოართვა და ქართულად ჰკითხა: «შენ ისევ ისეთი ახირებული ხარ?»**

მკითხველს შევახსენებ, რომ კალენდრის ფურცელზე აღნიშნული იყო **პირველი ომისშემდგომი წელიწადი, უზარმაზარი აღმავლობის წელიწადი, რომელიც ძლიერ და გაიძვერა მტერზე — ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებით იყო გამოწვეული, და ამ სტრიქონების ავტორს მხოლოდ 16 წელი შეუსრულდა. ჩვენ, ყველანი, აღზრდილები ვიყავით სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით...** ზუსტად ორი წლის შემდეგ, ანუ 1948 წელს მამა დააყენებს საკითხს ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში უდანაშაულოდ დაღუპულთა რეაბილიტაციის შესახებ და მოხსნიან დაკავებული თანამდებობიდან, რადგან გამოავლინა „თანაგრძნობა ტროცკისტების მიმართ...“ მიქოიანის სიტყვით, სტალინმა მაშინ თქვა: **„ქართველ ამხანაგებს არ სურთ ხელძღვანელობაში სტურუა. სტურუა ყოველთვის თავნება და ჯიუტი იყო. წლების მანძილზე, როგორც ჩანს, მას ეს თვისებები გაუძლიერდა. გთავაზობთ, დავეთანხმოთ ქართველ ამხანაგებს მისი გათავისუფლების საკითხში. რაც შეეხება მის გარიცხვას პარტიიდან და საქართველოდან გასახლებას, ვითომდა ტროცკისტების მიმართ გამოჩენილი სიმპათიის გამო, ეს ყველაფერი სისულელეა. მას დიდი დამსახურება აქვს პარტიის წინაშე. დაენიშნოს მას პერსონალური პენსიის მაქსიმუმი და არ გაბედოთ ხელის ხლება“.**

ამ წიაღსვლას კავშირი აქვს იმასთან, რაც სტალინმა მამაჩემს სმეცკის ვილის წინა მოედანზე...

მაშ ასე, სამი ლიმუზინი ნელი სვლით შემოვიდა პარკის ტერიტორიაზე და ხუთი-ექვსი წუთის შემდეგ უკვე ვილის წინა მოედანზე იყო.

სწორედ ის გენერალი, რომელმაც კალინინს სტალინის სტუმრობის შესახებ აცნობა, სწრაფად გადმოხტა შუათანა მანქანის წინა კარიდან, გამოაღო უკანა კარი და გაშეშდა ჩვეულ (მე ასე აღვიქვი) მოწიწებულ პოზაში.

**სტალინი თავისუფლად გადმოვიდა მანქანიდან და მოკლე, მტკიცე ნაბიჯებით გაემართა პირდაპირ კალინინისკენ, გადაეხვია, არ უკოცნია, გულში ჩაიკრა ერთი წამით, შემდეგ თავის დაკვრით მიესალმა ყველას, ვინც მოწიწებით იდგა სახლის წინა მოედანზე. როცა მამაჩემი დაინახა, მის თვალებში მსუბუქი გაოცება გამოიხატა. ისეთივე მოკლე და მტკიცე ნაბიჯებით სტალინი მივიდა მამაჩემთან, ხელი ჩამოართვა და ქართულად ჰკითხა: „შენ ისევ ისეთი ახირებული ხარ?“, შემდეგ შემწყნარებლურად გაუღიმა აღტაცებისგან და თაყვანისცემისგან გაშეშებულ ყმაწვილს, ანუ მე, და გამომიწოდა პატარა ლამაზი ხელი, და ჩამოვართვი ხელი ისე, რომ კინაღამ ფეხები მომეკვეთა.**

სტალინს ეცვა მოყვითალო ფერის ფლანელის კიტელი და ფლანელისავე შარვალი. კიტელიცა და შარვალიც წარმოუდგენლად დაჭმუჭნილი იყო. ფეხზე — შტიბლეტები (მოკლეყელიანი ფეხსაცმელი) — გაცვეთილი, ძალიან გაცრეცილი ზედაპირით და დიდი საკერებლებით ორივე მხრიდან (ეტყობა, იმისთვის იყო დადებული, რომ ფეხების პოდაგრულ სახსრებს არ ეგრძნო ჩვეულებრივი ფეხსაცმლის დაჭერა.

ეს წარმოუდგენელი იყო! სტალინი — დაჭმუჭნულ, საეჭვოა, ოდესმე გაუთავებულ, კიტელში, გაცვეთილი და დაკერებული ფეხსაცმლით: ამან ისე შემძრა, რომ დავაკვირდი მის სახესა და მთელ მის იერს.

**იგი პროპორციული აღნაგობისა იყო და, როცა თანამოსაუბრეებისგან განცალკევებით იდგა, სულაც არ ჩანდა ტანმორჩილი. ვადასტურებ — არავითარი გრძელი ხელები, არავითარი კოტიტა თითები, არავითარი სქელი ცხვირი, არავითარი ჩავარდნილი მკერდი და ჩამოწეული მხრები. იგი იყო კარგად შეკრული ქართლელი გლეხი, რაღაც სასწაულით სტალინად გარდაქმნილი...**

ვაგრძელებ თვალებით სტალინის გატაცებით ფოტოგრაფირებას... **სწორი ფორმის თავი, თმები — თითქმის სულ ჭაღარა, უმნიშვნელოდ გაცვენილი, ჭაღარა ულვაშები, ტუჩებთან — ოდნავ წითური, ალბათ, თამბაქოს ხშირი მოწევისგან** (სმეცკის ვილაზე ყოფნის 40 წუთის განმავლობაში არც ერთხელ არ ამოუღია თავისი ლეგენდარული ჩიბუხი ან ჩვეულებრივი პაპიროსი), **წარბები — თმებზე ოდნავ მუქი, მათ ქვევით კი** (ეს კარგად დავიხსომე) **განსაცვიფრებლად ახალგაზრდული, შავი ან მუქი-ყავისფერი, ოდნავ ირიბი თვალები.** იმედი უნდა გავუცრუო სტალინის საკითხების „სპეციალისტებს“. არავითარი სიყვითლე, მით უფრო, არავითარი სიმღვრივე გლაუკომისგან. **„მე მინდოდა შეშფოთება ამომეკითხა მის ფოცხვერის თვალებში“, — წერდა თავის მემუარებში ჩერჩილი, როცა ცდილობდა, აღედგინა ეპიზოდი, როცა პოტსდამში სტალინს არავითარი რეაგირება არ ჰქონდა ტრუმენის მიერ მიწოდებულ ცნობაზე ამერიკელების მიერ ატომური ბომბის წარმატებული გამოცდის შესახებ. „ფოცხვერის თვალები“... როცა სტალინი ხელს მოიჩრდილებდა და მზეს თვალს მოუხუჭავდა, მისი ოდნავ ირიბი თვალები მართლაც ფოცხვერისას ჰგავდა...**

თანამოსაუბრეს მთელი ტანით მიუტრიალდება, არამარტო თავით, მთელი კორპუსით, რაც მისი იერის თავისებურება იყო, აგრეთვე...

ორმოცი წუთი წამივით გაფრინდა.. სტალინი ისევე მსუბუქად ჩაჯდა ძველი დაჯავშნული „პაკარდის“ შუა სავარძელში, ვლასიკმა მიხურა მანქანის უკანა კარი, ძლივს შეეტენა წინა სავარძელში და ლიმუზინები ისევე დინჯად, როგორც შემოვიდნენ პარკში, ადგილიდან დაიძრნენ. ზღაპარი უცებ დამთავრდა. მექანიკურად ვუქცერდი, როგორ ჩასხდნენ ოფიცრები მსუბუქ ავტომანქანებში, ჯარისკაცები — სატვირთოებში და მიეფარნენ თვალთაგან. სმეცკის პარკმა კი ჩვეულებრივი ცხოვრება განაგრძო — თურმე მომღერალი ჩიტები განაგრძობდნენ გალობას და ჭრიჭინობლები უწინდელზე უფრო ჭრიჭინებდნენ.

**კალენდრის ფურცელზე აღნიშნული იყო პირველი ომისშემდგომი წელიწადი, უზარმაზარი აღმავლობის წელიწადი, რომელიც ძლიერ და გაიძვერა მტერზე — ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებით იყო გამოწვეული, და ამ სტრიქონების ავტორს მხოლოდ 16 წელი შეუსრულდა. ჩვენ, ყველანი, აღზრდილები ვიყავით სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით...**

### იბეჭდება უმნიშვნელო შემოკლებით

**დევი სტურუას წიგნში ამ ეპიზოდს მამამისის — გიორგი სტურუას მონათხრობი მოსდევს სტალინთან ორი შეხვედრის შესახებ, რომელთაც „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს მომდევნო ნომერში შევთავაზებთ.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

# ახლანდელი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მართლაც ზრუნავს ხალხზე

მე გახლავარ დევნილი აფხაზეთიდან თამაზ ჯღამაძე, ინვალიდობის პენსიონერი, სოციალურად დაუცველი (ქ. 26120). დროებით ვცხოვრობ ქ. თბილისში, ჯავის ქ. №24-ში, 49-ე სახლში, რომელშიც 2000 წლიდან ვცხოვრობდი. 2011 წლის 25 სექტემბერს ნაცნობ აფხაზ ქალბატონთან ერთად, რომელიც ავადმყოფი იყო და თავშესაფარი არ გააჩნდა, აფხაზეთში წასვლა გადავწყვიტე, რათა ანქვაბისთვის გვეთხოვა თავშესაფარი. მივმართე აფხაზეთის მთავრობას და მაშინ ოპოზიციაში მყოფ ქალბატონ თეა წულუკიანს. მათ გვირჩიეს, დავრჩენილიყავით. ჩვენც დავრჩით და 2012 წლის 1 ოქტომბერს არჩევნებზე მხარი დავუჭირეთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ადამიანს, რომელმაც ნამდვილად დაანგრია ის რეჟიმი, რომელსაც 9 წლის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობა“ მართავდა.

არჩევნების შემდეგ ბატონ ივანიშვილსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მივმართე ბინის თაობაზე. 10 თვის განმავლობაში ამდენ დევნილს ბინა რომ მიეღოს, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა ძველი მთავრობის დროს. განსახლების მინისტრმა, ბატონმა დარახველიძემ და დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა მურად აბლოთიამ ამა წლის ივნისიდან საქართველოს მთავრობასთან ერთად ბინის ქირაც გადამიხადეს და დამპირდნენ, ოქტომბრის ბოლოს დამთავრდებოდა ისანში, ყვარლის ქუჩაზე მდებარე შენობის რემონტი და ბინას იქ გამომიყოფდნენ. მართლაც, ბატონმა დარახველიძემ და ბატონმა აბლოთიამ მე, როგორც ავადმყოფს, პატივი მცეს და ერთოთახიანი ბინა მივიღე. მოკლე ხანში იმ აფხაზ ქალბატონს, რომელსაც უნდა გავყოლოდი აფხაზეთში, და მეც საკუთარი ჭერი გაგვიჩნდა.

დიდ მადლობას ვუხდი ბატონ დავით დარახველიძეს, ბატონ მურად აბლოთიას, სამინისტროს დაცვის უფროსს — ავთანდილ ქარაიას და სხვებს. ახლანდელი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მართლაც ზრუნავს ხალხზე. დარწმუნებული ვარ, ვისაც კანონით ნამდვილად ეკუთვნის საცხოვრებელი ფართი, არც ერთი არ დარჩება უყურადღებოდ, ოღონდ დროა საჭირო, ოღონდ ვაცალოთ ახალ პრეზიდენტს და ახალ მთავრობას დაპირებების შესრულება.

**თამაზ ჯღამაძე**

ამბავი



# ბათუმში ცვილის ფიგურების მუზეუმი გაძარცვეს

**ბათუმის ცვილის ფიგურების მუზეუმი გაძარცვეს და დაარბიეს. მუზეუმში მედეას და სხვა ქანდაკებები დამტვრეულია, ტექნიკის ნაწილი კი — გატანილი. აღნიშნული „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტმა აღმოაჩინა, რომელიც მუზეუმში ცვილის ფიგურებისთვის ფოტოს გადასაღებად იყო მისული.**

მუზეუმის გარე ფასადიდან მოპარულია სანიაღვრე არხების მილები. ცვილის ფიგურების მუზეუმი გახსნიდან 2 კვირის შემდეგ დაიხურა, სულ ჯამში 20-მდე ბილეთი გაიყიდა. დავალიანების გამო, შენობას შუქიც გათიშული აქვს. შენობის გაძარცვის შესახებ კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს თანამშრომლებიც საუბრობდნენ.

ცვილის ფიგურების მუზეუმი 2012 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე მშრალი ადგილი დედამიწაზე

**შეცდომა: უდაბნო საჰარა. რეალობა: ანტარქტიდა.**

როცა დედამიწის რომელიმე წერტილში წელიწადში 250 მმ-ზე ნაკლები ნალექი მოდის, ის უდაბნოდ მიიჩნევა. საჰარაში წელიწადში 25 მმ ნალექი მოდის, ანტარქტიდის ზოგიერთ რაიონში კი, რამდენიმე მილიონი წელია, ნალექი არ მოსულა. ანტარქტიდის ფართობის 2% ყინულისა და თოვლის საფარისგან სრულიად თავისუფალია. ამ უბნებზე ქარი 300 კმ/სთ სიჩქარით ქრის და გზად აშრობს ყოველგვარ სისველეს — წყალს, ყინულს და თოვლს.

სხვათა შორის, ჩილეში, უდაბნო ატაკამაში წლიური ნალექის მაჩვენებელი 0,1 მმ-ს არ აღემატება, ანუ ის 250-ჯერ უფრო მშრალია, ვიდრე საჰარა.



# ყველაზე ცნობილი მცდარი შეხედულებები

**მრავალი წელია, ადამიანები ერთხმად იზიარებენ რამდენიმე საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას. აღმოჩნდა, რომ ბევრი ასეთი შეხედულება სინამდვილეში მცდარია.**



## ნაპოლეონის ყველაზე სამარცხვინო მარცხი

**შეცდომა: ვატერლოო.**
**რეალობა: ნაპოლეონი კურდღლებს გაექცა.**

1807 წელს ნაპოლეონმა ერთ-ერთი სამშვიდობო ზავის აღნიშვნა ნადირობით გადაწყვიტა. ბატონს რომ უფრო ნაყოფიერად ენადირა, მისმა შტაბის უფროსმა, ალექსანდრე ბერტიემ რამდენიმე ათასი კურდღელი შეიძინა და ტყეში გაუშვა. საუბედუროდ, კურდღლები არა ველური, არამედ შინაურ ფერმებში გაზრდილები აღმოჩნდნენ.

სამკუთხა ქუდით ხელში მდგარი ნაპოლეონი აღიქვეს პატრონად, რომელიც მათ გამოკვებას აპირებდა...

ნაპოლეონს ათასობით კურდღელი შემოეხვია. ლაქიებმა ცხოველები ვერაფრით მოიგერიეს, რის გამოც ბონაპარტი იძულებული გახდა, თავქუდმოგლეჯილი გაქცეულიყო.



## რამდენი პლანეტაა მზის სისტემაში?

**შეცდომა: 9.**
**რეალობა: 8 ან 10 და მეტი.**

ყოველ შემთხვევაში, ამ შეკითხვაზე პასუხად 9-ს დასახელება, ნამდვილად შეცდომაა. ყველაზე კონსერვატორ ასტროლოგებსაც პლუტონი კულტურის ნაწილად უფრო მიაჩნიათ, ვიდრე მეცნიერების. პლუტონი სიმადვილეში ყინულის „ნამცეცია“, რომლის მსგავსი 340 000-მდე ციური სხეული მოძრაობს მზის სისტემაში.

მეათე პლანეტად იყო აღიარებული პლანეტა ცერესი, რომელსაც რატომღაც სტატუსი ასტეროიდად შეუცვალეს. სავარაუდოდ, იგივე ბედი ელის პლუტონს.





## რამდენი გრძნობა აქვს ადამიანს?

**შეცდომა: 5.**
**რეალობა: მინიმუმ 9.**

მხედველობას, სმენას, გემოს, შეხებასა და ყნოსვას კიდე 4 გრძნობა ემატება — სითბოს შეგრძნება, წონასწორობა, ტკივილის შეგრძნება და პროპრიოცეფცია — როცა ყოველთვის ვიცით, სად მდებარეობს ჩვენი სხეულის ნაწილები, მაშინაც კი, როცა მათ ვერ ვხედავთ.

## ყველაზე დიდი ცოცხალი ორგანიზმი

**შეცდომა: ლურჯი ვეშაპი.**
**რეალობა: სოკო მანჭკვალა.**

სოკო მანჭკვალა ყველაზე დიდი ცოცხალი ორგანიზმია დედამიწაზე. ორეგონის შტატში, მალურის ეროვნულ ნაკრძალში იზრდება მანჭკვალა-რეკორდმსმენი, რომელიც 900 ჰექტარ ფართობს იკავებს. მისი ასაკი დაახლოებით 2000-8000 წელია. სოკოს დიდი ნაწილი მიწის ქვეშაა მოქცეული. სოკოს ფესვები ხეების ფესვებს ეხვევა და მათ განადგურებას იწვევს. ნიადაგის ზედაპირზე კი პატარა სოკოების სახით ამოდის.

თავდაპირველად ორეგონის გიგანტური მანჭკვალა გამონაკლისად მიაჩნდათ, მაგრამ საბოლოოდ მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი მთლიანი ორგანიზმია, რომელიც მიწისქვეშ ერთიანდება.

## სიღარიბე და ბავშვის ტვინის ზომა



**ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის თანამშრომლების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სკოლისა და გარდამტეხ ასაკში ღარიბ ბავშვებს თავის ტვინის ზომა ნაკლები აქვთ, ვიდრე შეძლებული მშობლების შვილებს.**

იმას, რომ სიღარიბე და კოგნიტური დარღვევები ერთმანეთთან დაკავშირებულია, მკვლევარები, დიდი ხანია, ვარაუდობდნენ. ჯოან ლაბის ხელმძღვანელობით მეცნიერების ჯგუფმა შეისწავლა, თუ რა გავლენას ახდენს სიღარიბის ეფექტი თავის ტვინის განვითარებაზე. მათ ჰიპოკამპი (თავის ტვინის საფეთქლის წილი) შეისწავლეს, რომელიც ემოციებისა და მახსოვრობის ფორმირებაში მონაწილეობს. ასევე 6-12 წლის ბავშვებში ნუშისებრ ჯირკვალს დააკვირდნენ. კვლევაში სულ 145 ბავშვი მონაწილეობდა.

საბოლოოდ მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადრეულ ბავშვობაში სიღარიბის გამო ბავშვებს ჰიპოკამპის მოცულობა უმცირდებათ, პატარავდება ნუშისებრი ჯირკვლის ზომაც. გარდა ამისა, ასეთმა ბავშვებმა არ იცოდნენ ნეგატიური ემოციების შეკავება და ხშირად განწყობა უფუჭდებოდათ.

ჰიპოკამპის ზომაზე სტრესული მოვლენები ახდენს გავლენას, რომელიც ბავშვების ცხოვრებაში ხდება, — აღნიშნავენ მკვლევარები.

## გვირაბი ორ კონტინენტს შორის

**თურქეთმა პირველი წყალქვეშა სარკინიგზო გვირაბი გახსნა. გვირაბი ბოსფორის სრუტის ქვეშ ორ კონტინენტს აერთიანებს. ცერემონია 29 ოქტომბერს თურქეთის რევოლუციის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა.**

გვირაბის წყალქვეშა ნაწილის სიგრძე 1,4 კილომეტრია, ხოლო მისი საერთო სიგრძე 13,6 კმ-ს აღწევს. პროექტს Marmaray დაარქვეს, რაც ახლოს მდებარე მარმარილოს ზღვის და სიტყვა ray-ს ნაერთია. ray თურქულად რკინიგზას აღნიშნავს.

მშენებლობას თურქებთან ერთად აწარმოებდა იაპონური კორპორაცია, რომელმაც პროექტში დაახლოებით მილიარდი დოლარი ჩადო. მისმა საერთო ღირებულებამ კი 4 მილიარდი დოლარი შეადგინა. სარკინიგზო გვირაბი თითოეულ მიმართულებაზე საათში 75 000 ადამიანის გადაყვანას შეძლებს. ამჟამად ბოსფორის გავლით 2 მილიონი ადამიანი გადადის, რომლებიც იძულებულნი არიან, ამისთვის მხოლოდ ორი საავტომობილო ხიდი გამოიყენონ, რაც პრობლემებს იწვევს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## 18 თვის წვეროსანი

**ინდოეთში, ბიჰარის შტატში მცხოვრებ 18 თვის ადიტია კუმარს სახესა და ტანზე წვერი ამოსდის.** ფერმერების ოჯახში დაბადებულ პატარას ასაკთან შედარებით დიდი შეხედულება აქვს. ადიტიას მშობლები ამბობენ, რომ ბავშვს დაბადებისას მსგავსი პრობლემები არ ჰქონია და სხვებისგან არაფრით გამორჩეული, ჯანმრთელი ბავშვი იყო. თუმცა 1 წლის ასაკში ზრდასრული მამაკაცივით წვერის ზრდა დაეწყო და წონაშიც საგრძნობლად მოიმატა. მათ შვილი ადგილობრივ საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმების თქმით, ადიტიას აქვს იშვიათი ჰორმონალური დარღვევა, რომელიც ადამიანის სხეულს ხშირი თმით ფარავს.

# ოჯახის წევრი ლომი

**ამერიკელი მსახიობის — ტიპი ჰედრენის სახლში ნამდვილი ლომი ცხოვრობს.**

მსახიობი და ყოფილი ტოპმოდელი, ტიპი ჰედრენი, დაიბადა 1930 წელს მინესოტაში. იგი ცნობილია თავისი როლებით რეჟისორ მარტა კულიჯის ფილმში „მკვლელობა შთამომავლობით“, რეჟისორ ალფრედ ჰიჩკოკის ფილმებში „მარნი“, „მეორე პარიზი“ და რეჟისორ პოლ მარკუსის ფილმში „გაწყვეტა“...

ის, აგრეთვე, მთელი ძალისხმევით ჩართულია ცხოველების გადარჩენის საქმეში შამბალას ნაკრძალში, რომელიც დაახლოებით 80 ჰექტარს მოიცავს. ეს პროექტი მსახიობმა თავად დააფუძნა 1983 წელს.

ტიპი ჰედრენმა სახლში მოიყვანა ნამდვილი მტაცებელი ძუძუმწოვარი — ხვადი ლომი, რომელიც მსახიობის სახლში ცხოვრობს, უკვე არაერთი წელია, აფრიკული ქვესახეობის ლომი და მსახიობის ოჯახის წევრები ერთად იკვებებიან, ერთ საწოლში სძინავთ და, რაც მთავარია, ლომს მსახიობის ქმართან და შვილებთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა აქვს.











## 4 000 საქმრო

**იემენის დედაქალაქ სანაში მასიური საქორწინო ცერემონია გაიმართა, მასში მონაწილეობა 4 000-მა ადამიანმა მიიღო.**

შარიათის მკაცრი კანონების დაცვით, ქორწილში მხოლოდ სასიძოები მონაწილეობენ, პატარძალს მისვლის უფლება არ აქვს და გოგონა ქალებთან ერთად ქორწილს ცალკე, სხვა ადგილას აღნიშნავს. ნეფე-პატარძალი ერთმანეთს მხოლოდ ქორწილის ღამეს ხვდება. ხშირ შემთხვევაში ეს მათი პირველი შეხვედრაცაა.

ამ კონკრეტულ ქორწილში ყველა სასიძო ობოლი იყო. სწორედ ამიტომ ჩატარდა მასიური ქორწილი, რომელიც თავის თავზე შეიხმა აიღო. მასიური ქორწილი 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა. როგორც წესი, ცოლის შერთვა იემენში დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული — სასიძო ვალდებულია პატარძლის მამას 3 000 გირვანქა სტერლინგი მიართვას და ქორწილის ხარჯებიც თავად დაფაროს.



## იდეალური პრესი

**აშშ-ის შტატ კენტუკში მცხოვრები 64 წლის რობერტი თვლის, რომ იდეალური მუცლის პრესის დასაყენებლად გვიანი არასდროსაა და აქტიური ვარჯიში ნებისმიერ ასაკშია შესაძლებელი.**

რობერტის თქმით, 56 წლის ასაკში იგი ჭარბწონიანი იყო და სიმსუქნის გამო ხელჯოხის გარეშე ვერ დადიოდა. ამჟამად ვარჯიშის შედეგად მამაკაცს დაბერილი კუნთები და მუცლის პრესი აქვს. როგორც ამბობს, ასეთი ტანი ახალგაზრდობაშიც არ ჰქონდა. რობერტს შვილიშვილები ჰყავს და ამაყობს, რომ მისი ფორმები შვილიშვილების მეგობრებშიც კი შურს აღძრავს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კოსმოსური ლიფტის შექმნასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა იმ მსუბუქი და მტკიცე კაბელის შემუშავებაა, რომელმაც საკუთარ სიმძიმესაც უნდა გაუძლოს და ლიფტის უსაფრთხო ექსპლუატაციაც უზრუნველყოს. „ობაიაშის“ სპეციალისტები თვლიან, რომ ასეთი კაბელის შესაქმნელად ნანომილაკები მისწრება იქნება. თუმცა, პროექტის განხორციელებამდე, კიდევ არაერთი ტექნოლოგიური გარღვევა იქნება საჭირო.**

# კოსმოსური ლიფტი

**იაპონური სამშენებლო კომპანია „ობაიაში კორპორეიშენი“ გვპირდება, რომ 2050 წლისთვის კოსმოსურ ლიფტს აამოქმედებს.**



**კოსმოსური ლიფტით შესაძლებელი იქნება როგორც მგზავრების გადაყვანა, ასევე კოსმოსურ სადგურზე ტვირთის ატანა. ტრანსპორტირება სპეციალური ვაგონით განხორციელდება, რომელიც ნახშირბადოვანი ნანომილაკებისგან შემდგარ კაბელზე იმოძრავებს. ლიფტის მეშვეობით ჩვენი პლანეტიდან მთვარემდე არსებული მანძილის მეოთხედის გავლა იქნება შესაძლებელი.**

ზედა სადგური ზღვის დონიდან 96 000 კილომეტრის სიმაღლეზე მოთავსდება და თან საპირწონის მოვალეობასაც შეასრულებს. სწორედ ამ სადგურს მოუწევს 96 000 კილომეტრის სიგრძის კაბელის წონის გაძლება. მაგრამ მგზავრები და ტვირთები ამ სადგურამდე არ ავა (ზედა სადგურამდე ლიფტი მხოლოდ რემონტის საჭიროების შემთხვევაში ავა). მას მხოლოდ დამხმარე დანიშნულება ექნება. ზღვის დონიდან 36 000 კილომეტრის სიმაღლეზე სადგური ტერმინალი მოთავსდება, რომელშიც საკვლევი ცენტრი და ასტრონავტების საცხოვრებელი იქნება ინტეგრირებული. ვაგონის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე 200 კმ/სთ-ს მიაღწევს, ამ სიჩქარით სადგურამდე მისაღწევად კი მას დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდება.

სადგური ტერმინალი აღიჭურვება მზის ელემენტების ბლოკით, რომელიც ლიფტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ენერგიასაც გამოიმუშავებს და ჭარბ ენერგიას ხმელეთზე გამოაგზავნის. ამასთან, შესაძლებელია, რომ კაბელის ზედა ნაწილში მზის ელემენტების რამდენიმე ქვესადგური განთავსდეს.

აღსანიშნავია, რომ **კოსმოსური ლიფტის იდეა ჯერ კიდევ 1895 წელს დაიბადა, როდესაც რუსმა მეცნიერმა კონსტანტინ ციოლკოვსკიმ ეიფელის კოშკი იხილა. მან წამოაყენა ორბიტაზე გეოსტაციონარული სადგურის მოწყობის იდეა, რომელსაც მეცნიერები კოშკისა და მასში მოთავსებული ლიფტის საშუალებით მიაღწევდნენ. მაგრამ მაშინ არსებული ტექნოლოგიები ამ იდეის განხორციელების საშუალებას არ იძლეოდა და ამიტომ ის სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროში „დაასაწყობეს“.** თუმცა ბოლო წლებში, ნანოტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე, მეცნიერებმა ციოლკოვსკის იდეა გაიხსენეს და გარდა იმისა, რომ მას რამდენიმე კონფერენცია მიუძღვნეს, რამდენიმე კომპანიამ და NASA-მაც კი, შესაბამისი, რეალური პროექტების შემუშავება დაიწყეს.

**კოსმოსური ლიფტის შექმნასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა იმ მსუბუქი და მტკიცე კაბელის შემუშავებაა, რომელმაც საკუთარ სიმძიმესაც უნდა გაუძლოს და ლიფტის უსაფრთხო ექსპლუატაციაც უზრუნველყოს. „ობაიაშის“ სპეციალისტები თვლიან, რომ ასეთი კაბელის შესაქმნელად ნანომილაკები მისწრება იქნება. თუმცა, პროექტის განხორციელებამდე, კიდევ არაერთი ტექნოლოგიური გარღვევა იქნება საჭირო.**

„ობაიაშის“ სპეციალისტებს ჯერ არ დაუდგენიათ, თუ რა დაჯდება კოსმოსური ლიფტის მშენებლობა. თუმცა კომპანია ირწმუნება, რომ ლიფტით ერთდროულად 30 ადამიანის და აუცილებელი ეკიპირების გადაყვანა იქნება შესაძლებელი. ამასთან, ლიფტს მამოძრავებელ ძალას მაგნიტურ ხაზოვანი ელექტროძრავები მიანიჭებს.

„ობაიაში“ არ აკონკრეტებს, თუ სად შეიძლება განთავსდეს ლიფტის ქვედა, საბაზო სადგური, თუმცა ცნობილია, რომ პლანეტის ბრუნვის გამო და იმისათვის, რომ კაბელი მუდმივად დაჭიმულ მდგომარეობაში იყოს, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნება, თუ სადგური ეკვატორულ ზოლში აიგება.



# «ჭკვიანი» ბორბალი ველოსიპედისთვის

**ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ველომრბოლელებისთვის სულ უფრო ბევრი მოწყობილობა და პროგრამა იქმნება, რომლებიც ველოსიპედით მოძრაობას უფრო სასიამოვნოს ხდის. ბოლო სიახლე „ჭკვიანი“ უკანა თვალი FlyKly-ია, რომლის დამონტაჟება ნებისმიერ ველოსიპედზეა შესაძლებელი.**

ნიუიორკელი მეგობრების მიერ შექმნილი FlyKly-ს სიჩქარის გაზრდა ველოსიპედისტის მინიმალური ძალისხმევითაა შესაძლებელი.

ასევე, იგი სმარტფონისა და GPS-ის საშუალებით ველოსიპედის დისტანციურად დაცვისა და კონტროლის საშუალებას იძლევა.

ელექტროძრავის წყალობით, სიჩქარის გაზრდა ხდება. ძრავი ლითიუმის ბატარეით იტენება. ამის წყალობით ველომრბოლელს ძალისხმევის გარეშე 50 კმ/სთ-მდე სიჩარის განვითარება შეუძლია.

აპლიკაცია FlyKly App, iOS, Android-სა და Pebble Watch-ის „ჭკვიან“ საათთან ერთად იქნება. ბორბალი ჯერ გაყიდვაში არაა. შემქმნელები ამჟამად პროექტის განვითარებისთვის ფულს აგროვებენ.



# უთავო ქათამი

**ქათამი მაიკი 2 წელი თავის გარეშე ცხოვრობდა. აშშ-ის შტატ კოლორადოში ლოიდ ოლსენმა სტუმრების მისაღებად გემრიელი სადილის მომზადება გადაწყვიტა და ქათამი დაკლა, თუმცა ნაჯახი კისერში ცუდი კუთხით ჩაარტყა და მაიკი გადარჩა. ოლსენს შინაური ფრინველი შეეცოდა და ვეტერინალურ კლინიკაში წაიყვანა.**

ქათამი თავის გარეშე, ცხადია, ვერაფერს ხედავდა, დამოუკიდებლად ვერ ჭამდა, მაგრამ პატრონი ეხმარებოდა და საკუთარი ხელით კვებავდა. ოლსენმა ქათამი იუტას უნივერსიტეტში წაიყვანა.

მეცნიერების თქმით, ქათამი იმიტომ გადარჩა, რომ ფრინველი სისხლდენისგან თრომბმა იხსნა. მაიკი კოლორადოს ვარსკვლავად იქცა. მისმა პატრონმა კი ქათმის წყალობით ფული იშოვა.

# Amazon.com-ი საწყობს შიგნით

**ნოემბრიდან იანვრის ჩათვლით Amazon.com-ს ეწყება მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი. შეკვეთები 2-ჯერ იმატებს.** საშობაო სეზონი არის როგორც შემოსავლიანი, ასევე ყველაზე პრობლემურიც, რადგან კომპანიას უწევს, დაიქირავოს მეტი მუშახელი და უჭირს ხელფასის გადახდა.

Amazon.com-ს აქვს მსოფლიოში ასობით საწყობი და ჰყავს ათიათასობით თანამშრომელი. ამ ყველაფრის კონტროლი ძალზედ რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა თანამშრომლები ძალიან ცუდ განწყობაზე არიან ხელფასებისა და სოციალური პირობების გამო.







ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მგელ-ქალა

**ინდოეთში „მაქციების სინდრომის“ მატარებელ ოჯახს ახალი წევრი შეემატა. პატარა გოგონას სხეული, ოჯახის წევრების მსგავსად, ხშირი ბეწვითაა დაფარული. ამ ანომალიას იშვიათი გენეტიკური პათოლოგია განაპირობებს, რომელიც ახალ თაობას დედისგან გადაეცემა.** პატარა გოგონას შემთხვევაში ამ სინდრომის მატარებელი ორივე მშობელია, ამის მიუხედავად, ექიმები აცხადებენ, რომ ბავშვი სრულიად ჯანმრთელია. მშობლებს კი მიაჩნიათ, რომ მათი პატარა ღმერთის რჩეულია და სქელი ბეწვი მას ღვთიურ ნიშნად გამოჰყვა. მაქციების ოჯახში (ასე უწოდებენ მათ თანასოფლელები) თითქმის ყველა წევრი ამ პათოლოგიით იტანჯება. მათ სხეულებს ფეხებიდან სახის ჩათვლით სქელი ბეწვი ფარავს. ამ დაავადებას მედიკოსები ვერვოლფის სინდრომს უწოდებენ და მისი მატარებელი დღეს მსოფლიოში ასზე მეტი ადამიანია.

# წლის ყველაზე უცნაური სასტუმრო



**სასტუმროების ქსელმა შერატონმა 2013 წლის აგვისტოში ჩინეთში ახალი სასტუმრო გახსნა, რომელიც უკვე შეფასდა, როგორც 2013 წლის ყველაზე უცნაური არქიტექტურული ნამუშევარი.**

შენობის დიზაინის ავტორი მა იასონგია. სასტუმრო თავისი ფორმით ქმნის ბეჭედს, რომელიც „Huzhous Taihu“ ტბის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობს. სასტუმროს სრული სახელიც Sheraton Huzhou Hot Springs Resort-ია.

შერატონის სიმაღლე 100 მეტრს აღემატება. 75 ჰექტარზეა განთავსებული და მისი ფართობი 95 000 კვადრატული მეტრია. სასტუმროს ვესტიბული ტალღის ფორმის სანათით არის განათებული, რომელიც სვაროვსკის 20 000 ქვითაა შექმნილი. იატაკი ავლანური თეთრი ნეფრიტითაა დაფარული. სასტუმრო 27-სართულიანია და ჯამში 321 ნომერს მოიცავს.

**სასტუმროს საპრეზიდენტო ნომერიც აქვს. მისი ღირებულება 1,5 მილიარდი დოლარია, შენობა სრულად გარშემორტყმულია წყლით, ყველა ოთახს აქვს ხედი, რომელიც ტბაზე გადის და ასევე ყველა ოთახში არის ვენტილაციის სისტემა.**

თავად ადგილი, სადაც სასტუმრო მდებარეობს, ცნობილია ბამბუკის ტყეებითა და ცხელი წყლებით, თუმცა ის ჯერჯერობით გლობალური ტურისტული ცენტრი არ არის.

განსაკუთრებულია შენობის ღამის განათება, რომელიც ანიმაციური მოდელების ფორმისაა და ტბის ზედაპირზე აისახება. სასტუმრო სრულფასოვნად 2013 წლის 30 სექტემბერს ამუშავდა.








# Google მომავალ აინშტაინს ეძებს

**ერთ-ერთი სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანის მიხედვით, სამხედროები ეძებდნენ ნიჭიერ ბავშვებს და ვიდეოთამაშების დახმარებით მაღალი კლასის სამხედროებად ზრდიდნენ. როგორც ჩანს, სწორედ ასეთი ჩანაფიქრი აქვს კომპანია Google-ს, რომელიც იყენებს Minecraft-ს მომავალი გენიალური ფიზიკოსების აღმოსაჩენად.**

ხელოვნური ინტელექტის კვანტურმა ლაბორატორიამ (Google Quantum A.I. Lab) შექმნა ძალიან უცნაური მოდიფიკაცია Minecraft-ისთვის. მოდიფიკაციას უწოდეს qCraft და მასში შედის ყველა ცნება კვანტური მექანიკიდან.

საქმე ისაა, რომ Minecraft-ში გაჩნდა ახალი, მწვანე საბადო. ახალი „კვანტური საბადოსგან“ შესაძლებელია სამი განსხვავებული ელემენტის წარმოქმნა და ამით შესაძლებელია ზემონახსენები რეაქციების განხორციელება.

Google-ის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ დააინტერესოს ბავშვები, რომლებიც გატაცებულნი არიან ამ ვიდეოთამაშით და მისცენ მათ შესაძლებლობა, გახდნენ ფიზიკოსები. კვანტური ეპოქა დაიწყო და მას მომავალი აინშტაინი სჭირდება.



# ვაქცინა ნემსის გარეშე

1853 წელს შოტლანდიელი ექიმის, ალეხანდერ ვუდის, მეუღლეს საშინელი ტკივილები ტანჯავდა, თავად ექიმი კი ეძებდა მორფინს, რათა დახმარებოდა მას. მას შემდეგ 160 წელი გავიდა და შპრიცმა ევოლუცია განიცადა, დადგა დრო, სამედიცინო მიღწევების ფურცელი შემდეგ გვერდზე გადავფურცლოთ და გავეცნოთ ახალ მიღწევას, რომელიც გამოიგონა ბიოსამედიცინო ინჟინერმა, ავსტრალიელმა მარკ კენდელმა.



ეს არის Nanopatch — პატარა ბალიში, რომელიც კანქვეშ შეჰყავთ. ბალიშში თავმოყრილია 20 000-მდე წამალი და კურნავს უამრავ დაავადებას. ერთი შეხედვით ის არასერიოზულად აღიქმება, მაგრამ უკვე გაუკეთდა რამდენიმე ადამიანს, რომლებიც განიკურნენ.






# იაპონიის მაღაზიაში ანდროიდი-გამყიდველი მუშაობს

**იაპონიის ქალაქ ოსაკას უნივერმაღ „ტაკასიმაიას“ ქალის ტრიკოტაჟის განყოფილებაში ანდროიდმა გოგონა მინამიმ დაიწყო მუშაობა. იგი ცოცხალ ადამიანს საოცრად ჰგავს, გამართულად ლაპარაკობს, მოხდენილი ჟესტიკულაცია აქვს და მიმიკას კარგად ფლობს.**

მინამი 160 სმ სიმაღლის 25-26 წლის ჩვეულებრივ იაპონელ გოგონას ჰგავს. ანდროიდი იქვე განთავსებული სენსორული დაფის ბრძანებებს ემორჩილება. მას შეუძლია ქალის ზედატანების განსაკუთრებულობაზე ღიმილით ისაუბროს და ინიციატივაც გამოიჩინოს, პოტენციურ მყიდველებს ამა თუ იმ ფერის საქონელი შესთავაზოს. მინამი პროფესორ ჰიროსი ისიგუროს ხელმძღვანელობით ოსაკას უნივერსიტეტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს. მათი მიზანი არა მხოლოდ შედარებით სრულყოფილი, მრავალფუნქციური რობოტების შექმნაა, არამედ იმ სოციოლოგიური კვლევის ჩატარება, რომლის ამოცანაა, გაარკვიოს, რა რეაქცია აქვთ ადამიანებს ანდროიდების გარემოცვაში.

მინამი უნივერმაღ „ტაკასიმაიაში“ ადრე ორჯერ გამოჩნდა, მაგრამ სტუმრის როლში, რომელიც მყიდველებს ეკონტაქტებოდა. სუფთა სარეკლამო ფუნქციის გარდა, მეცნიერები არკვევენ, რამდენად მარტივი იქნება ადამიანისთვის, ხელოვნურ გამყიდველებთან იქონიონ საქმე. მაღაზიაში ანდროიდი გოგონა 12 ნოემბრამდე იმუშავებს. მინამი იმ რაიონს ჰქვია, რომელშიც უნივერმაღი მდებარეობს და ამავე დროს იაპონიაში ქალის საკმაოდ პოპულარული სახელია.

# ოპერისა და ბალეტის თეატრი ჯუზეპე ვერდის იუბილეს აღნიშნავს

10 ოქტომბერს 200 წელი შესრულდა უდიდესი იტალიელი კომპოზიტორის — ჯუზეპე ვერდის დაბადებიდან. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, ეს თარიღი აღინიშნება საქართველოშიც. კონსერვატორიის დიდ დარბაზში 12 ნოემბერს 19 საათზე გაიმართება საიუბილეო კონცერტი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით. კონცერტს დავით მუქერია უდირიჟორებს. ჯუზეპე ვერდის საიუბილეო კონცერტზე იმღერებენ თეატრის სოლისტები: ირინე ალექსიძე, მაყვალა ასპანიძე, სულხან გველესიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, არმაზ დარაშვილი, თეა დემურიშვილი, ირინე თაბორიძე, კახაბერ თეთვაძე, როსტომ იაშვილი, ლეგი იმედაშვილი, ლიანა კალმახელიძე, ნიკოლოზ ლაგვილავა, მარიკა მაჩიტიძე, გია მახარაძე, ირინე რატიანი, მარიამ ქობალიანი.

კონცერტის პროგრამაშია ნაწყვეტები ოპერებიდან:

„ნაბუკო“, „ატილა“, „მაკბეტი“, „ლუიზა მილერი“, რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „სიცილიური მწუხრი“, „ბალ-მასკარადი“, „დონ კარლოსი“, „აიდა“, „ოტელო“.



## ეწვიეთ კონსერვატორიის დიდ დარბაზს და ისიამოვნეთ ჯუზეპე ვერდის უკვდავი ჰანგებით!

# უცნობი პუტინი




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“. წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4).




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.

ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.

კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4)

# რიჩარდ ნორლანდი: ქართული მხარე რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ცდილობს

**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%, ქართული მხარე ცდილობს, გაუმჯობესდეს რუსეთთან ურთიერთობა, რაც არის რეგიონში უსაფრთხოებიდან გამომდინარე ყველას ინტერესი, — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში — რიჩარდ ნორლანდმა ბათუმში ჟურნალისტებს განუცხადა.**



როგორც ელჩმა განმარტა, სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის საკითხი მოგვიანებით გადაწყდება. „რაც შეეხება სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის საკითხს, გადაწყვეტილება მიღებული იქნება მოგვიანებით, როცა თარიღი მოახლოვდება. გასაგებია, რატომ შეიძლება საქართველოში გული დასწყდეთ ამის გამო, მაგრამ საქართველოს სურს, კონსტრუქციული ნაბიჯები გადადგას რეგიონში უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე“, — აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა რუსეთის პირველ არხთან ინტერვიუში განაცხადა, რომ სოჭის ოლიმპიადაზე მისი გამგზავრების შესაძლებლობა განიხილება. **„ჩვენ ასევე განვაცხადეთ, რომ მონაწილეობას მივიღებთ რუსეთის ისტორიისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენაში — ოლიმპიურ თამაშებში და გავფანტეთ დაძაბულობის ფონი“,** — აღნიშნა მარგველაშვილმა და დასძინა, რომ ამ ეტაპზე განიხილება სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა მხარდასაჭერად სახელმწიფოს მეთაურთა წასვლის საკითხი. მისივე თქმით, სოჭის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენების გამგზავრება კარგი დასაწყისია იმისთვის, რომ არ შეიქმნას რაიმე პოლიტიკური დაძაბულობა. როგორც გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, ქართული მხარე მოლოდინით უყურებს სოჭის ოლიმპიადას და იმედოვნებს, რომ სპორტული და კეთილი ნების ემოცია დასაბამს მისცემს გარკვეული სახის ახალ ურთიერთობებს არამხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში.

# სიმთვრალეზე შემოწმება ან სამი წლით მართვის უფლების დაკარგვა

**მძღოლი, რომელიც სიმთვრალის დასადგენ შემოწმებაზე უარს იტყვის, სამი წლის ვადით მართვის უფლებას დაკარგავს; მძღოლი, რომელიც ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებაზე უარს იტყვის, სამი წლის ვადით მართვის უფლებას დაკარგავს.** ასეთ შემთხვევებზე, მოქმედი კანონმდებლობით, მძღოლებს 500-ლარიანი ჯარიმის გადახდა უწევთ, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტს კანონმდებლობის გამკაცრების ინიციატივით მიმართა და ურჩია მძღოლებისთვის სამი წლის ვადით მართვის უფლების ჩამორთმევის წინადადებით გამოვიდა. ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის. მკაცრდება კანონმდებლობა მძღოლებისთვის, რომლებსაც სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება არ აქვთ ან ჩამორთმეული აქვთ და სიმთვრალის დასადგენად შემოწმებას თავს არიდებენ. აღნიშნული კატეგორიის მძღოლების ასეთი ქმედება 2000-ლარიან ჯარიმასთან ან 15-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობასთან იქნება დაკავშირებული.



# რკინიგზელები გაფიცვისთვის ემზადებიან



**რკინიგზელები 14 ნოემბერს დაგეგმილი გაფიცვისთვის ემზადებიან. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია რკინიგზელებმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნეს.**

აქციის ორგანიზატორების ინფორმაციით, 14 ნოემბერს შეწყდება როგორც ტვირთების გადაზიდვა, ისე მგზავრების გადაყვანა.

პროფკავშირის ინფორმაციით, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობა ორი კვირაა მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებას თავს არიდებს და აცხადებს, რომ კომპანია რკინიგზელების აღნიშნული სამი ძირითადი მოთხოვნის გათვალისწინებას არ აპირებს.

რკინიგზელები ადმინისტრაციას ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას, გამჭვირვალე საპრემიო სისტემის დაწესებას და დანამატების სტაჟისა და კვალიფიკაციის მიხედვით გაცემას სთხოვენ.


# ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი**

# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**



საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009